2011
603 ა 16573
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიტრა მედია

სპორტი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 ნოემბერი **სამშაბათი** 2011
№257 (13554) ფასი 80 თეთრი

11

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდების შედეგების მოლოდინს გადაეჯარება

დღეს ჩემპიონთა ლიგაში

წინათქმა 6

39

E რიდეთ! ბალაკი მეგოქეს თავს ნიღბით დაესხმება

F რანგი მწვრთნელი ფრანგულ გუნდს თე ბოუგეგს, დორგმუნდს გაუხარდება

G აგიკვირდებათ, აპოელმა მერვედფინალს რომ მიუკაკუნოს?

H არი პარალე მილანისა და გარსელონასთვის

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ფუტსალი

უეფას ვერდიქტს ამ კვირაში ველით

3

კალათბურთი

ფაჩულია: ისევ კუნთი...

12

რაგბი

საფრანგეთში ბუნტი ყოფილა

13

ქართული ფეხბურთი

● U 17

კითხვა ელიტის დონეზე: ვინ?

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის საგზური. პირველი შესარჩევი ეტაპი თითქმის ყველა ჯგუფში დასრულდა და **ვასილ მაისურაძის** გუნდის პოტენციური მეტოქეებიც გაირკვა. ერთადერთი, ფარერებისა და ლუქსემბურგის ხვალინდელ მატჩს უნდა დაველოდოთ — გამარჯვების შემთხვევაში ელიტრაუნდში ლუქსემბურგი გავა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ადგილი შეიძლება ჩრდილოეთ ირლანდიამ დაიკავოს.

დანარჩენი ელიტრაუნდელები არიან: უნგრეთი, ბელარუსი, რუსეთი, პორტუგალია, შოტლანდია, თურქეთი, ჩეხეთი, ირლანდია, დანია, იტალია, ჰოლანდია, ინგლისი, ბელგია, უკრაინა, შვედეთი, საქართველო, სერბეთი, ლიტვა, საფრანგეთი, ესპანეთი, პოლონეთი, გერმანია, ალბანეთი, ისლანდია, შვეიცარია, ყაზახეთი, მაკედონია.

ყაზახეთი და მაკედონია ჯგუფიდან საუკეთესო მესამეადგილოსნების სტატუსით გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ელიტრაუნდის მიღმა დარჩნენ ისეთი ძლიერი საფეხბურთო ქვეყნები, როგორებიც ნორვეგია, რუმინეთი, ხორვატია და საბერძნეთი არიან.

ელიტრაუნდის წილისყრა დეკემბერში გაიმართება და განთესვისას პირველი შესარჩევი ეტაპის ჯგუფში დაკავებულ ადგილს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. კალათებში განაწილებისას მნიშვნელობა ბოლო წლებში ნაჩვენებ შედეგებს მიენიჭება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ნაკრები მეოთხე ან, საუკეთესო შემთხვევაში, მესამე კალათაში მოხვდება.

ლევან ჯანეზაშვილი

● U19

დევდარიანი არჩევანის წინაშე

გუშინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ციკლისთვის დასკვნითი შეკრება დაიწყო. **გიორგი დევდარიანის** გუნდი სასტუმრო „სიმპათიაში“ 6 ნოემბრამდე იცხოვრებს და თურქეთის ქალაქ ესქიშეჰირში იმავე ღამეს გაემგზავრება. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ჯგუფში ქართველთა მეტოქეები თურქეთის, პოლონეთისა და ლუქსემბურგის ნაკრებები იქნებიან.

გიორგი დევდარიანი თურქეთში წასაყვან 18 ფეხბურთელს ამ 23-კაციანი შემადგენლობიდან აარჩევს:

დავით ლეგაშვილი („სასკო“), **გიორგი პაპავა, თედო კაკულია, ლაშა პარუნაშვილი, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ლევან ტყეშელაშვილი, ნიკა სანდოხაძე, დავით ხოჭოლავა, არჩილ ტვილდიანი** (ყველა - „დინამო“ თბილისი), **ავთო ენდელაძე, გურამ სამუშია** (ორივე - „ბაია“, ზუგდიდი), **ბუბა რუხაძე** („სპარტაკი“, ცხინვალი), **თორნიკე გრიგალაშვილი, ნოდარ კიკნაველიძე** (ორივე - „ზესტაფონი“), **გიორგი კალანდია** („ვიტ ჯორჯია“), **ვალერი კილასონია, დავით გელაშვილი** (ორივე - „სპარტაკი“, ცხინვალი), **გიორგი ჭანტურია, ვალერი ყაზაიშვილი** (ორივე - „ვიტესი“, ჰოლანდია), **მერაბ გიგაური** („იაგელონია“, პოლონეთი), **გიორგი ჯგერენაია** („გაგრა“), **დავით სხირტლაძე** („ორჰუსი“, დანია), **კონსტანტინე ზარნაძე** („ოლიმპსი“, ლატვია).

თბილისურ შეკრებას მხოლოდ გიორგი ჭანტურია გამოაკლდება, რომელიც გუნდს პირდაპირ თურქეთში შეუერთდება.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერი

ხან რა, ხან რა... დავიღალე!

თემურ ქეცბაია მოლდოვასთან ამხანაგური მატჩისთვის 24 ფეხბურთელს უხმო, რომელთა შორის არ არის **დავით დევდარიანი** — "ორჰუსის" 24 წლის ქართველი პლეიმეიკერი კვლავ ტრავმირებულია და გუნდს ვერ ეხმარება.

შეგახსენებთ, რომ ქეცბაიამ დევდარიანი საბერძნეთთან შეხვედრისთვისაც გამოიძახა, მაგრამ დანიაში მოთამაშე ქართველი შეკრებაზე ვერ გამოცხადდა.

მაშინ ნაკრების ხელმძღვანელები ეჭვობდნენ, რომ დევდარიანს შეკრებაზე ან კლუბი არ უშვებდა, ან თავად არ სურდა ჩამოსვლა, რის გამოც ქეცბაიამ უკმაყოფილება ვერ დამალა.

მაგრამ გაირკვა, რომ დათო ტრავმირებული იყო და ვერ ვარჯიშობდა. საქმე ისაა, რომ ზაფხულში მინიოპერაცია გაიკეთა და სამი თვე გაუცდა. მერე ვარჯიში დაიწყო, ითამაშა კიდეც, მაგრამ პრობლემებმა კვლავ იჩინა თავი და კუნთი ასტკივდა. მართალია, სერიოზული არაფერია, მაგრამ ექიმმა ისევ დასვენება და მკურნალობა ურჩია. არადა, მართლაც ძალიან ცუდი დამთხვევები იყო - ყოველ მიწვევაზე ტრავმა ახსენებდა თავს.

დათო ახლაც ვერ ვარჯიშობს, ფიზიოთერაპიის კურსსა და აღდგენით ვარჯიშებს ამთავრებს და ჯერ სრული დატვირთვა არ შეუძლია. დანიის სუპერლიგის მე-14 ტურში "ორჰუსმა" "კოგეს" 2:0 რომ სძლია, დევდარიანი განაცხადში ამჯერადაც არ იყო.

"სამწუხაროდ, ტრავმა დღემდე ვერ მოვირჩინე. ხან რა მაწუხებს, ხან რა, მიზეზი აღარ ილევა და ძალიან დავიღალე. იმედია, ტრავმიანობის პერიოდს მალე დავასრულებ და მოედანს დავუბრუნდები" – გვითხრა დევდარიანმა.

დავით დევდარიანი

მერაბ მამულაშვილი

● კოლხეთი

ფილიას გაუშვეს, მაგრამ კოლხეთი ავარჯიშა

სანაია დანიშნეს, მაგრამ ჯერ არ ადასტურებენ

მიზეზი გუნდის ფინანსური გასაჭირია, არსებობს კი გეგმა, რომ, ვთქვათ, ხუთ წელიწადში "კოლხეთზე" გარკვეული თანხა დაიხარჯოს და კლუბმა ყოველი ახალი სეზონის დაწყებამდე ამაზე არ იმკითხაოს?

- ეს გეგმა იქნება. მე ორი კვირის დანიშნული ვარ და უკვე ვმუშაობ იმ საკითხზე, რომ "კოლხეთი" ქალაქის ბიუჯეტმა და პლუს ბიზნესმენებმა სტაბილურად დაფინანსონ. ჩვენი მიზანი სწორედ ესაა, გუნდი სტაბილურად უნდა დაფინანსდეს.



სოსო ფილია

გელა სანაია

- შევიტყვეთ, რომ მოედნის გარდა, მთლიანად "ფაზისის" რეკონსტრუქცია იგეგმება.

- მოედანზე საფარს მთავრობისა და ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი გეგმით აგებენ, ფოთის ხელმძღვანელობა კი განათების სისტემას, ტრიბუნების განახლებასა და ახალი ტაბლოს დამონტაჟებას დააფინანსებს. უნდა შეიცვალოს სანიაღვრე არხები და სარწყავი სისტემა, საბოლოოდ კი, ფოთში საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი უნდა მოეწყოს. ამას გარდა, ფეხბურთის ფედერაცია 3,5 ათასი ინდივიდუალური სკამით დახმარებას დაგვპირდა. ეს პატარა ამბავი არ იქნება.

- სავარაუდოდ, რა იქნება კლუბის წლიური ბიუჯეტი?

- ეს მალე გაირკვევა.

- როდისღა? პირველი წრე უკვე დამთავრდა.

- დამიჯერეთ, მალე. დავალიანებებიც უკვე გასტუმრებულია და წინსვლა აუცილებლად იქნება.

მერაბ მამულაშვილი

კვირას ფოთის "კოლხეთმა" ლანჩხუთში რუსთავის "მეტალურგს" 3:1 მოუგო. სტადიონზე არ ჩანდა კოლხების დამრიგებელი **სოსო ფილია**. როგორც გვითხრეს, გუნდში ხელმძღვანელობა შეიცვალა, ახალ დირექტორად **ზაალ კუჭუხიძე** დაინიშნა, ფილია კი ცუდი შედეგების გამო გაუშვეს.

რუსთაველებთან მატჩამდე, ანუ 11 ტურის შემდეგ ფოთელები 9 ქულით მე-11 ადგილზე იყვნენ ორად ორი გამარჯვებით („გაგრასთან“ და „სიონთან“) და 8 საუკეთესოში მათი მოხვედრა საეჭვო იყო.

"მეტალურთან" სათამაშოდ გუნდი მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **დავით მახარაძემ** გაიყვანა. მატჩის შემდეგ "კოლხეთის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმაც და ფეხბურთელებმაც გვითხრეს, რომ მოგებას სოსო ფილიას უძღვნიდნენ.

თურმე, გუნდი ფილიას გაშვებას ეწინააღმედეგებოდა და ამის შესახებ თავისი აზრი ღიად დააფიქსირეს. თუმცა ყველა ამბობს, რომ ფილიას მხარდაჭერა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იწუნებენ **გელა სანაიას,** რომლის დანიშვნაც "კოლხეთის" ახალ ხელმძღვანელებს უკვე გადაწყვეტილი აქვთ.

სანაია ცოტა ხნის წინ უმუშევარი იყო, ახლა კი უცებ გაახსენდათ ნიჭიერი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელმაც თბილისის "ლოკომოტივსა" და "სამტრედიაში" თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა. ის ორი კვირის წინ პირველი ლიგის ხობის "კოლხეთის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, ახლა კი ფოთელებმა მიიწვიეს.

სხვათა შორის, სანაია კოლხების "მეტალურგთან" მატჩს გუნდის ხელმძღვანელებთან, პრეზიდენტ **თენგიზ სარიშვილთან** და დირექტორ **ზაალ კუჭუხიძესთან** ერთად ადევნებდა თვალს.

მწვრთნელის საკითხზე "კოლხეთის" პრეზიდენტმა **თენგიზ სარიშვილმა** კომენტარი არ ისურვა, თუმცა შევიტყვეთ, რომ სანაიასთან კონტრაქტის გაფორმება 7 ნოემბერს იგეგმება.

სოსო ფილიას თქმით კი, იგი შეუძლოდ იყო და ლანჩხუთში ამიტომ არ იმყოფებოდა, გუშინ კი გუნდი ავარჯიშა. გვითხრეს, ამ გაურკვევლობას წერტილი უახლოეს დღეებში დაესმებაო.

■ ■ ■

მწვრთნელის თაობაზე კომენტარისგან "კოლხეთის" ახალდანიშნულმა დირექტორმა ზაალ კუჭუხიძემაც შეიკავა თავი, სხვა თემებზე კი ვილაპარაკეთ.

- მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: "კოლხეთი" ეკონომიკის სამინისტროს ბალანსიდან ფოთის თვითმმართველობას გადმოეცა, რადგან ქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე დაინტერესებულნი არიან, რომ "კოლხეთმა" წარმატებით ითამაშოს. ამას გარდა, სტადიონის სარეკონსტრუქციოდ სერიოზული სამუშაოები მიმდინარეობს. ცხადია, ქალაქის ბიუჯეტიდან საამისოდ გარკვეული თანხები გამოიყოფა.

- იქნება თუ არა ეს დაფინანსება სისტემატური? აქამდეც ხომ სულ იმაზეა ლაპარაკი, დაფინანსდება თუ არა გუნდი, ამ გაურკვევლობის გამო კი "კოლხეთი" სტაბილურ ვითარებას ვერ ეღირსა. ამას წერტილი ხომ უნდა დაესვას...

- რა თქმა უნდა, ეს თანხა ქალაქის ბიუჯეტში ჩაჯდება. ამას გარდა, ქალაქის მერი მუშაობს, რათა "კოლხეთის" დაფინანსებაში პორტიც ჩაერთოს.

- წლებია, ეს მოლაპარაკება მიმდინარეობს, მაგრამ გუნდში ისევ გაურკვევლობაა.

- საქმე ისაა, რომ პორტთან დაკავშირებით ვითარება შეიცვალა, ახალი პარტნიორი, გადამზიდავი კომპანია "მაერსკი" შემოვიდა, რომელიც თანახმაა, სეზონის განმავლობაში "კოლხეთს" 100 ათასი დოლარით დაეხმაროს. მათ უკვე შეიძინეს ახალი ფორმები და შეკრება დაგვიფინანსეს. ამას გარდა, სტადიონის მშენებლობაშიც გვერდში დაგვიდგებიან. თავის მხრივ, სერიოზულ დახმარებას გვპირდებიან ბიზნესწრეებიც.

- სოსო ფილიას წარუმატებლობის

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

ПАЛИТРА МЕДИИ ЦХЕЛИ ХАЗИ: 383-384. ЕЛЕКТРОННАЯ ПОЧТА: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეზდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ფუტსალი

საქართველო-მოლდოვა — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.msy.gov.ge)

რა გამოხლართავს ამ ჩახლართულს?

უეფას ვერდიქტს ამ კვირაში ველოდებით

კვირაზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მოლდოვას პენალტების სერიით სძლია და მსოფლიოს ფუტსალის ჩემპიონატის მეორე ეტაპის საგზური მოიპოვა, თუმცა ისიც გეხსომებათ, რომ საქმე გაგვირთულდა.

შეგახსენებთ, მოლდოვის ფუტსალის ფედერაციამ უეფაში საჩივარი შეიტანა, მატჩის დელეგატს პენალტები კი არ უნდა დაენიშნა, რაკი მოლდოვისა და საქართველოს ნაკრებებს ჯგუფში აბსოლუტურად ყველა მაჩვენებელი იდენტური ჰქონდათ, ფიფას რეიტინგში უკეთესი პოზიციის წყალობით ჯგუფის გამარჯვებულად ჩვენ უნდა გამოცხადებულიყავითო.

უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე ჯგუფის გამარჯვებულად კვლავაც საქართველოს ნაკრებია დასახელებული, მაგრამ იქვე მინიშნებულია, რომ ეს საკითხი განხილვის სტადიაშია.

ფაქტია, რომ უეფას დელეგატმა შეცდომა დაუშვა, მაგრამ ისიც უსამართლობა იქნება, ამის გამო საქართველოს ნაკრები დაზარალდეს. მოლდოველები იმედს არ კარგავენ, რომ მატჩის შედეგი გაუქმდება, თუმცა გაუგებარია, ამ შემთხვევაში ვინ გამოცხადდება ჯგუფის გამარჯვებულად. დიდი დრო მეორე შესარჩევ ეტაპამდეც არ რჩება და გადათამაშების დანიშვნაც წარმოუდგენლად გვეჩვენება. ბუნებრივია, მეორე რაუნდში ორივე გუნდის ერთად დაშვებაც არ არის ჭკუასთან ახლოს...

მოკლედ, სიტუაცია ძალიან ჩახლართულია და იმედია, დელეგატის შეცდომის გამო ჩვენ არ დავზარალდებით. უეფა საკუთარ ვერდიქტს, სავარაუდოდ, ამ კვირაში გამოაცხადებს.

ლევან ჯანეზაშვილი

იბერია სტარს ბრაზილიელები კიდევ შეემატებიან

იბერიამ ძალა შეიმატა: ისევ ბრაზილიელები

საქართველოს ჩემპიონმა „იბერია სტარმა“ ახლახან ევროპის ფუტსალის თასის პირველ ჯგუფურ ეტაპზე იმარჯვა და ელიტრაუნდისთვის ემზადება.

ტურნირს პორტუგალია უმასპინძლებს, ფინალურ ოთხგუნდიან ეტაპზე კი მხოლოდ ჯგუფების გამარჯვეებულები გავლენ. თამაშები 16 ნოემბერს დაიწყება, ჩვენების მოწინააღმდეგეები კი ლისაბონის "სპორტინგი", რუმინული "ტარგუ მურეში" და უნგრული "დიორი" იქნებიან.

"ელიტრაუნდში გასვლის შემდეგ გაძლიერება გვჭირდებოდა, რადგან "სპორტინგი" რეიტინგით ევროპის პირველი გუნდია. წლისწყრა 11 ოქტომბერს გაიმართა და როდესაც ჩვენი მეტოქეების ვინაობა გაირკვა, ჩვენმა პრეზიდენტმა ვახტანგ წერეთელმა ახალი ფეხბურთელების ჩამოყვანა გადაწყვიტა. ელიტ-რაუნდისთვის "იბერია სტარი" კიდევ ორი ფეხბურთელით გაძლიერდა. ესენი არიან ასასიო დე კალაის ნეტო და დანიელ იუჯი საკაი. ორივე 20 ოქტომბერს ჩამოვიყვანეთ. ისინი "კორინთიანსში" ერთად თამაშობდნენ, ასასიო დე კალაის ნეტო ბრაზილიელია, დანიელ იუჯი საკაი კი ბრაზილიელი იაპონელი. ორივეს უთამაშია ჩვენს ბიჭებთან და ბრმად არ ჩამოვიყვანია – მათ შესაძლებლობებს ვიცნობთ" – გვითხრა "იბერია სტარის" მენეჯერმა **გიორგი დარჯანიამ**.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

ანანიძემ ვარჯიში განაახლა

კოჭის ტრავმის გამო 19 წლის ნახევარმცველ **ჯანო ანანიძეს** წლეულს საკმაო დრო გაუცდა, ამჟამად კი თავს კარგად გრძნობს და, თუ ბოლო პერიოდში ინდივიდუალურად ვარჯიშობდა, ახლა უკვე შეუდგა მოსკოვის "სპარტაკის" შემადგენლობასთან ერთად სრული დატვირთვით წვრთნას.

ასე რომ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ჯანო საქართველოს ეროვნული ნაკრების უახლოეს მატჩს არ გამოტოვებს. ვნახოთ, როგორ ფორმაში იქნება 11 ნოემბერს, მოლდოვასთან თბილისში გასამართი ამხანაგური შეხვედრისთვის.

ნიკა გვათუა

ვაჟა თარხნიშვილი

ახალგაზრდები, ვეტერანები, გოლები, გაძევება და მეკარე

ჯაბა ლიპარტიასთვის უკრაინის ჩემპიონატის გასული ტური წარუმატებელი გამოდგა. მისი "ზარია" შინ ლუცკის "ვოლინთან" 0:2 დამარცხდა, ლიპარტიასთვის კი ყველაზე მწარე ის არის, რომ უკვე მე-5 წუთზე მეტოქის მეკარესთან უხეშობისთვის მოედნიდან გააძევეს.

მატჩი სრულად ჩაატარა "კრივბასის" მცველმა **უჩა ლობჟანიძემ**, რომლის გუნდმაც კიევში "არსენალთან" 0:2 წააგო. "ტავრიამ" საკუთარ მოედანზე კიევის "დინამოსთან" 0:0-ს მიაღწია, თუმცა ამაში წვლილი არ შეუტანია სიმფეროპოლელთა ვეტერან ფორვარდ **ვასილ გიგიაძეს**, რომელიც თავიდან ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ლევან კობიაშვილის, გიორგი შაშიაშვილისა და **გიორგი ნერგაძის** გოლებზე "ლელოს" გუშინდელ ნომერში შედარებით ვრცლად გიამბეთ, გამცნეთ ისიც, რომ სერბეთის ჩემპიონატში გოლით გამოიჩინა თავი **გიორგი მერებაშვილმა**. მან "სპარტაკ სუბოტიცას" კარი დალაშქრა და მერებაშვილის "ვოივოდინა" შინ 1:1-ს დასჯერდა. გუნდის ქართველმა ლიდერმა 75-ე წუთზე ანგარიში გახსნა, მაგრამ მასპინძლებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს.

აზერბაიჯანში **ილია კანდელაკმა** გაიტანა, რომლის "ინტერმაც" სტუმრად "რავანს" 2:1 სძლია. ქართველმა მცველმა 44-ე წუთზე ანგარიში ორამდე გაზარდა. კანდელაკის გარდა, ბაქოური კლუბის ძირითადში **გიორგი ლომაიამ, ვალერი აბრამიძემ** და **ბაჩანა ცხადაძემ** ითამაშეს.

შოთა არველაძის "ქაისერისფორის" მარცხი გასაკვირი ნამდვილად არ იყო – ქაისერელები ხომ შინ "გალათასარაისთან" 0:2 დამარცხდნენ. **ზურაბ ხიზანიშვილმა** სრულად ითამაშა.

დისკვალიფიკაციის შემდეგ "ვიტესის" ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა **გიორგი ჭანტურია**, რომელიც სტუმრად "გრააფსხაპთან" 1:0 მოგებულ შეხვედრაში მოედანზე 88-ე წუთამდე იყო.

საფრანგეთის რანგით მეორე ლიგაში "ლე მანმა" "ბულონს" უმასპინძლა და 1:0 გაიმარჯვა. მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა "ლე მანის" ძირითადში მყარად დამკვიდრებულმა **გიორგი მაკარიძემ**. ახალგაზრდა ქართველმა მეკარემ რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია და თავისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

აღსანიშნავია, რომ "შერიფის" სასტარტო შემადგენლობაში ადგილს ინარჩუნებს 40 წლის **ვაჟა თარხნიშვილი**. მან კიშინიოვში "ზიმბრუსთან" პრინციპული მატჩი სრულად ჩაატარა, "შერიფმა" კი 1:0 მოიგო, 14 ტურის შემდეგ მოლდოვის ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს და უმთავრეს კონკურენტ "დაჩიას" ერთი ქულით უსწრებს.

ლევან ჯანეზაშვილი



ვახტანგ ქორიძემ თანამდებობა დატოვა

აჭარის ფედერაციას გოგიბერიძე თავკაცობს

ბოლო ორი წელია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციას თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი **ვახტანგ ქორიძე** თავკაცობდა, ახლახან კი მან თანამდებობა დატოვა და მის ნაცვლად აჭარის ფედერაციას **სულხან გოგიბერიძე** უთავკაცებს, რომელიც მანამდე ბათუმის "დინამოს" პრეზიდენტი იყო.

მერაბ მამულაშვილი

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“ გამოთქვამს მწუხარებას გუნდის მთავარი მწვრთნელის, ზურაბ ბერიძის შვილიშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯები

ასეც ხდება: მსაჯებს ალამი აუწიეს

ცოტაც ვიხუმროთ: ისე, როგორია ოფსაიდში?

რამდენიმე დღის წინ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სარბენ ბილიკებზე ქართველმა მსაჯებმა ნორმატივები ჩააბარეს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილება შედეგებით კმაყოფილი დარჩა. ტესტი, რომელიც, როგორც წესი, წელიწადში ოთხჯერ ტარდება, მსაჯთა უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა. ხელი მხოლოდ სამს მოეცარა. მათი გვარები არ სახელდება, მაგრამ შევიტყვეთ, რომ მათგან ორი არბიტრია, ერთი კი – ლაინსმენი.

დაინტერესებულ გულშემატკივარს შეუძლია, თვალი ადევნოს ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების უახლოესი მატჩების სამსაჯო დანიშვნებს და თავად ნახავს, ვინ დარჩა "თამაშგარეში".

ბუნებრივია, მათ, ვინც ნორმატივები ვერ ჩააბარეს, კარიერის გაგრძელების შანსი უახლოეს ტესტისას მიეცემათ.

ლევან ჯანეზაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი | *უმაღლესი ლიგა. XII ტურის მიმოხილვა*

განსაკუთრებული, გამორჩეული...

ზესტაფონი-ტორპედო 0:1. ედიკ საჯაია (მარცხნივ), გივი იოსელიანი

არჩილ გეგენავას ფოტო

...ვიდრე მეორე წრე დაიწყებოდა, ამ სეზონში ორი ისეთი მატჩი ჩატარდა, თამაშის ხარისხითაც და სანახაობრივადაც გამორჩეული რომ იყო: „ტორპედო“-„დინამოსა“ და „დინამო“-„მეტალურგის“ დაპირისპირებებს ვგულისხმობთ. თუმცა, მეორე წრის დაწყებისთანავე ისეთი შეხვედრა გველოდა, წინდაწინვე უდიდეს ინტრიგას რომ გვპირდებოდა: „ზესტაფონი“-„ტორპედო“! „იმერული დერბი-სადმი“ ინტერესს ძალიან ბევრი ფაქტორი განაპირობებდა, თუმცა უმთავრესი მაინც სამწვრთნელო იყო: **გია გეგუჩაძე** პირველად უნდა დაპირისპირებოდა თავის ყოფილ გუნდს! არც ის მიგვაჩნდა უმნიშვნელო ფაქტად, რომ თავის ახლა გუნდთან („ტორპედო“) ერთად გეგუჩაძემ ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო, ხოლო მის ყოფილ თანაშემწეს, ამჟამად კი „ზესტაფონის“ მთავარ მწვრთნელ **გიორგი ჭიაბრიშვილს** უფრო ხანგრძლივი, ზედიზედ მოგებული ხუთმატჩიანი სერია ჰქონდა. გასათვალისწინებელი იყო მეზობლების სატურნირო მდგომარეობაც: „ზესტაფონი“ ამ ტურამდე „საჩემპიონო გრაფიკით“ მიდიოდა და სრულიად დამსახურებულად იმყოფებოდა ცხრილის პირველ საფეხურზე; რაც შეეხება „ტორპედოს“, აშკარად არასახარბიელო სტარტის მერე გუნდმა შვიდ შეხვედრაში ექვსი მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და ლიდერთა სამეულშიც დამკვიდრდა.

მოკლედ, ყველას დიდი მოლოდინი გვქონდა და ეს მოლოდინი თითქმის 100 პროცენტით გამართლდა! მოდი, ჯერ ის ვთქვათ, რომ კვირას ამ სეზონის უდავოდ გამორჩეული მატჩი ვიხილეთ და ამისათვის ორივე გუნდი მხოლოდ და მხოლოდ ქებას იმსახურებს. რაც მთავარია, თამაში არც ერთ გუნდს „არ ჩაუკეტავს“, პირიქით, „ღია ფეხბურთი“ შემოგვთავაზეს და ზესტაფონის სტადიონის გადაჭედილ ტრიბუნებზე მყოფ გულშემატკივრებთან ერთად ტელემაყურებელიც, უდავოდ, კმაყოფილი დარჩებოდა. ამ საინტერესო შეხვედრის დეტალურ აღწერას აღარ დავუბრუნდებით, უბრალოდ, რამდენიმე განსაკუთრებულ და გამორჩეულ ფაქტორს გვინდა ხაზი გავუსვათ. მოდი, ჯერ ის ვთქვათ, ბევრად უფრო გამოცდილმა გია გეგუჩაძემ თავის ახალგაზრდა კოლეგას „ტაქტიკური დუელი“ რომ მოუგო; ვინმემ, შესაძლოა, 31 წლის **დავით დიღმელაშვილის** გამარჯვების მომტანი ის ერთადერთი გოლი „შემთხვევითობას“ (უფრო ზუსტად, მასპინძელთა მეკარის შეცდომას) დაბრალოს, მაგრამ, აბა, გავიხსენოთ, თუ რამდენი სწრაფი და სახიფათო შეტევა განახორციელა „ტორპედომ“ 90 წუთის განმავლობაში? აღარაფერს ვამბობთ გეგუჩაძის მიერ განხორციელებულ მართლაც გონივრულ და ეფექტიან შეცვლებზე: ორი სწრაფი და ენერგიული ახალგაზრდა ფეხბურთელის, 20 წლის **ნიკოლოზ საბანაძისა** და 21 წლის **გივი იოსელიანის** მოედანზე გამოჩენით სტუმრებს უმწვავესი კონტრშეტევების განხორციელების საშუალება მიეცათ. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ზესტაფონმაც“ ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა (განსაკუთრებით, პირველი ტაიმის დასკვნით ნაწილში) და არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელის, 23 წლის **თორნიკე გორგიაშვილის** დარტყმული ბურთი ძელს რომ არ მოხვედროდა; აღარაფერს ვამბობთ „ტორპედოს“ 27 წლის მეკარის **ომარ მიგინეიშვილის** უკვე მერამდენე შთამბეჭდავ მატჩზე! და კიდევ ერთი, თანაც არცთუ უმნიშვნელო ნიუანსი: მთლიანობაში, „ზესტაფონი“ ბევრად უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში „სწორი“ და ორგანიზებული თამაშით შესაძლებელია ძლიერი მეტოქის დამარცხება, რაც „ტორპედომ“ შეძლო კიდეც. ამ ნარმატებით კი გია გეგუჩაძის ახალი გუნდი ფრიად კომფორტულ მეორე ადგილზე „ნამოსკუპდა“ („დინამოსთან“ უპირატესობა ურთიერთშეხვედრებში აქვს) და შესაძლოა, ვინმესთვის ნაადრევი, მაგრამ მაინც საჩემპიონო „განაცხადიც“ გააკეთა! ისე, ამ თვეში მატჩები გველოდება, თქვენი მონონებული — ჯერ „დინამო“-„ტორპედოა“ (20 ნოემბერს), ერთი კვირის შემდეგ კი — „ზესტაფონი“-„დინამო“!..

დაბოლოს, ამ მატჩთან დაკავშირებულ კიდევ ერთ და განსაკუთრებული ფაქტორზეც: მშვენიერი მატჩი რომ გამოვიდა, ორივე გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელთა უდიდესი დამსახურებაა; თუმცა, არანაკლები წვლილი შეიტანა ამ საქმეში... გულშემატკივარმაც! ასეთი პრინციპული მეტოქეების დაპირისპირებას, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის თან ახლავს ხოლმე ტრიბუნებზე (მის გარეთაც) უწესრიგობა თუ „საქმეების გარჩევა“; ბოლოს და ბოლოს, წინა სეზონი არ იყო, ამავე გუნდების სათასო დაპირისპირების დროს არასასიამოვნო ამბები რომ მოხდა? საბედნიეროდ, ამჯერად მსგავსი კი არა, მიახლოებულიც არაფერი მომხდარა და საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობასთან ერთად ადგილობრივ ქომაგთა თუ წესრიგის დამცველთა შესაშური მოქცევაც უნდა აღინიშნოს. ისე, ურიგო ფესტი არც „ტორპედოს“ ხელმძღვანელებს გაუკეთებიათ — 90 წუთის განმავლობაში მატჩს საპატიო სტუმართათვის განკუთვნილი ვიპ-ლოჟის ნაცვლად... ტრიბუნებიდან, ქუთათური ქომაგების გარემოცვაში რომ ადევნებდნენ თვალს ...

საჭირო და... არასაჭირო მატჩები

ტურის ცენტრალურმა და გამორჩეულმა შეხვედრამ სხვა დანარჩენი მატჩები „ჩრდილში მოაქცია“, არადა რამდენიმე გამორჩეული ფაქტი სხვაგანაც მოხდა; ბოლოს და ბოლოს, სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა ბოლნისის „სიონმა“: ახალგაზრდა მწვრთნელის, **ლევან ბაჯელიძის** შეგირდებმა არაოპტიმალური შემადგენლობით მოასპარეზე „ბაიას“ კარში ორი უპასუხო ბურთი გაიტანეს და დამსახურებული მოგებაც მიითვალეს. თანაც, ზედიზედ მესამე მატჩია მოედანს უგოლოდ არ ტოვებს „სიონის“ მარცხენა გარემარბი 25 წლის **გიორგი ქუცურუა** და ამას სამივეჯერ სტანდარტულების ზუსტად შესრულებით ახერხებს: „კოლხეთსა“ და „მეტალურგს“ საჯარიმო დარტყმებით გაუტანა, „ბაიასთან“ კი პენალტი შეასრულა ზუსტად. „სიონის“ მიერ „ბაიას“ ძლევა შესაძლოა, საქართველოში გაუკვირდა ვინმეს, აი... ევროპაში კი, თურმე ასე არ ფიქრობდნენ; ყოველ შემთხვევაში ევროპის წამყვან საბუქმეიქერო კანტორებში მატჩის დღეს „სიონის“ მოგებაზე ფსონი „არანორმალური“ სისწრაფით მცირდებოდა...

ბევრისთვის მოულოდნელი იყო „მეტალურგის“ მარცხიც — რუსთაველებმა „დანამოსთან“ შთამბეჭდავი გამარჯვების მერე სამ შეხვედრაში მხოლოდ 4 ქულის მოპოვება მოახერხეს. თუმცა, მეორე ეტაპისათვის ამ დაკარგულმა ქულებმა დიდი ალბათობით, შესაძლოა არც არაფერზე იმოქმედოს: „სიონი“ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა ერთობ გაუჭირდება „კოლხეთსაც“ დიდი ბრძოლა მოუნევს და როგორც ადრე აღვნიშნეთ, პირველი ეტაპის ბოლომდე ფავორიტებისაგან კვლავაც უნდა ვეღოდოთ „არასაჭირო“ მატჩებში ქულების „დაკარგვას“. თუმცა, ვინმემ ისე არ გაიგოს, თითქოსდა იმას ვამტკიცებდეთ, რომ „ბაიამ“ და „მეტალურგმა“ ბოლო ტურში მატჩები „შეგნებულად“ დათმეს; ბოლოს და ბოლოს, ორივე გუნდს ხომ საკმარისზე მეტად მოტივირებული მეტოქეები ჰყავდათ და ეგაც რომ არ იყოს, ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ჩასატარებელ მატჩებში მუდამ წარმატებული თამაშიც ძნელია...

აი, „დინამოსთვის“ და ამ გუნდის ესპანელი თავკაცისათვის პირველი ეტაპის ბოლომდე „საჭირო“ თუ „არასაჭირო“ მატჩები არ იარსებებს: აღარ გვინდა გავიმეოროთ, თუ როგორი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფება **ალექს გარსია;** თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, „ზემოდან“ შეფუცხუნებამაც რომ სასიკეთოდ იმოქმედა: „დინამომ“ ზედიზედ 2 მატჩი მოიგო მშრალი ანგარიშით და ორივე მატჩში მეტოქეთა კარში გოლები მხოლოდ და მხოლოდ გარსიას თანამემამულე ფეხბურთელებს გაჰქონდათ (31 წლის **ჩისკომ** და 23 წლის **კოტომ** ორორი ბურთი გაიტანეს, ერთიც 28 წლის **ალვარომ**).

გია ტუხაშვილი

*P.S. გასულ ტურში ორი ისეთი მატჩიც იყო, გუნდი მოედანზე ახალმა მწვრთნელმა რომ გამოიყვანა — **რამაზ სოლოლაშვილმა** („დილა“) და **დავით მახარაძემ** („კოლხეთი“); თუმცა XXIII ჩემპიონატში სამწვრთნელო გადაადგილებები ხომ უკვე ჩვეულებრივ და ლამის ყოველდღიურ ამბად იქცეს. ისე კი, ტურიდან-ტურამდე მცირდება იმ მწვრთნელთა რიცხვი, სე ზონის დაწყებიდან დღემდე ერთსა და იგივე გუნდში რომ აგრძელებენ მუშაობას; აი, ისინიც, კლუბის ხელმძღვანელთა მხრიდან ჯერჯერობით ნდობით რომ სარგებლობენ: ალექს გარსია („დინამო“), ელგუჯა ქომეთიანი („ბაია“), მალხაზ ყვანია, ზურაბ ბერიძე („ვიტ ჯორჯია“)...*

დინამო-სპარტაკი 2:0. ანგარიში კარლეს კოტომ გახსნა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

● სერია A. X ტურის შეჯამება

იტალიური დერბი ეპიცენტრში

და გმირი სხვა მატჩიდან

ტურის სიმბოლური ნაკრები

ფონტანა (ნოვარა) - **ლიხტშტაინერი** (იუვენტუსი), **ნესტა** (მილანი), **კაროციერი** (ლეჩე), **პასკუალი** (ფიორენტინა) - **ლულიჩი** (ლაციო), **აკვილანი** (მილანი), **მარკიზიო** (იუვენტუსი) - **რამირესი** (ბოლონია), **იბრაჰიმოვიჩი** (მილანი), **დი ნატალე** (უდინეზე).

ტურის სიმბოლურ ნაკრებში ტრადიციულად სამი ფორვარდია, რომლებზეც ერთობლივად 4 გატანილი გოლი მოდის. აქედან ორი **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ანგარიშზეა, რომელმაც „რომასთან" პაექრობაში თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. აქვეა **ანტონიო დი ნატალე**, რომელმაც ტრავმის გამო ნეაპოლური პაექრობა გამოტოვა და დასვენებულმა „პალერმოს" გამარჯვების გოლი გაუტანა.

შესანიშნავად წარმოჩინდა „ბოლონიას" თავდამსხმელი **გასტონ რამირესი**, რომელმაც მისი გუნდის მიერ გატანილ სამივე გოლში მიიღო მონაწილეობა - პირველად თერთმეტმეტრიანი კონადირა, რომელიც **მარკო დი ვაიომ** გოლად აქცია, შემდეგ თავად გაიტანა, ბოლოს კი **სიმონე ლორიას** საგოლე გადაცემა გაუკეთა. მოკლედ, რამირესმა ბრნყინვალე შეხვედრა ჩაატარა და სრულიად დამსახურებულად მოხვდა საუკეთესო ფეხბურთელებს შორის. კარგად წარმოჩინდნენ სხვა ამპლუის რჩეული ფეხბურთელებიც, რომელთა გვარებსაც ზემოთ გაეცანით...

ტურის გმირი

ტურის გმირად ზლატან იბრაჰიმოვიჩი უნდა დავასახელოთ, რომელმაც საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე სეზონში და „მილანის" მიერ „რომას" ძლევაში ლომის წილი დაიდო. შვედმა ორჯერ გაუტანა **მარტენ სტეკელენბურგს** და ორივეჯერ თავური დარტყმებით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარის ჩარჩოში. ამასთან, მთელი შეხვედრის განმავლობაში ბევრს მოძრაობდა და შეტევაში ეფექტური ასპარეზობის გარდა, დაცვასაც ეხმარეობდა. არადა, ამ კომპონენტში შვედი არასდროს ყოფილა ძლიერი. როგორც ჩანს, ზლატანი ოპტიმალურ ფორმაში შედის, ეს კი არ შეიძლება, რომ „მილანის" გულშემატკივრებს არ ახარებდეთ.

ტურის მატჩი

წარმოუდგენელია ისე შევაჯამოთ ტური, რომ დიდ იტალიურ დერბიზე არ გავამახვილოთ ყურადღება. უფრო სწორად, იმ ამბების შესახებ, რომლებიც ამ მართლაც დიდი მატჩის შემდეგ დატრიალდა. ეს იყო უდავოდ ცენტრალური შეხვედრა, რომელმაც ფეხბურთის გულშემატკივართა ინტერესი მსოფლიოს მასშტაბით გამოიწვია. „იუვენტუსმა" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა „ინტერი" და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ მიმდინარე სეზონში სკუდეტოსთვის ბრძოლას აპირებს. აი „ინტერს" კი ნამდვილად ჭაკად აქვს საქმე, მილანური გრანდი მე-16 ადგილზეა სატურნირო ცხრილში და თუ ასე გააგრძელა, ჩემპიონთა ლიგის საგ ზურისთვის ბრძოლას პირველ წრეშივე გამოეთიშება. აღარაფერს ვამბობთ სკუდეტოზე - მილანური გრანდის ქომაგთა დიდმა ნაწილმა უკვე ჩაიქნია კიდეც ხელი საჩემპიონო ტიტულის დაბრუნებაზე.

დიდი იტალიური დერბის შემდეგ, აპენინურ პრესაში არაერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. მაგალითად, „გაძეტა დელო სპორტი" იუწყება, რომ „ინტერის" ბანაკში განხეთქილებაა და ფეხბურთელთა ნაწილი მთავარ მწვრთნელს დაუპირისპირდა. ამბობენ, რომ ამბოხებულებს **დიეგო მილიტო** უდგას სათავეში, რომელიც ძალიან უკმაყოფილოა მისი ამჟამინდელი ყოფით. არგენტინელ ფორვარდს ხშირად უწევს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და არც იტალიურ დერბიში ასპარეზობის საშუალება მისცემია - **კლაუდიო რანიერიმ** შესვენებისას **მაურო სარატე** შეცვალა, თუმცა მის ნაცვლად მოედანზე არა მილიტო, არამედ ახალგაზრდა შემტევი **ლიუკ კასტანიოლი** შეიყვანა. ამით არა მხოლოდ შეცვლილი სარატე, სკამზე მჯდომი მილიტოც გაანაწყენა, რასაც მოჰყოლია კიდეც განხეთქილება. ამ ამბავს ჯერჯერობით არავინ ადასტურებს, თუმცა ცეცხლი რომ უკვამლოდ არ ჩნდება, ესეც ფაქტია.

ტურის ურაზა

დიეგო მილიტო (ინტერის ფეხბურთელი): *„რას ვიტყოდი „იუვენტუსთან" მატჩის შესახებ? - კიდევ ერთხელ ვითამაშეთ საოცრად კარგად, მაგრამ სამწუხაროდ, ისევ დავმარცხდით".*

გლობალური სტატისტიკა

საუკეთესო დასწრება: X ტური, ინტერი-იუვენტუსი, 75 000 გულშემატკივარი

ყველაზე დაბალი დასწრება: II ტური, კიევო-ნოვარა, 7 000 გულშემატკივარი

ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება: იუვენტუსი-პარმა 4:1 (II ტური), ფიორენტინა-პარმა 3:0 (IV), ჯენოა-კატანია 3:0 (IV), სიენა-ლეჩე 3:0 (V), მილანი-პალერმო 3:0 (VII), უდინეზე-ნოვარა 3:0 (VIII), მილანი-პარმა 4:1 (X), სიენა-კიევო 4:1 (X).

ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება: ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური), კალიარი-ლაციო 0:3 (X).

ყველაზე უგოლიანი თამაში: პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური), ლეჩე-მილანი 3:4 (VIII).

სერიები

მოგება: მილანი - 4 თამაში
წაგება: კიევო - 3
წაგებულად: იუვენტუსი - 9
მოუგებელად: ჩეზენა - 9

გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: 19 გოლი - მილანი; 15 - იუვენტუსი, ლაციო.

საუკეთესო დაცვა: 3 გაშვებული - უდინეზე; 6 - სიენა; 7 - იუვენტუსი, ნაპოლი.

უარესი თავდასხმა: 3 გოლი - ჩეზენა; 7 - ლეჩე, კიევო.

უარესი დაცვა: 17 გაშვებული - ნოვარა, პარმა; 16 - ლეჩე, ინტერი.

ზუსტი გადაცემები: 4919 - მილანი; 4662 - იუვენტუსი; 4525 რომა.

კარის მიმართულებით დარტყმები: 146 - იუვენტუსი, რომა; 136 - მილანი.

კარში დარტყმები: 57 - იუვენტუსი; 52 - მილანი; 49 - ჯენოა.

ინდივიდუალური სტატისტიკა

ბომბარდირები: 7 - დი ნატალე (უდინეზე); 6 - ჯოვინკო (პარმა), დენისი (ატალანტა); 5 - პალასიო (ჯენოა), კლოზე (ლაციო), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

ასისტენტები: 7 - ანტონიო კასანო (მილანი); 5 - ალბერტო აკვილანი (მილანი); 4 - ჯიბრილ სისე (ლაციო), როდრიგო პალასიო (ჯენოა).

ზუსტი პასები

716 - ანდრეა პირლო (მილანი); **630** - დანიელე დე როსი (რომა); **607** - ჯორჯო კილინი (იუვენტუსი); **605** - მიგელ ველოზო (ჯენოა); **597** - კრისტიან ლედესმა (ლაციო).

კარის მიმართულებით დარტყმები

44 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); **43** - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); **35** - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); **32** - ჯიბრილ სისე (ლაციო); **27** - ერნანესი (ლაციო).

კარში დარტყმები

17 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); **16** - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); **12** - აგელ არნანდესი (პალერმო), ალესანდრო მატრი (იუვენტუსი), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).

ჯარიმები

28 - ჯამპიერო პინცი (უდინეზე); **27** - სტეფანო მორონე (პარმა), პერპარიმ პეტემაი (კიევო), ნენე (კალიარი); **26** - ვალონ ბერამი (ფიორენტინა).

ციცრები და შაქები

„იუვენტუსმა" „ინტერი" მიჯრით მეორედ დაამარცხა, ბოლოს ასეთი რამ 2005/2006 წლების სეზონში მოხდა;

■ ■ ■

- „ინტერმა" პირველ 9 ტურში 16 გოლი გაუშვა, რაც გუნდის ისტორიაში ყველაზე ცუდი მაჩვენებელია 1929/1930 წლების სეზონის შემდეგ;

■ ■ ■

- „იუვენტუსს" პირველ 9 თამაშში მარცხი არ აქვს, ასეთი რამ ბოლოს 2005/2006 წლების სეზონში მოხდა;

■ ■ ■

- კლაუდიო მარკიზიომ მეოთხე გოლი გაიტანა მიმდინარე ჩემპიონატში, რითიც თავისი რეკორდი გაიმეორა სეზონის მასშტაბით;

■ ■ ■

- „რომას" საკუთარ მოედანზე 2005 წლის შემდეგ არ ჰქონდა წაგებული „მილანთან";

■ ■ ■

- „რომას" საკუთარ მოედანზე „მილანისგან" 3 გოლი 1990 წლის შემდეგ არ ჰქონდა გაშვებული;

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

■ ■ ■

- „მილანის" თავდამსხმელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მე-15 დუბლი გააკეთა სერია A-ში;

■ ■ ■

- „ნაპოლის" თავდამსხმელმა ედინსონ კავანიმ პირველი გოლი გაიტანა გასვლით პაექრობაში აპრილის შემდეგ;

■ ■ ■

- „ნაპოლის" შემტევმა მარიო სანტანამ პირველი წითელი ბარათი მიიღო იტალიაში;

■ ■ ■

- „ლაციომ" მიჯრით მეოთხე გასვლითი პაექრობა მოიგო;

■ ■ ■

- „კალიარიმ" „ლაციოსთან" მარცხით 5-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა საშინაო არენაზე;

■ ■ ■

- ტომაზო როკიმ მე-100 გოლი გაიტანა „ლაციოს" ამუნიციით;

■ ■ ■

- „სიენამ" მიჯრით მესამე საშინაო შეხვედრა მოიგო;

■ ■ ■

- „კიევომ" „სიენას" კარი ერთხელ აიღო, რითიც 435-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა;

■ ■ ■

- „ბოლონიამ" პირველად მოიგო საშინაო შეხვედრა თებერვლის შემდეგ;

■ ■ ■

- „ბოლონიას" თავდამსხმელმა მარკო დი ვაიომ პირველი გოლი გაიტანა აპრილის შემდეგ;

■ ■ ■

- „ფიორენტინამ" 5-მატჩიანი მოუგებელია სერია შეწყვიტა;

■ ■ ■

- „ფიორენტინას" ნახევარმცველმა ანდრეა ლაძარიმ 2009 წლის სექტემბრის შემდეგ პირველად გაიტანა სერია A-ში;

■ ■ ■

- „ლეჩემ" პირველი საშინაო ქულა აიღო მიმდინარე სეზონში, დაუზავდა რა „ნოვარას", 1:1. პიემონტელთათვის" ეს მეასე ფრეა სერია A-ში;

■ ■ ■

- „პარმას" მცველმა გაბრიელე პალეტამ პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში;

■ ■ ■

- „უდინეზე" 5 საშინაო თამაშია ყველა ტურნირზე, რაც გოლს არ უშვებს;

■ ■ ■

- მიმდინარე სეზონში, „პალერმოს" გასვლით თამაშებში არც ერთი გოლი არ აქვს გატანილი;

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	9	5	4	0	15-7	19
2. უდინეზე	9	5	3	1	11-3	18
3. ლაციო	9	5	3	1	15-8	18
4. მილანი	9	5	2	2	19-14	17
5. ნაპოლი	9	4	2	3	13-7	14
6. კატანია	9	3	5	1	12-12	14
7. სიენა	9	3	4	2	11-6	13
8. პალერმო	9	4	1	4	11-11	13
9. კალიარი	9	3	4	2	9-9	13
10. ფიორენტინა	9	3	3	3	10-8	12
11. ჯენოა	9	3	3	3	13-12	12
12. პარმა	9	4	0	5	12-17	12
13. რომა	9	3	2	4	11-11	11
14. ბოლონია	9	3	1	5	8-13	10
15. ატალანტა	9	4	3	2	12-12	9
16. კიევო	9	2	3	4	7-11	9
17. ინტერი	9	2	2	5	11-16	8
18. ნოვარა	9	1	4	4	12-17	7
19. ლეჩე	9	1	2	6	7-16	5
20. ჩეზენა	9	0	3	6	3-12	3

შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა

ლაშა წიკლაური

● ინგლისი. X ტური

სტოკი-ბირმინგემი 1:3

სტოკი (4-4-2): ბეგოვიჩი – უილკინსონი, შოუკროსი (19. აპსონი), ეუდგეიტი, უილსონი (41. ჰუთი) – პენანტი, დილეპი, უილენი, ეზერინგტონი (68. კ. ჯონსი) – უოლტერსი, კრაუჩი.

ნიუკასლი (4-4-2): კრული – სიმპსონი, რ. ტეილორი, კოლოჩინი, ს. ტეილორი – ობერტანი, გათრი (90. გოსლინგი), კაბაიე (78. პერჩი), ხონასი – ბა, ბესტი (86. ამეობი).

გოლი: 0:1 ბა (12), 0:2 ბა (40), 1:2 უოლტერსი (75-პენ), 1:3 ბა (81-პენ)

გაფრთხილება: პერჩი (ნიუკასლი)

კუთხური: 8-2; **ჯარიმა:** 15-10; **კარში დარტყმა:** 7-7 (3-4); **თამაშგარე:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

მაყურებელი: 26 564

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სიტი	10	9	1	0	36-8	28
2. იუნაიტედი	10	7	2	1	27-12	23
3. ნიუკასლი	10	6	4	0	13-7	22
4. ჩელსი	10	6	1	3	23-15	19
5. ტოტენჰემი	9	6	1	2	18-14	19
6. ლივერპული	10	5	3	2	14-10	18
7. არსენალი	10	5	1	4	20-21	16
8. ნორვიჩი	10	3	4	3	14-15	13
9. ასტონ ვილა	10	2	6	2	13-13	12
10. სტოკ სიტი	10	3	3	4	8-14	12
11. სუონსი	10	3	3	4	12-15	12
12. ქუინზ პარკი	10	3	3	4	8-17	12
13. ვესტ ბრომვიჩი	10	3	2	5	9-13	11
14. სანდერლენდი	10	2	4	4	14-12	10
15. ფულჰემი	10	2	4	4	13-12	10
16. ევერტონი	9	3	1	5	10-13	10
17. ვულვზი	10	2	2	6	9-17	8
18. ბლეკბერნი	10	1	3	6	13-23	6
19. ბოლტონი	10	2	0	8	13-27	6
20. უიგანი	10	1	2	7	6-17	5

● ესპანეთი. X ტური

სევილია-გრანადა 1:2

სევილია (4-4-2): ვარასი - კასერესი, სპაჰიჩი, ესკუდე, ნავარო - ხესუს ნავასი, მედელი, რაკიტიჩი, ტროხოვსკი (82. ლუის ალბერტო) - დელ მორალი, კანუტე (46. არმენტეროსი).

გრანადა (4-2-3-1): რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, მაინსი, სიკერა - მ. რიკო, ფ. რიკო - უჩე (77. იგჰალო), აბელი (91. მოისესი), მოლიო (61. ხარა) - ხეიხო.

გოლები: 1:0 დელ მორალი (1), 1:1 ხეიხო (79), 1:2 მ. რიკო (89)

გაფრთხილება: მედელი - სიკერა

კუთხური: 4-7; **ჯარიმა:** 7-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 28-9 (14-5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 30 500

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	10	8	1	1	32-6	25
2. ბარსელონა	10	7	3	0	32-4	24
3. ლევანტე	10	7	2	1	17-7	23
4. ვალენსია	10	6	3	1	15-9	21
5. სევილია	10	4	5	1	11-8	17
6. მალაგა	10	5	1	4	12-14	16
7. ესპანიოლი	10	5	0	5	9-13	15
8. ოსასუნა	10	3	5	2	13-17	14
9. ბილბაო	10	3	4	3	15-12	13
10. ატლეტიკო	10	3	4	3	12-11	13
11. ვალენსიანო	10	3	3	4	10-13	12
12. ბეტისი	10	4	0	6	10-15	12
13. ვილიარეალი	10	2	4	4	9-17	10
14. სარაგოსა	10	2	3	5	10-20	9
15. ვალიოლიდი	10	2	3	5	8-16	9
16. სოსიედადი	10	2	2	6	9-14	8
17. სპორტინგი	10	2	2	6	8-14	8
18. გრანადა	10	2	2	6	4-12	8
19. რასინგი	10	1	5	4	7-15	8
20. ხეტაფე	10	1	4	5	9-15	7

უცხოური ფეხბურთი

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სამშაბათის მატჩების წინ

დორტმუნდის ბოლო შანსი

ვალენსიაც დაწნეხილია, ჯასანოს ჯერაც ვერაფერი გაუგეს...

E ჯგუფი

ვალენსია-ლევერკუზენი

სამი ტურის შემდეგ, „ლევერკუზენი" მეორე ადგილზეა და „ვალენსიას" ოთხი ქულით უსწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ვიცე-ჩემპიონს დღეს მერვედფინალისკენ მინიმუმ დიდი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია, მაქსიმუმ კი ამ საგზურის პრაქტიკული განაღდება. ოღონდ, ამისათვის „მესტალიაზე" გამარჯვებაა საჭირო, თუმცა ფაქტია, რომ გერმანელები არც ფრეზე იტყოდნენ უარს, რაც ფაქტობრივად იმის ნიშანი იქნება, რომ „ღამურები" „ფარმაცევტებს" ველარ დაეწევიან. თავის მხრივ, ეს ყველაფერი იმასაც ნიშნავს, რომ „ვალენსიას" დღეს მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. მოკლედ, „მესტალიაზე" უაღრესად საინტერესო მატჩი გაიმართება. *„ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალთან ძალიან ახლოს ვართ და ამ სიამოვნების მოკლებას არ ვაპირებთ. ვალენსიაში არ წავაგებთ!"* - განაცხადა გერმანელთა საყრდენმა ნახევარმცველმა **ლარს ბენდერმა** ვალენსიაში გამგზავრების წინ.

„ლევერკუზენს" პარასკევს, „ფრაიბურგთან" 1:0-ზე მოგებულ შეხვედრაში მიხაელ ბალაკი დაუშავდა – გამარჯვების გოლის ავტორს ცხვირი გაუტეხეს. მაგრამ 35 წლის ნახევარმცველს დღეს მოედანზე გასვლა სპეციალური ნიღბით შეუძლია. „ვალენსიამ" გენერალური რეპეტიცია „ხეტაფესთან" მატჩში გაიარა და 3:1 მოიგო. „ახლა „ლევერკუზენთანაც" აუცილებლად უნდა მოვიგოთ," - ეს ვალენსიელთა დამრიგებლის, **უნაი ემერის** სიტყვებია, რომელიც დღეს ნიჭიერ **კანალესს** ვერ გამოიყენებს. 20 წლის კანალესი ბილბაოს „ატლეტიკთან" მატჩში (1:1) დაშავდა და მყესების გაწყვეტა დაუდგინეს.

საპარაულო შემადგენლობები

ვალენსია (4-2-3-1): დიეგო ალვეში – მიგელი, რამი, ვიქტორ რუისი, ხორდი ალბა – ალბელდა, ბანეგა – პაბლო ერნანდესი, ხონასი, მატიუ – სოლდადო.

ლევერკუზენი (4-2-3-1): ლენო – კასტრო, მ. ფრიდრიხი, ტოპრაკი, კადლეცი – ლ. ბენდერი, როლფესი – სემი, ბალაკი, შიურლე – კისლინგი.

არბიტრი: იონას ერიკსონი (შვედეთი)

F ჯგუფი

არსენალი-მარსელი

ერთი მოგებაც და „არსენალი" პრაქტიკულად მერვედფინალში იქნება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „მეთოფეებმა" მარსელის „ოლიმპიკი" „ველოდრომზეც" დაამარცხეს და პრემიერლიგაშიც ძალიან კარგად გამოიყურებიან (5:3 ჩელსისთან), წესით, **არსენ ვენგერის** გუნდს „მარსელის" დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს.

საპარაულო შემადგენლობები

არსენალი (4-3-3): შჩესნი – ჯურუ, კოშელნი, მერტეზაკერი, სანტოსი – სონგი, არტეტა, რემსი – უოლკოტი, ვან პერსი, ჟერვინიო.

მარსელი (4-3-3): მანდანდა – ფანი, დიავარა, ნ'კულუ, მორელი – ლუჩო გონსალესი, დიარა, შეირუ – ვალბუენა, რემი, ა. აიუ.

არბიტრი: პაოლო ტოლიავენტო (იტალია)

ბორუსია (დ)-ოლიმპიაკოსი

დორტმუნდშიც სწორედ ამაზე ოცნებობენ – რომ „არსენალმა" „მარსელს" მეორე თამაშიც მოუგოს. ასეთ შემთხვევაში,

დორტმუნდელებს ოლიმპიაკოსთან მხოლოდ გამარჯვება უნდათ

გერმანიის ჩემპიონის მდგომარეობა აღარ იქნება ისეთი მძიმე, როგორც ეს სამი ტურის შემდეგ ჩანს (იხილეთ ცხრილი) – თუ რა თქმა უნდა, გერმანიის ჩემპიონები მერვედფინალში გასვლისთვის ბრძოლის უკანასკნელ შანსს გამოიყენებენ და საკუთარ მოედანზე „ოლიმპიაკოსს" დაამარცხებენ. ასეთ შემთხვევაში, „დორტმუნდს" 4 ქულა გაუხდება, „მარსელს" 6 დარჩება და ხომ გახსოვთ, ბოლო ტურში „ოლიმპიკი" დორტმუნდში უნდა ჩავიდეს.

საპარაულო შემადგენლობები

ბორუსია დ. (4-2-3-1): ვაიდენფელერი – პიეჩკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი, კელი – გიოტეკი, კაგავა, პერიშიჩი – ლევანდოვსკი.

ოლიმპიაკოსი (4-2-3-1): კოსტანტინო – ტორროსიდისი, მელბერგი, ა. პაპადოპულოსი, მარკანი – ორბაისი, მოდესტო – მირალასი, იბაგასა, პოლებასი – ჯებური.

არბიტრი: ვლადისლავ ბეზბოროდოვი (რუსეთი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. არსენალი	3	2	1	0	4-2	7
2. მარსელი	3	2	0	1	4-1	6
3. ოლიმპიაკოსი	3	1	0	2	4-4	3
4. ბორუსია (დ)	3	0	1	2	2-7	1

G ჯგუფი

აპოელ-პორტუ

მოგება „ზენიტთან", ფრე დონეცკში და ფრე პორტუში - ნიქოზიის „აპოელი" სამი ტურის შემდეგ ჯგუფში ლიდერია და ამ გუნდს ამრეზით ველარავინ შეხედავს. საკმარისია, ნიქოზიელებმა „პორტუსთან" საშინაო შეხვედრაშიც მიაღწიონ წარმატებას, რომ მერვედფინალში გასვლის რეალური კანდიდატები იქნებიან, რაც სერიოზული სენსაცია იქნებოდა.

საპარაულო შემადგენლობები

აპოელ (4-2-3-1): პარდო – პურსაიტიდისი, ფორეჟე, იაპიჩი, ოლივეირა – მორაისი, პინტუ – ტრიკოვსკი, მარსინიო, მანდუკა – აილტონი.

პორტუ (4-1-2-3): ჰელტონი – საპურანუ, მანგალა, როლანდო, ა. პერეირა – ფერნანდო – ბელუში, მოუტინიო – ჰალკი, კლებერი, როდრიგესი.

არბიტრი: ჯანლუკა როკი (იტალია)

ზენიტი-შახტარი

„ზენიტმა" წინა ტურში დონეცკიდან ქულა წაიღო, რაც რუსებს წარმატებად ჩაეთვალათ. თუ პეტერბურგელები „შახტარს" დაამარცხებენ, მერვედფინალისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამენ. თუმცა რუსეთის ჩემპიონს მთავარი გოლეადორი, **კერჟაკოი** ტრავმირებული ჰყავს. მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი** ამბობს, სამაგიეროდ, დანი ითამაშებსო. საკადრო პრობლემები უკრაინელთა მწვრთნელ **მირჩა ლუჩესკუსაც** აქვს: **ჩიგრინსკი, ფერნანდინიო** და **ჟადსონი** ლაზარეთში არიან.

საპარაულო შემადგენლობები

ზენიტი (4-3-3): მალაფეევი – ანიუკოვი, ალვეში, ლუკოვეჩი, კრიშიტო – სემაკი, დენისოვი, ზირიანოვი – ფაიზულინი, ბუხაროვი, დანი.

შახტარი (4-2-3-1): რიბკა – სრნა, რაკიცკი, კუზერი, რაცი – ჰოუბშმანი, მხითარიანი – დუგლას კოშტა, ტეიშეირა, ვილიანი – ლუის ადრიანო.

არბიტრი: სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. აპოელ	3	1	2	0	4-3	5
2. ზენიტი	3	1	1	1	6-5	4
3. პორტუ	3	1	1	1	4-5	4
4. შახტარი	3	0	2	1	4-5	2

H ჯგუფი

ბატე-მილანი

პირველი მატჩი, რომელზეც ბევრი ლაპარაკი არ ღირს: ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ „მილანი" ბორისოვში **მექსეს** ვერ გამოიყენებს – ფრანგს ორშაბათს მარცხენა ხელზე ოპერაცია გაუკეთეს. „როსონერის" რიგებში ვერც **ანტონიო კასანოს** ვიხილავთ: 29 წლის თავდამსხმელი უცნაური დიაგნოზებით კლინიკაში მოხვდა – საუბარი, ხედვა და გადაადგილება უჭირდა. მას ზუსტი დიაგნოზი ჯერაც ვერ დაუსვეს...

საპარაულო შემადგენლობები

ბატე (4-4-1-1): გუტორი – ბაგა, შიმიჩი, ოურევიჩი, ბორდაჩევი – ვოლოდკო, ბრეშანი, კონტოსევოი, ოლეხნოვიჩი – რუდიკი – კეფანი.

მილანი (4-3-1-2): აბიატი – აბატე, ნესტა, სილვა, ძამბროტა – ნოჩერინო, ვან ბომელი, აკვილანი – ბოატენგი – იბრაჰიმოვიჩი, რობინიო.

არბიტრი: პეტერ რასმუსენი (დანია)

ვიქტორია-ბარსელონა

კიდევ ერთი მატჩი, რომელშიც როლები ასევე მკვეთრადაა გადანაწილებული: „ბატეს" დარად, პლზენის „ვიქტორიაც" მხოლოდ მესამე ადგილისთვის იბრძვის (რაც თავიდანვე ცხადი იყო). „ბარსა" და „მილანი" ერთმანეთს პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ეჯიბრებიან.

საპარაულო შემადგენლობები

ვიქტორია (4-5-1): ჩეხი – ლიმბერსკი, ბისტრონი, ჩისოვსკი, რაიტორალი – პეტრუჟელა, ირჟაჩეკი, ჰორვატი, კოლარი, პილარი – ბაკოსი.

ბარსელონა (4-3-1-2): ვალდესი – ალვეში, პიკე, მასკერანო, აბიდალი – ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა – ფაბრეგასი – მესი, ვილია.

არბიტრი: რობერტ შონგერჰოფერი (ავსტრია)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	3	2	1	0	9-2	7
2. მილანი	3	2	1	0	6-2	7
3. ვიქტორია	3	0	1	2	1-5	1
4. ბატე	3	0	1	2	1-8	1

გოტფრიდ ლენცი

● ნორვეგიის ჩემპიონი

ოლე გუნარ სოლსკიაერმა მიოლდე გააჩემპიონა

სოლსკიაერის პირველი ბრიუმფი

მას შემდეგ, რაც ნორვეგიის ჩემპიონატის XXVIII ტურში "რუსენბორგმა" "ბრანთან" შინ მოულოდნელად 3:6 წაგო, "მიოლდემ" შინ "სტრიომგოდსეტთან" ნათამაშები 2:2-ის შემდეგ, ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე, პირველად გუნდის ისტორიაში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიგო. გუნდის დამრიგებელი "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავი და ამავე გუნდის დუბლშემადგენლობის მთავარი მწვრთნელი, 38 წლის **ოლე გუნარ სოლსკიაერია**, ვინც "მიოლდე" ზუსტად 1 წლის წინ, 2010 წლის 9 ნოემბერს ჩაიბარა. *"უმთავრესი ფაქტორი, რამაც ჩვენი გუნდის წარმატება განაპირობა, ეს ფეხბურთელები არიან. ისინი მუდმივად ახერხებდნენ თავიანთი მაღალი კლასის დემონსტრირებას როგორც ვარჯიშებზე, ისე თამაშებისას. ზოგიერთმა თავი ისე კარგად წარმოაჩინა, რომ ამას არც ველოდი,"* – განაცხადა ახალბედა ნორვეგიელმა სპეციალისტმა.

ყოფილი თანაგუნდელისა და მეგობრის წარმატებას გამოეხმაურა "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი **რიო ფერდინანდი**. მან სულითა და გულით მიულოცა ოლე გუნარს "მიოლდესთან" ერთად ჩემპიონის ტიტულის მოპოვება და აღნიშნა, რომ მას ყოველთვის ჭეშმარიტ ჯენტლმენად მიიჩნევდა.

ლევან ბიბილაშვილი

● ლიგა 1. XII ტური. გამოხმაურება

პროვანსელთა აისი

ტურის მატჩი

"დიჟონთან" ლიგა 1-ის ვიცე-ჩემპიონთა მატჩი მოულოდნელად დაიწყო: **შარლ კაბორეს** პასის შემდეგ **ლოიკ რემი** მეტოქის მცველს გასცდა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და დანარჩენი უკვე, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. ეს ყველაფერი 19 წამში მოხდა, რითაც რემმი ლიგის ყველა დროის რეკორდი გაუმჯობესა. იქამდე ყველაზე სწრაფი გოლის ავტორი "ნიცას" თავდამსხმელი **ერიკ მულუნგუი** იყო, ვისაც "ლორიანის" კარი 28-ე წამზე ჰქონდა აღებული. ამ შეხვედრაში ხანდახან რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მეტოქეები ერთმანეთს შეცდომების დაშვებაში ეჯიბრებოდნენ. ასე მოიქცა მაგალითად სტუმარი **სულეიმან დიავარა.** მან ერთი პასით საკუთარი გუნდის დაცვის ხაზი მშრალზე დატოვა და **გრეგორი ტილი სტივ მანდანდას** შეატოვა, მაგრამ გამოცდილმა მეკარემ მას დუელი იოლად მოუგო. ამის შემდეგ მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა არბიტრმა **ფილიპ მალიგმა.** ის იოლად მოექცა ლიოკ რემის თეატრალური ვარდნის გავლენის ქვეშ და "დიჟონის" საჯარიმოს მისადგომებთან მასპინძელი წესის დარღვევაში დაადანაშაულა. გამეორებაზე კი აშკარად გამოჩნდა, რომ რემმი ფეხი... საკუთარ ფეხს გამოსდო და ისე წაიქცა. **ბენუა შეირუმ** ისე, რომ ნამუსს ერთხელაც არ შეუწუხებია, ჯარიმა ეფექტური დარტყმით ბადეში გაახვია. მასპინძლებმა მოითმინეს ამგვარი უსამართლობა და თითქოს ამან შედეგიც გამოიღო, ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ისევ და ისევ მათივე შეცდომის გამო ჩაიყარა წყალში. მეკარე **ბატისტ რეინემ** გამოსვლაზე საშინელი შეცდომა დაუშვა, რითაც **ალუ დიარამ** ისარგებლა და თავურით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ტურის მოვლენები

სამწუხაროა, მაგრამ ორი ახლად გამოჯანმრთელებული ფეხბურთელი ლაზარეთს დაუბრუნდა. ლაპარაკია "რენის" მცველ **ჟან-არმელ კანა-ბიიკზე** და "ლილის" უკანახაზელ **მარკო ბაშაზე**. როდის შეძლებენ ისინი ხელახლა მინდორზე დაბრუნებას, უცნობია. კანა-ბიიკსა და ბაშას შეუძლიათ უბედობაზე დაიჩივლონ, რაც შეეხება ლიონელ **მამადუ დაბოს**, ის, რომ მომდევნო ტურში ვერ ითამაშებს, მხოლოდ მისი ბრალია, რადგან შეცვლაზე შესვლიდან 7 წუთში მინდვრის ცენტრში **ბანელ ნიკოლოცეს** ისე ეუხეშა, რომ არბიტრ **ტონი შაპრონს** არც უფიქრია, ისე უჩვენა წითელი ბარათი. საოცარი კი ის არის, რომ კაცნაკლული "ლიონი" უკეთ ათამაშდა და მატჩის ბოლო 8 წუთში "სენტ ეტიენს" ორი გოლი გაუტანა.

ჯერ კიდევ ტურისწინა მიმოხილვაში ვწერდით, რომ პსჟ-ს ჩემპიონატში შეეძლო ნაუგბელი სერიის 11-მდე, ხოლო მოგებათა სერიის 6-მდე გაზრდა. ეს ასეც მოხდა. **ანტუან კომბუარეს** გუნდმა, მართალია დამაჯერებელი თამაში ვერ აჩვენა, მაგრამ მინც მოიგო, რაც ალბათ იმის დამსახურებაც იყო, რომ 70 წუთის განმავლობაში ერთი კაცით მეტი თამაშობდა. მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა **ნენემ** განაცხადა, მესმის, რომ კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ მთავარია, სამი ქულა დავიმსახურეთო. არადამაჯერებელი თამაში და მოგება შიდა ასპარეზზე პარიზელთა დამახასიათებელი ნიშანი ხდება, რაც შეიძლება საკმარისი იყოს ამ დონეზე, მაგრამ წარმატების გარანტიას ვერ მისცემს ევროპულ ტურნირებში. კომბუარეს სასწრაფოდ რაღაცის მოფიქრება მართებს.

რაც შეეხება ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის "ლილის" თამაშს, მთავარმა მწვრთნელმა **რუდი გარსიამ** ის მოკლედ შეაფასა: *"ორი ა ზრი არ არსებობს, რომ "ვალანსიენთან" სეზონის ყველაზე ცუდი თამაში ჩავატარეთ. რამდენიმე ფეხბურთელზე შემოძლია ვთქვა, რომ ისინი ფიქრებით უკვე მილანში იყვნენ "ინტერთან" სათამაშოდ. მეტოქესთან გასამკლავებლად აშკარად მოტივაცია არ გვეყო. "ვალანსიენმა" სწორედ ამ კომპონენტში გვაჯობა ყველაზე მეტად".*

ტურის სიმბოლური ნაკრები:

ტედი რიშე (სოშო) – **ბრის ჯა ჯეჯე** (ევიანი), **ნიკოლა იზიმატ-მირინი** (ვალანსიენი), **ჯონათან ძებინა** (ბრესტი) **დანიელ კონრე** (ტულუზი) – **ლარსენ ტურე** (ბრესტი), **მაქს გონალონი** (ლიონი), **ჯამელ საიპი** (მონპელიე), **ნენე** (პსჟ), **იოან გურკუფი** (ლიონი) – **იანიკ საგბო** (ევიანი)

ლევან ბიბილაშვილი

ეს წამია ალუ დიარამ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა

● ბრიუგე

ადრი კოსტერი

უკვე ზედმეტი იყო

ევროპის ლიგაში მშვენიერი შედეგების მიუხედავად ზედიზედ 3 წაგება ("ბრმინგემი" 1:2, "კორტრიიკი" 1:2 და "გენკი" 4:5) "ბრიუგეს" ხელმძღვანელობამ "ზედმეტ ფუფუნებად" მიიჩნია და მთავარი მწვრთნელი, 56 წლის ჰოლანდიელი **ადრი კოსტერი** დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამ უქმეებზე სახელოვანი კლუბი უბრალოდ საშვილიშვილოდ შერცხვა, როცა "გენკთან" 4:2-ს იგებდა და საბოლოოდ კი დამარცხდა. კოსტერი "ბრიუგეში" 2009 წლის აპრილიდან მუშაობდა. *"ჩვენი თამაში ხშირად იწვევდა დადებით ემოციებს მაყურებელში, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ზედიზედ წავაგეთ თამაშები. თანაც ბოლოს ისე დავმარცხდით, რომ უზარმაზარი უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ. ამბიციური კლუბისთვის ეს მიუღებელი შედეგია. გადაწყვეტილება მთავარი მწვრთნელის გათავისუფლების შესახებ ძნელად მისაღები იყო, მაგრამ მთავარი საჭირო ნაბიჯის დროულად გადადგმა გახლდათ. ახლა ისღა დაგვრჩენია, ახალი მწვრთნელი ვეძებოთ,"* – თქვა "ბრიუგეს" სპორტულმა დირექტორმა **სვენ ვერმანტმა**. ეს უკანასკნელი გულშემატკივარს შეიძლება "შალკეში" თამაშით ახსოვდეს.

გუნდს დროებით კოსტერის ყოფილი თანაშემწე **რუდი ვერკემპინკი** და დუბლების თავკაცი **ფილიპ კლემანი** ჩაუდგებიან სათავეში.

ლევან ბიბილაშვილი

● რეალი

სამეფო კლუბის უნაკლო ღვინოებისთვე

გაჭირვებაში მოგება მანახეო

მადრიდის „რეალმა“ ოქტომბერში 6 მატჩი ითამაშა და ყველა მოიგო, ბურთების საერთო შეფარდებაც დიდებულია - 20:1. 6-დან 5 მატჩი ლა ლიგაზე მოდის, სადაც **ჟოზე მოურინიოს** გუნდმა ჯერ „ესპანიოლი“ დაამარცხა ბარსელონაში - 5:0, შემდეგ შინ 4:1 მოუგო „ბეტისს“, კვლავ სტუმრად იმარჯვა „მალაგასთან“ - 4:0, შინ 3:0 გაანადგურა „ვილიარეალი“ და სტუმრად 1:0 მოუგო „რეალ სოსიედადს“. ამასთან, 18 ოქტომბერს, ჩემპიონთა ლიგის მატჩში „სამეფო კლუბმა“ „ლიონი“ 4:0 გაანადგურა. მოკლედ, შინაურ და საერთაშორისო ასპარეზზე კლუბში ყველაფერი აჟურშია.

„ბეტისის“ 29 წლის ფორვარდი **ხორხე მოლინა** ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც შეძლო ოქტომბერში **იკერ კასილიასის** დამწუხრება. თუმცა, თქმა არ უნდა, ყველაზე მეტად „რეალს“ ამ ტურში, „ანოეტაზე“ გაუჭირდა, სადაც **გონსალო იგუაინის** ერთადერთი გოლის წყალობით იმარჯვა. ამ გოლმა მოურინიოსა და კომპანიას ლიდერობა არგუნა.

სასტარტო შემადგენლობას დაბრუნებული გონსალო იგუაინის გოლის შემდეგ „რეალს“ ორი ბომბარდირი ჰყავს. არგენტინელი **კრიშტიანო რონალდოს** გაუტოლდა, ორივეს 10-10 გოლი აქვთ ლა ლიგაში. „ანოეტაზე“ გამარჯვება მადრიდელთათვის ლა ლიგაში ზედიზედ მე-6 იყო. ბასკეთში მოურინიოს გუნდმა შესანიშნავად ითამაშა დაღლამდე, შემდეგ კი ცოტა ანერვიულა ქომაგები. „რეალ სოსიედადმა“ **კლაუდიო ბრავოს** კართან ნამდვილი ბასტიონი მოაწყო, სასტარტო შემადგენლობაში ერთადერთი შემტევი **კარლოს ველა** იყო. „რეალი“ მთელ დროს მეტოქის ნახევარზე ატარებდა, იკერ კასილიასი უქმად იყო („რეალის“ დაწინაურების შემდეგაც კი), მაშინ როცა ბრავოს დიდი ოფლისღვრა შეხვდა. გოლი მალევე გავიდა - მე-9 წუთზე **ფაბიო კოენტრამ** დიდებული პასით მოძებნა იგუაინი, რომელსაც არ გასჭირვებია ბრავოს გამწარება. სამაგიეროდ, მე-40 წუთზე ჩილელმა მეკარემ სასწაულებრივ მოიგერია კიდე ერთი არგენტინელის, **ანხელ დი მარიას** დარტყმული.

და, რა შეიცვალა მეორე ტაიმში? ერთი, რომ „რეალი“ დაიღალა, მეორეც, ბასკთა მწვრთნელმა **ფილიპ მონტანიემ** შემტევები, **ანტუან გრიზმანი** და **იმანოლ აგირეჩე** (მოგვიანებით) შემოუშვა. გრიზმანის დარტყმული კასილიასმა ძლივს მოიგერია.

„მოგება განსაკუთრებულად იმიტომ აღვნიშნე, რომ საამისოდ ბევრი ვიშრომეთ. მეტოქემ საოცარი ატმოსფერო შექმნა სტადიონზე და ძალზე გაგვიჭირდა მიზნის მიღწევა. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ თავიდან ბოლომდე სიტუაციას ჩვენ ვაკონტროლებდით. კარგად გვესმოდა, რომ „რეალ სოსიედადს“ ბოლოსკენ გაძლიერება შეეძლო და ბოლო წუთები რთული იქნებოდა ჩვენთვის. ბოლო ხუთი თამაშია ზედიზედ, ყოველ სამ დღეში ერთხელ გავდივართ მოედანზე, ამან კი ფეხბურთელთა გამძლეობაზე იმოქმედა. გონსალო იგუაინი შარშანაც კარგად თამაშობდა, წლეულს კი უბრალოდ ფანტასტიკურია. გუნდში ორი ბრწყინვალე ცენტრფორვარდი მყავს, ორივე შესანიშნავ ფორმაში - ამას რა სჯობს. ახლა ბიჭების განწყობა ასეთია: ისინი დაღლილები, მაგრამ ბედნიერები არიან“, - როცა ამ სიტყვებს ამბობდა, მოურინიომ არ იცოდა ჯერ, რომ სან სებასტიანში გამარჯვების წყალობით მისი გუნდი 10 ტურის შემდეგ სათავეში მოექცეოდა ლა ლიგას.

გონსალო იგუაინი: *„მნიშვნელოვანია, რომ კარგად ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ. ახლა ჩვენ ლიდერები ვართ, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. ვიცოდით, რომ ყველა თამაშს იოლად ვერ მოვიგებდით და ველოდით „სოსიედადის“ წინააღმდეგობას. რაც შეგვეხება მე და ქარიმს, ორივე ვცდილობთ გუნდს გამოვადგეთ“.*

ჩაბი ალონსო: *„რომ გაგვეტანა მეორე ბურთიც, უფრო მშვიდად მივიყვანდით მატჩს გამარჯვებამდე. ძალიან მოხარული ვარ იმ თამაშის გამო, რასაც კლუბი ბოლო ხანებია აჩვენებს“.*

ალვარო არბელოა: *„რთულ სიტუაციაში თამაში უნდა შეგეძლოს, აქ სულ სხვა გარემოა, ყველა სტუმარს უჭირს. ჩვენ რა ვართ მის გარეშე, რომ არა მესი, „ბარსელონაში“ ბევრი რამ არ იქნებოდა პოზიტიური“*, - ეს სიტყვები პეპმა „მალიორკასთან“ მატჩის წინ წარმოთქვა, მას მერე კი ბალეარელთა კარში 5-დან 3 გოლი არგენტინელმა ვირტუოზმა გაიტანა.

რეალმა ანოეტაზეც იზეიმა

● ბარსელონა

არასოდეს, არც ჩემს ფეხბურთელობაში და არც მწვრთნელობისას

ვალდესის უცნაური მშრალი სერია

ხოსეპ გვარდიოლამ ისე შეაქო თავისი შეგირდი, როგორც, ალბათ, არც ერთ მწვრთნელს დედამიწის ზურგზე მაგრამ **ლეო მესი** ამ სიტყვებს ალალად იმსახურებს: *„არასოდეს, არც ჩემი ფეხბურთელობის და არც მწვრთნელობის ხანაში, არ შემხვედრია, არ მინახავს და არც გამიგია ისეთი ფეხბურთელი, რომელიც მესის დონის ფეხბურთს თამაშობს... ყოველ სამ დღეში ერთხელ.*

ისააკ კვენკამ ისტორიული გოლი გაიტანა

ისააკ კვენკა: *„ბოსი მენდობა და მეც ვცდილობ ყოველდღიური შრომით თავი მოვანონო მას. პირველი გოლი „ბარსას“ რიგებში ჩემთვის ყოველთვის დაუვიწყარი მოვლენა იქნება“.*

დანი ალვეში: *„ძალიან კარგი გოლი კი გამომივიდა, მაგრამ, ვფიქრობ, დარტყმისას უბრალოდ გამიმართლა. რაც მთავარია, ჩვენ გვყავს საუკეთესო გუნდი და მწვრთნელი“.*

გრძელდება **ვიქტორ ვალდესის** მშრალი სერია, თუმცა, რამდენადაც საოცარი უნდა იყოს, ამაში „ბარსას“ გოლკიპერს თითქმის არ მიუძღვის წვლილი. ბოლო ორ ტურში ვალდესის კარში ზუსტად ერთხელაც ვერ დაარტყეს! თუკი ვალდესი კიდევ 37 წუთს გაძლებს, ის **მიგელ რეინას** 827-წუთიან რეკორდს დაამხობს (1972-1973 წლების სეზონში).

ლეო მესიმ კლუბის ისტორიაში სისწრაფით მესამე ჰეთ თრიკი გაიფორმა, მან სამი გოლი მატჩის პირველ 31 წუთში გაიტანა.

● ამბები

და მაინც, ამაყი ხუან იგნასიო

„ლევანტეს“ თავკაცმა **ხუან იგნასიო მარტინესმა** „ოსასუნასთან“ მარცხის მიუხედავად აღნიშნა, რომ ის ძალიან ამაყობს „ლევანტეს“ ფეხბურთელებით. შეგახსენებთ, რომ ვალენსიური კლუბის 7-მატჩიანი მოგებათა სერია ნავარაში შეწყდა, სადაც „ბაყაყებმა“ „ოსასუნასთან“ 0:2 დათმეს.

„როცა სულ იგებ, ძნელია იმის დაჯერება, რომ ამ ყველაფერს ბოლო ექნება. ასე გგონია, მორჩა, არასოდეს წაგებ. ბუნებრივია, რეალობა სულ სხვაა. ჩვენ მართლაც ზღაპრული სერია გვქონდა, რომელიც, სამწუხაროდ, დასრულდა, მაგრამ დღეს, წაგების მიუხედავად, მე ამ ბიჭებით ვამაყობ, რომელთაც ევროპა აალაპარაკეს“, - განაცხადა „ლევანტეს“ მწვრთნელმა.

ერთი მატჩის გვერდითი მოვლენები

ხიხონის „სპორტინგი“ ცხრილის ქვედა ნახევარშია და პრიმერაში დარჩენისთვის იბრძვის. ასტურიულ კლუბს ახლახან ორი წამყვანი მოთამაშე დააკლდა, **ნაჩო კასესი** და **ალბერტო ლორა**. პირველს „ბილბაოსთან“ არ უთამაშია, რადგან ექიმებმა ეს სარისკოდ ჩათვალეს, ნაჩო კასესს კუნთი სტკივა. ლორამ კი ითამაშა, მაგრამ მეორე ტაიმში დამიან სუარესით შეცვალეს. დღეს ორივე ფეხბურთელს საფუძვლიან გამოკვლევას ჩაუტარებენ.

„სპორტინგი“-„ბილბაო“ (რომელიც 1:1 დასრულდა) სტუმრებსაც ძვირად დაუჯდათ. ბასკებს **დავიდ ლოპესი, ბორხა ეკიზა** და **ოსკარ დე მარკოსი** დაუშავდათ.

მწვრთნელი და დირექტორი ერთად გააგდეს

სეგუნდა დივიზიონის „ხიმნასტიკს“ აღარ წვრთნის **ხუან კარლოს ოლივა**. კლუბის დირექტორთა საბჭომ მწვრთნელი თანამდებობიდან გაანთავისუფლა, საბჭომ მხოლოდ ეს არ იკმარა და კონტრაქტი გაუწყვიტა „ხიმნასტიკის“ საფეხბურთო დირექტორ **ხოსეპ მარია ნოგუესსაც**. „ხიმნასტიკი“ სეგუნდა დივიზიონის აუტსაიდერია. 46 წლის ოლივა ადრე „ალავესს“, სალონიკის „არისს“ და „ვილიარეალის“ სარეზერვო გუნდს წვრთნიდა, „ხიმნასტიკამდე“ კი „სალამანკას“ თავკაცი იყო. „ხიმნასტიკს“ უკვე ახალი თავკაცი ჰყავს - **ხორხე დალესანდრო**.

ადრიან მხსნელი

„მარკას“ ინფორმაციით, ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა **ადრიან ლოპესმა** დუბლით იხსნა „ატლეტიკოს“ მთავარი მწვრთნელის, **გრეგორიო მანსანოს** კარიერა. კიდევ ერთი წარუმატებლობა მანსანოს თანამდებობის დაკარგვად დაუჯდებოდა, მაგრამ ადრიანმა ორი გოლი გაიტანა, რასაც ერთი ასევე ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა მცველმა **ალვარო დომინგესმა** დაურთო და „ატლეტიკომ“ 3:1 მოუგო „სარაგოსას“. სხვათა შორის, „ვისენტე კალდერონის“ ტრიბუნებზე მადრიდელთა ფანები **ლუის არაგონესის** სახელს გაჰყვიროდნენ.

რაიო ეძებს ტალანტებს და... ჰოულობს

„რაიო ვალეკანო“ პორტუგალიური „ლეირიას“ 20 წლის ფორვარდ **დიანინის** აკვირდება, რომელმაც ლიგა საგრეშის სეზონი კარგად დაიწყო. 190 სმ. სიმაღლის დიანინი კაბო-ვერდელია. მართალია, დიანინიმ მხოლოდ 1 გოლი გაიტანა 8 თამაშში, მაგრამ ის ძალზე სასარგებლოდ ირჯებოდა შეტევაში. სხვათა შორის, აქამდე დიანინის სახელი არავის გაეგო - ის ხომ აზორის კუნძულების რეგიონალურ ჩემპიონატში გამოდიოდა და უცბად ინტერესი ლა ლიგის კლუბიდან...

ერთმა დარტყმამ ფეხბურთელი და მსაჯი დააბრმავა

მანუელ ჰელეგრინი არბიტრ **დელგადო ფერეიროს** უნდა უმადლოდეს, რომ „მალაგამ“ როგორც იქნა, გაიმარჯვა ჩემპიონატში. 41 წლის ფერეირომ ამ მატჩში „მარკასგან“ 10-ბალიანი შეფასებით ნულიანი მიიღო. ახლა რაშია საქმე: 72-ე წუთზე „ესპანიოლის“ კოტდივუარელ ნახევარმცველ **კოფი ნდრი რომარიკს** ბურთი საჯარიმოში სახეში მოხვდა. მსაჯმა კი პენალტი დანიშნა, რომელიც **აპონიომ** გოლად აქცია და „მალაგამ“ 2:1 მოიგო. არადა, რომარიკს რომ ბურთი სახეში მოხვდა და არა ხელზე, აშკარა მტკიცებულება ჰქონდა, ბურთმა აფრიკელს თვალი ძლიერ დაუსია და ბარსელონელი სულაც შესაცვლელი გახდა.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ



რომარიკი ინციდენტის შემდეგ

უცხოური ფეხბურთი

● გერმანია. ბუნდესლიგა. XI ტურის გამოხმაურება

იყო და არა იყო რა?

გიოტცესთვის ფეხი უნდა მოეტეხათ, რაულს კი მაინცდამაინც მარადონა უნდა გაემეორებინა?

წამიც და რაული გოლს გაიტანს, რომელსაც ჩაუთვლიან

დორტმუნდელები ამ ტურს სიამოვნებით ნაღდად არ გაიხსენებენ: „ბორუსიამ“ შტუტგარტში მიღწეული ფრის შედეგად მეორე ადგილი დაკარგა, ფეხბურთელები, მწვრთნელი, ბოსები და გულშემატკივრები კი მსაჯ მანუელ გრეფეზე გაბრაზდნენ. ერთი სიტყვით, დორტმუნდელთა დამრიგებელ იურგენ კლოპს ცუდი უქმეები ჰქონდა. ჯერ იყო და, „ბორუსიას“ ავტობუსი საცობში მოყვა, რის გამოც გერმანიის ჩემპიონებს თამაშზე 15 წუთი დაგვიანდათ და პარალელურად, ნერვებიც დაანყდათ, მერე კი ორი ქულა „მერსედეს-ბენც-არენაზე“ დატოვეს, რისი ერთ-ერთი მიზეზი მსაჯის არასწორი გადაწყვეტილება იყო. რაკი „ბაიერნი“ მარიო გომესისა და ბასტიან შვაინშტაიგერის წყალობით „ნიურნბერგს“ კატა-თაგვობანა ეთამაშა, BVB რეკორდმაისტერს უკვე ხუთი ქულით ჩამორჩება, მეორე ადგილი კი დორტმუნდელთათვის უხსენებელ „შალკეს“ დაუთმო – გელზენკირხენელებმა „ჰოფენჰაიმი“ დაამარცხეს და „ბორუსიას“ გაასწრეს. მიონხენგლადბახში ხალხმა „ჰანოვერის“ დამარცხებით კი გაიხარა, მაგრამ ამ სიხარულმა ვერაფრით გადაწონა წყენა და ნერვიულობა იმის გამო, რომ „ბაიერნი“ მარკო როისს უკვე სერიოზულად ეფლირტავება. ბუნდესლიგის მე-11 ტურის მთავარი თემა იყო კლაუდიო პისაროკ, რომელმაც კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის მერამდენედ, მოაგებინა „ვერდერს“.

ტურის დუეტი: შვაინი და მარიო

ბავარიულ დერბიში სადღაც 82-ე წამზე (!) **ბასტიან შვაინშტაიგერმა** მეტოქის საჯარიმოში კარგად გახსნილი **მარიო გომესი** შეამჩნია და უზუსტესი ჩაწოდებით ბურთი თავზე დაასვა, ამ უკანასკნელს კი ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. სადღაც მე-20 წუთზე, გომესმა შვაინის მადლობა ასევე ბრწყინვალე პასით გადაუხადა და არც ბასტიანს გაუჭირდა გოლის გატანა – 2:0. ამ ყველაფრით მხოლოდ იმის თქმა გვიან, რომ ბავარიულ დერბიში შვაინშტაიგერი და გომესი ერთმანეთს იდეალურად უგებდნენ.

ტურის შეცდომა: გრეფე გიოტცეს წინააღმდეგ

მე-11 ტურის ერთ-ერთი უმთავრესი თემა მსაჯების (არასწორი) გადაწყვეტილებები და (უაზრო) წესებიც იყო. რამდენიმე გაძევება გადამეტებულად მოინათლა, პასიური თამაშგარე ზოგ-ზოგიერთებს აქტიურად მოეჩვენათ და საქმე იქამდეც მივიდა, რომ ხელით გატანილ გოლზე (**რაული**) ამბობდნენ, ხელით თამაში არ ყოფილაო. ეს ყველაფერი მაინც საეჭვო იყო, 50/50-ზე, აი, „შტუტგარტის“ საჯარიმოში **კრისტიან მოლინარომ** დორტმუნდელი **მარიო გიოტცე** რომ წააქცია და არბიტრმა **მანუელ გრეფემ** ამის გამო პენალტი რომ არ დანიშნა, ეს მართლაც მეტისმეტი გახლდათ. თუ რატომ მოიქცა გრეფე ასე, ეს მხოლოდ მისი საიდუმლოა, რომელსაც ფარდა ალბათ არასდროს აეხდება, ფაქტი კი ის არის, რომ გერმანიის მოქმედი ჩემპიონი ამის გამო დაჩაგრული გამოვიდა. კლოპის აზრით, ეს ასპროცენტიანი პენალტი იყო, „ბორუსიას“ შეფმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** კი უფრო ხმამაღალი განცხადება გააკეთა: *„კი მაგრამ, მარიოს მაინცდამაინც ფეხი უნდა მოტეხონ, თერთმეტმეტრიანი რომ დაინიშნოს?“*

ასე ხდება ხოლმე, როცა ფეხბურთელის შეჩერება ძალიან ძნელია – „გიოტციანიოს“ ვგულისხმობთ.

როლს როისი

„ბაიერნის“ გამამწარებლის დამარცხების შემდეგ, მიონხენგლადბახელებს შეუძლიათ, იმით იამაყონ, რომ „ბაიერნის“ გამამწარებლის გამამწარებლები არიან. რას ვიზამთ: იმ დროს, როცა მიუნხენური გრანდი ასე ბატონობს, ყურით მოთრეული და თითიდან გამოწოვილი ჰედლაინების გაყღერება გვიწევს. **მარკო როისმა** „ჰანოვერს“ დუბლი შეუსრულა და ამით მისდამი ინტერესი კიდევ უფრო გააღვივა. „ბაიერნის“ შეფები მთელი კვირის განმავლობაში საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი ტალანტია როისი და რომ ის რეკორდმაისტერს დაამშვენებდა, „გლადბახის“ სპორტულმა დირექტორმა **მაქს ებერლმა** კი თქვა, მიუნხენელებს ურჩევნიათ, ჩემპიონთა ლიგის მომდევნო მატჩზე იფიქრონ, „ნაპოლისთან“ დაპირისპირება მათი ხვალინდელი დღეა, როისი კი ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებაო.

მარკოს ამ სეზონში უკვე 5 გოლი აქვს გატანილი, რაც გარემარბის კვალობაზე მშვენიერი შედეგია. სხვათა შორის, ზუსტად ამდენივე გოლი აქვს გატანილი **ფრანკ რიბერისაც** – როისის უპირველეს პოტენციურ კონკურენტს „ბაიერნში“...

ეჰ, ტიმო, ტიმო...

ტიმო ჰილდებრანდი გერმანული ფეხბურთის ტრაგიკულ მოვლენად რჩება. მეკარე, რომელიც 2006 წლის მუნდიალზე გერმანიის ნაკრების რიგით მესამე კიპერი იყო, 2007-ში კი „შტუტგარტთან“ ერთად გერმანიის ჩემპიონი გახდა და რეკორდი, რომელსაც მანუელ ნოიერი დიდხანს უმიზნებდა, სწორედ მას ეკუთვნის, „შალკემ“ სამადლოდ აიყვანა და გუნდის განაცხადშიც ვერ ხვდება. ეს ყველაფერი კი იმ ერთი შეცდომის ბრალია, რომელიც ერთ დროს „ტიმონატორად“ წოდებულმა ჰილდებრანდმა „ვალენსიაში“ გადასვლით დაუშვა – იქ **სანტიაგო კანისარესს** კონკურენცია ვერ გაუწია და მას მერე მხოლოდ რეგრესირებს. „ვალენსიაში“ უიღბლო ტრანსფერს „ჰოფენჰაიმში“ გაქცევა მოჰყვა, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა, მერე ცოტა ხნით ლისაბონშიც იყო, ბოლოს კი უმუშევარი დარჩა. რომ არა „შალკეს“ მეკარე **რალფ ფერმანის** ტრავმა, რამაც გელზენკირხენელები ძლიერ შეაშფოთა და რომ არა ტიმოს ძველი ნაცნობ-მეგობრობა „შალკეს“ ამჟამინდელ მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტთან**, ჰილდებრანდი ახლაც უკლუბოდ იქნებოდა.

დღეს უკვე 32 წლის ტიმო „შალკეს“ განაცხადში ვერ ხვდება – ფერმანი ახალგაზრდა და გამოუცდელმა **ლარს უნერშტალმა** ისე შეცვალა, თქვენი მოწონებული. ჰილდებრანდს კი კიდევ ერთხელ არ გაუმართლა: „შალკემ“ უნერშტალთან ერთად 3:1 მოიგო და მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** მისი ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდების მიზეზს ვერ ხედავს.

პისაროს 150-ე

ბრემენის „ვერდერს“ გოლი რომ გააქვს, ყველამ იცის, ავტორი აუცილებლად **კლაუდიო პისარო** იქნება. ამჯერადაც ასე იყო: 33 წლის პერუელმა თავდამსხმელმა „მაინცს“ მშვენიერი გოლი გაუტანა და ეს ბუნდესლიგაში მისი 150-ე გოლი გახლდათ. ცხადია, რომ პისარო ამ სეზონში კიდევ არაერთ გოლს გაიტანს, მაგრამ უცნობია, გაჯერდება თუ არა ბრემენელ კლუბთან ახალ კონტრაქტს – ძველს ვადა სეზონის ბოლოს გასდის. დღესდღეობით „ვერდერი“ პისაროს გარეშე წარმოუდგენელია, ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად კი ბრემენელებს ფული სჭირდებათ. ფულისთვის კი „ვერდერმა“ მინიმუმ ევროპის ლიგის საგზური უნდა მოიპოვოს.

ბალაკის ცხვირი

მიხაელ ბალაკმა „ფრაიბურგთან“ მატჩში დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ „კარგი ყნოსვა აქვს“, მაგრამ მერე **იან როზენტალმა** ცხვირი გაუტეხა. თამაშის დაწყებიდან 103 წამის შემდეგ, „ლევერკუზენის“ კუთხურის დროს ბალაკი საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და გაიტანა გოლი, რომელმაც „ბაიერს“ ფრაიბურგიდან სამი ქულა წააღებინა. ეს მისი პირველი გოლი გახლდათ ბუნდესლიგაში 2006 წლის 13 მაისის შემდეგ – მაშინ მიხაელი „ბაიერნის“ ღირსებას იცავდა...

მე-11 ტურის სიმბოლური ნაკრები (4-2-2-2, კიკერი)

სვენ ულრაიხი (II, შტუტგარტი) – ლუკაშ პიშჩეკი (II, ბორუსია დ), ნალდო (I, ვერდერი), ჰოლგერ ბადუშუბერი (III, ბაიერნი), ფილიპ ლამი (II, ბაიერნი) – ბასტიან შვაინშტაიგერი (II, ბაიერნი), ლუის ჰოლტბი (II, შალკე) – მარკო როისი (IV, ბორუსია მ), იულიან დრაქსლერი (I, შალკე) – მარიო გომესი (IV, ბაიერნი), პიერ ლასლოგა (I, ჰერტა)

მარკო როისი, რომელზეც ტურის გმირის ამპლუაში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, „კიკერის“ ტურის სიმბოლურ ნაკრებში მეოთხედ მოხვდა და ეს ჯერჯერობით ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. ერთ-ერთი იმიტომ, რომ ზუსტად ამდენჯერვე მოასწრო სიმბოლურში ყოფნა **მარიო გომესმაც**, რომელიც ტურის რჩეულ თერთმეტეულს არც ამჯერად გამოაკლდა. სასიხარულოა სიმბოლურში „ვერდერის“ ბრაზილიელი მცველის, **ნალდოს** დაბრუნება, რომელმაც უმძიმესი ტრავმა გადაიტანა, ფეხბურთი ერთი წელი არ ჰქონდა ნათამაშები და როგორც ხედავთ, ფორმაში შედის.

ტურის გმირი

მარკო როისი (III, ბორუსია მ)

ტურის სიმბოლურ ნაკრებში ოთხჯერ მოხვედრა არაფერია იმასთან შედარებით, რომ როისი უკვე მესამედ გახდა ტურის გმირი – სეზონის დაწყებიდან კი მხოლოდ 11 ტურია გასული. საინტერესო სტატისტიკა: 22 წლის როისს ბუნდესლიგაში სულ 23 გოლი აქვს გატანილი და აქედან 17 „ბორუსია პარკზე“ შეაგდო. ტურის გმირის სტატუსი ამჯერად მას „ჰანოვერთან“ შესრულებულმა დუბლმა („გლადბახმა“ 2:1 მოიგო) მოუტანა.

გოტფრიდ ლენცი

საუკეთესო ფეხბურთელები

6 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	ს/შ.
1. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	2.28
2. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	2.32
3. კლაუდიო პისარო	ვერდერი	2.39
4. მარკო როისი	ბორუსია (მ)	2.41
5. დანიელ ვან ბუიტენი	ბაიერნი	2.42
6. ბასტიან შვაინშტაიგერი	ბაიერნი	2.50
7. მატს ჰუმელსი	ბორუსია (დ)	2.55
8. ჰოლგერ ბადუშუბერი	ბაიერნი	2.64
9. რონ-რობერტ ცილერი	ჰანოვერი	2.64
10. ანდრე ტერ შტეგენი	ბორუსია (მ)	2.68

გოლს პლუს პასის რეიტინგი

ფეხბურთელი	კლუბი	თამაში	გოლი	პასი	ქულა
1. მარიო გომესი	ბაიერნი	10	12	2	14
2. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	11	5	8	13
3. კლასს-იან ჰუნტელაარი	შალკე	11	10	2	12
4. კლაუდიო პისარო	ვერდერი	10	8	4	12
5. ლუკას პოდოლსკი	კიოლნი	10	8	4	12
6. რობერტ ლევანდოვსკი	ბორუსია (დ)	11	7	4	11
7. პაპის დემბა სისე	ფრაიბურგი	11	7	3	10
8. მარიო მანჯუკიჩი	ვოლფსბურგი	11	7	3	10
9. მოსამედ აბდელაუ	ჰანოვერი	8	7	1	8
10. რაული	შალკე	11	5	3	8

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტრავმა

ჯერარდის დიდი პრობლემა

სტივენ ჯერარდი

„ლივერპულის“ 31 წლის კაპიტანი, **სტივენ ჯერარდი** საავადმყოფოდან დაზაფრული გამოვიდა — ნუ გაგიკვირდებათ და ინფექციის გამო მას შეიძლება ერთი თვე გაუცდეს. საავადმყოფოსთან მყოფმა პაპარაცებმა, გარდა იმისა, რომ მას სურათები გადაუღეს, რედაქციებში ამბავი მიიტანეს, რომ ინგლისელი ვარსკვლავი ძალიან შეწუხებული ჩანდა. „სტივი ჯის“ ფეხი თაბაშირში ჰქონდა ჩასმული და ყავარჯენს ეყრდნობოდა. ექიმების თავდაპირველი ვარაუდით გამორიცხული არ არის ჯერარდმა მთელი ნოემბერი გამოტოვოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის მონაწილეობას ვერ მიიღებს პრემიერლიგის შეხვედრებში „მანჩესტერ სიტისა“ და „ჩელსის“ წინააღმდეგ. გარდა ამისა, ჯერარდი ვერც ინგლისის ნაკრების ორ მატჩში ითამაშებს — ამ ამხანაგურ მატჩებში ინგლისელების მეტოქეები იქნებიან ესპანეთისა და შვედეთის ეროვნული გუნდები.

მოგეხსენებათ, 2011 წელი მერსისაიდელთა კაპიტნისთვის ტრავმიანი გამოდგა. ცოტა ხნის წინ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში მან ეჭვიც კი გამოთქვა, ნეტავ ოდესმე ძველებურად თუ ვითამაშებო. „წითლების“ თავკაცმა **კენი დალგლიშმა** თქვა:

„იქნება თუ არა ესპანეთთან ამხანაგური შეხვედრისთვის მზად? წარმოდგენა არ მაქვს. ის, რაც მას ახლა სჭირს, ძველ ტრავმებთან კავშირში არ არის. ეს ინფექციაა. თუ სწორედ ვხვდები, ეს დაახლოებით იგივეა, ვინმეს პირში ჩირქიანი მუწუკი რომ ჰქონდეს“.

ჯერარდის პრობლემათა ახალი ტალღა წინა კვირაში დაინყო, როდესაც ვარჯიშზე ფეხი გაეჭრა. ეს ამბავი „ლივერპულის“ საწვრთნელ ბაზაზე, მელვუდში მოხდა. კაპიტანს ფეხი კოჭთან გაეჭრა, თუმცა ყველა ამბობდა, რომ ის შაბათს „ვესტ ბრომვიჩთან“ თამაშს შეძლებდა. „წითლების“ კაპიტანი გუნდთან ერთან ჩავიდა „ჰოუთორნის“ სტადიონზე, მაგრამ ტკივილმა თამაშის საშუალება არ მისცა და ის მერსისაიდში დაბრუნდა.

● ჩელსი

ვილაშ-ბოაში გამძვინვარდა

ანდრე ვილაშ-ბოაში

„ჩელსის“ მწვრთნელმა, **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** კვირას თავის ფეხბურთელებს განკითხვის დღე მოუწყო. მოგეხსენებათ, შაბათს მათ „არსენალთან“ 3:5 წააგეს. პორტუგალიელ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ამ დღეს მას და გულშემატკივარს ფეხბურთელებმა უღალატეს.

უფრო ზუსტად, საქმე ასე იყო: კვირას დასავლეთ-ლონდონური კლუბის მოთამაშეები საწვრთნელ ბაზაზე ჩვეულებრივი, განმუხტვის ვარჯიშის ჩასატარებლად მივიდნენ - ასე ხდება ხოლმე მატჩის შემდეგ დღეს - მაგრამ სხვა რამ დახვდათ. ჯერ ერთი, ვილაშ-ბოაშმა გასახდელში სულ ცეცხლი ჰყარა, შემდეგ კი ფეხბურთელები მოედანზე გაიყვანა და ისე დატვირთა, ტყავი გააძრო.

33 წლის თავკაცი უპირველეს ყოვლისა იმას გაუბრაზებია, რომ შაბათს, „სტემფორდ ბრიჯზე“, „ლურჯებმა“ მის დავალებას გადაუხვიეს და სულ სხვა რაღაც ითამაშეს. ამის შემდეგ მას მოთამაშეებისთვის კატეგორიულად მოუთხოვია, რომ დღეს, ჩემპიონთა ლიგაში, „გენკთან“ და მომდევნო შაბათს, პრემიერლიგაში, „ბლექბერნთან“ უკიდურესად მოინდომონ და დანაშაული გამოისყიდონ. დასავლეთლონდონელებმა ინგლისის პირველობის ბოლო ორი თამაში წააგეს და ლიდერ „მანჩესტერ სიტის“ ცხრა ქულით ჩამორჩებიან.

„დეილი მეილმა“ შეიტყო, რომ „ჩელსის“ ის ფეხბურთელები, რომლებიც წინა მწვრთნელებთან ყინწად იყვნენ და როდესაც საჭირო იყო თავიანთ აზრს თამამად გამოთქვამდნენ, ვილაშ-ბოაშის მრისხანებას ჩუმად უსმენდნენ. წყარომ გაზეთს ისიც უთხრა, რომ მწვრთნელი პიროვნებებს არ შეხებია, თუმცა ფეხბურთელებს, როგორც გუნდს, შავი დღე აყარა.

● მანჩესტერ სიტი

ვითომ გააბოლებ, ედინ?

ედინ ჯეკო

2008-09 წლების სეზონში, როდესაც „ვოლფსბურგმა“ ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტული მოიგო, ბოსნიელმა თავდამსხმელმა, **ედინ ჯეკომ** პირდაპირ მოედანზე მოუკიდა დიდ სიგარას და გამარჯვება გემრიელი ნაფაზით აღნიშნა. გერმანული გუნდის იმ გამარჯვებაში მნეველ ჯეკოს მართლაც დიდი წვლილი მიუძღოდა. დღეს ბოსნიელი 25 წლისაა და „მანჩესტერ სიტისთან“ ერთად პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის. მართალია, ერთი ხნის წინ, მიუნხენში, „ბაიერნთან“ შეხვედრაში, როდესაც მწვრთნელმა, **რობერტო მანჩინიმ** შეცვალა, პროტესტი გამოთქვა და იტალიელს აწყენინა, მაგრამ ისტლენდელებისადმი მის ერთგულებაში ეჭვს ვერავინ შეიტანს და ფორვარდის მიზანიც მკაფიოა: თუ ნებას დართავენ, მომავალ გაზაფხულზეც უნდა „ეტიჰედ სთედიუმის“ მოედანზე ერთი ლაზათიანი გაბოლება.

თავდამსხმელმა, რომელიც „სიტის“ 27 მილიონი ფუნტი დაუჯდა, თქვა: *„ჩვენ ათი შეხვედრის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედ ზე“ ხუთი ქულით მეტი დავაგროვეთ, მაგრამ სეზონის დასრულებამდე ჯერ ძალიან ბევრი მატჩია ჩასატარებელი. პირადად ჩემთვის ფავორიტი დღესაც „იუნაიტედია“. სხვა საქმეა, რომ ცხრილში პირველ ადგილზე ვართ და ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ეს პოზიცია შევინარჩუნოთ. ის, რომ „ჩელსის“ ცხრა ქულით ვუსწრებთ, რასაკვირველია, დიდებულია, მაგრამ ერთი წუთითაც არ ვფიქრობ, რომ პრემიერლიგის პირველობა მხოლოდ ჩვენი და „იუნაიტედის“ დოლად იქცა.*

სეზონი ისე დავიწყეთ, რომ მისი წყალობით დღეს საკუთარი თავის რწმენით ვართ აღვსილნი. გასულ სეზონში ხომ მოვიგეთ ფეხბურთის ასოციაციის თასი? ჰოდა, ამ სეზონში უკვე ჩემპიონობა გვინდა. ისევ სიგარით თუ ვაპირებ ზეიმს? თუ ვინმე მომაწოდებს, რატომაც არა“.

პრემიერლიგის მომდევნო ტურამდე „მანჩესტერ სიტის“ ჩემპიონთა ლიგის საქმეები აქვს მოსაგვარებელი. ჯეკო, სავარაუდოდ, მოედანზე იქნება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მიუნხენის „ალიანს არენაზე“ ჯეკომ შეცვლა გააპროტესტა, რითაც მანჩინის აწყენინა, მაგრამ იმ დღეს ბოსნიელის საქციელი არგენტინელი **კარლოს ტევესის** ცნობილმა უარმა გადაფარა.

„ეს ამბავი ჩემთვის უკვე წარსულს ჩაბარდა. მწვრთნელს მეორე დღესვე მოვუბოდიშე და კონფლიქტიც ამოიწურა. მოედანზე ყოფნა და თამაში ყველა ფეხბურთელს უნდა და როდესაც ხელი გვეშლება, ხანდახან ვბრაზდებით. ვფიქრობ, ეს ბუნებრივი ამბავია. თან, იმ დღეს ისეთიც არაფერი მომხდარა. ყველაფერში დამნაშავე იმედგაცრუება იყო. წარმოიდგინეთ, დიდი ხნის შემდეგ გერმანიაში დავბრუნდი და მინდოდა ძველი მაყურებლის წინაშე კიდევ ერთხელ გამომეჩინა თავი. პირველი ნახევარი საათის განმავლობაში ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მერე იღბალმა ზურგი გვაქცია. თუმცა, მას მერე ჩემი საქმე კარგად მიდის. ბოლო კვირაში ხუთი გოლი გავიტანე. მონდომება არ მაკლია. რას იზამ, ყველაფერი ხდება. ხანდახან, ცუდად თამაშობ და გოლები გაგაქვს, ხანდახან კი პირიქით“.

● არსენალი

რობინ ვან პერსიმ გოლი ასე აღნიშნა

ახლა, ნაციზმიო...

„ჩელსისთან“ გამარჯვებას სხვანაირად იგონებს „მეთოფეთა“ კარის მცველი **ვოიცეხ შჩესნი**. 21 წლის პოლონელი კმაყოფილია, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში, როდესაც საჯარიმოს კიდესთან „ლურჯების“ მცველ **ეშლი კოულს** ხელი გამოსდო, მსაჯმა წითელი ბარათი არ აუფრიალა. შჩესნი ყვითელი ბარათით გამოძვრა და თამაშის შემდეგ „ტვიტერში“ დაწერა:

„წარმოდგენა არ მაქვს რატომ დამტოვა არბიტრმა მოედანზე“.

საინტერესოდ დაწერა ამ შეხვედრის შესახებ „სანმა“. ეს იყო თამაში, რომელშიც ორივე გუნდი უტევდა, როგორც ჩემპიონი და თავს იცავდა, როგორც ლუდსნის კლიენტების ნაკრებიო. თუმცა, „არსენალის“ მწვრთნელმა, **არსენ ვენგერმა** ასეთ შეხვედრაშიც კი გამონახა თავისი მცველის შექების შესაძლებლობა:

„ლორან კოშელნი უმაღლესი დონის ცენტრალური მცველია. მას ზურგს არანაირი გამოცდილება არ უმაგრებს. სანამ ჩვენთან გადმოვიდოდა, საფრანგეთის პირველობაზე ერთადერთი სეზონი ჩაატარა, ახლა კი ჩვენთან მეორე ჩემპიონატში მონაწილეობს და დღითი-დღე იზრდება. გარდა იმისა, რომ „ჩელსისთან“ ითამაშა შესანიშნავად, წინა ტურში „სტოკთანაც“ შესანიშნავი იყო. კოშელნის ძლიერი მცველისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს. ერთადერთი, რაც მას მინუსად შეიძლება ჩავუთვალოთ ზომაა, ის დაბალია, მაგრამ ძალიან მკვირცხლია და თამაშს კარგად კითხულობს“.

● უკნაური კაცი

ბალოტელი და უკანა ეზო

„მანჩესტერ სიტის“ ექსტრავაგანტური თავდამსხმელი, 21 წლის იტალიელი **მარიო ბალოტელი** თავისი მდიდრული სახლის უკანა ეზოს მიადგა და ბალი რბოლის ტრასად აქცია. მავანმა წყარომ ინგლისურ ტაბლოიდებს ამბავი მიუტანა:

„მარიო სპორტის ნამდვილი გიუია. მისთვის სულერთია, ფეხბურთს თამაშობს, ცურავს, კარატეში ვარჯიშობს თუ ძიუდოს ილეთებს ამუშავებს. კვადროციკლით კი ის სწრაფად მართვის მოთხოვნილებასაც იკმაყოფილებს. ის კორპუსიდან კერძო სახლში გადაბარგდა და გაილაღა. ეზო აკლებული აქვს, თუმცა, ჯერჯერობით მეზობლებისგან არავის უჩივლია. ის დიდი ბავშვია, მის მეგობარ გოგონას, რაფაელას კი ეს ამბავი საერთოდ არ აწუხებს“.

უბანი, რომელშიც ბალოტელი გადასახლდა მდიდრულია და მისი წინა საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებით ხალხი ერთმანეთის თავზე არ ბინადრობს. აქ, მეზობლებს ერთმანეთისგან დიდი მანძილი აშორებთ და მარიოსაც შეუძლია თავის ეზოში იგიჟოს, რამდენიც უნდა.

● რასიზმი

შავ-თეთრი ანტონის პოზიცია

„ქუინზ პარკ რეინჯერსის“ 26 წლის მცველი, **ანტონ ფერდინანდი** „ჩელსის“ კაპიტნის, **ჯონ ტერის** მიერ შეურაცხყოფილი ფერადკანიანი ფეხბურთელიდან რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლად ყალიბდება. კვირას, „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ თამაშის წინ, მოთელვაზე, მას ეცვა მაისურა წარწერით: „ერთი თამაში, ერთი საზოგადოება“. „რეინჯერსის“ მწვრთნელმა **ნილ უორნოკმა** თქვა:

„მე თუ მკითხავთ, ის დიდებულად მოიქცა. ამ მაისურის ჩაცმით ანტონმა თავისი დიდი ბუნება გვაჩვენა. თქვენ გგონიათ, „ჩელსისთან“ შეხვედრაში მომხდარმა ამბავმა მასზე რამენაირად იმოქმედა? არავითარ შემთხვევაში, აქ, „რეინჯერსში“, ყველანი ერთსულოვნად ვებრძვით რთულ პერიოდებს“.

ანტონ ფერდინანდს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში პირველი ჩვენება გუშინ უნდა მიეცა. ბუნებრივია, დაკითხავენ ჯონ ტერისაც. უორნოკმა განაგრძო:

„არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება გამოძიება. არა მგონია, ასეთ საქმეს ჩარჩოები სჭირდებოდეს. რაც შეეხება ფერდინანდს, როგორც ფეხბურთელს, მას „რეინჯერსში“ გადმოსვლის შემდეგ უკან ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს. მას აშკარად შეუძლია ინგლისში უმაღლეს დონე ზე ითამაშოს. ის კარგი ბიჭი და შესანიშნავი მცველია“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თავისუფალი ჭიდაობა

საღარაძის ტურნირი და კონკურენცია ნაკრებში

ამუქმეებზე ამბროლაურმა მერვედ უმასპინძლა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ გურამ საღარაძის სახელობის ტურნირს ქაბუკთა შორის.

ეს უკვე სხვა ამროლაურია

წლევანდელ შეჯიბრებას ამბროლაური განახლებული ინფრასტრუქტურით შეხვდა — აშენდა ახალი სასტუმრო და სპორტული დარბაზი. ახალ დარბაზში ორი ლეიბი ეტევა და დაახლოებით 250 სკამზეა გათვლილი, თუმცა ფეხზე დასადგომი ადგილების ჩათვლით გაცილებით ბევრ მაყურებელს იტევს. რეკონსტრუქციის შემდეგ იქაურობა შედარებით დაბალი რანგის საერთაშორისო ტურნირების სამასპინძლოდაც სავსებით მზადაა. მით უფრო, ახალაშენებული სასტუმროც ამუშავდა. გურამ საღარაძის ავტორიტეტიდან გამომდინარე, ტურნირზე უცხოელთა ჩასვლა არასოდეს ყოფილა პრობლემა, მაგრამ დაბინავება სერიოზული სირთულე იყო. ამ მიზეზით არც იწვევდნენ ბევრს, ამიერიდან კი ეს დაბრკოლება მოხსნილია. იმედია, მონაწილეთა რაოდენობა გაისად მეტად გაიზრდება, მით უფრო, რომ წლეულს ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად საღარაძესთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლებაც კარგად გაისარჯა - მხარის გუბერნატორი **დავით გაგოშიძე** და საკუთრივ ამბროლაურის რაიონის ხელმძღვანელობა საკრებულოს თავმჯდომარე **კახა ფარჯანაძის**, გამგებელ **ლევან ჯმუხაძის**, სპორტის სამსახურის უფროს **ლევან ბარსონიძის** და სასპორტო სკოლის დირექტორ **ბადრი სარდანაშვილის** შემადგენლობით. მისასალმებელია ადგილობრივი ხელისუფლების ასეთი ზრუნვა - ამით ისინი საკუთარ მხარესაც უწევენ პოპულარიზაციას და ძალიან დიდ სტიმულს აძლევენ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, დიდი სიახლე და სიხარული შეაქვთ პროვინციის ცხოვრებაში... ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი პირდაპირი მოვალეობა ხომ ესეცაა.

ცნობილები და სამარელი გიუნაშვილი

ეს ასპარეზობა არაა საერთაშორისო სტატუსისა, თუმცა მასში უცხოელები მაინც მონაწილეობდნენ - სომხები, აზერბაიჯანელები და რუსები. მოწვეულები იყვნენ ირანელები, ჩამოსვლაზე თანხმობაც განაცხადეს, მაგრამ საბოლოოდ ვერ მოახერხეს და მოიბოდიშეს. რუსეთს ამჯერად სამარის გუნდი წარმოადგენდა, სადაც წლების განმავლობაში მუშაობს რაჭველი მწვრთნელი **მიხეილ ლობჟანიძე**. მას ხშირად ჩამოჰყავს მოსწავლეები საქართველოში შეჯიბრებებზე და ამჯერადაც სიამოვნებით ესტუმრა მშობლიურ კუთხეს. ტურნირის მთავარი ჯილდოც, გურამ საღარაძის სახელობის პრიზიც მისმა შეგირდმა, 85 კილოგრამში გამარჯვებულმა წარმოშობით რუსთაველმა **ზურაბ გიუნაშვილმა** მოიპოვა.

უცხოელებს საქართველოს თითქმის ყველა რაონის გუნდები დაემატნენ და მონაწილეთა დიდი რაოდენობა გამოვიდა - 350. მათ ორ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზეს - 1995-98 და 2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის. უფროსებში ეს ის ასაკია, რომლებმაც გაისად უკვე ეროვნულ ნაკრებში ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე უნდა იჭიდაონ. ეს შეჯიბრება კი მათთვის ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპი იყო გუნდში მოსახვედრად, რასაც წინ უძღოდა ხაშურისა და ონის, აგრეთვე სომხეთის ტურნირები. მწვრთნელებისთვის საინტერესო შედეგებიც აღინიშნა. ასე მაგალითად, 46-ში **გიორგი პასიკაშვილმა** გაიმარჯვა, რომელიც სომხეთშიც ჩემპიონი გახდა, ონსა და ხაშურში გამარჯვებული ბათუმელი **რამაზ ზოიძე** კი ამჯერად მესამეზე გავიდა. დაძაბული კონკურენცია კვლავაც გრძელდება 69-ში, თუმცა მასში ახლა ბევრად გამოცდილი ქუთაისელი, ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ომარ გურჯიძე** ჩაერია და ფინალში სომხეთში გაჩემპიონებული **ლევან მურადხანაშვილი** დაამარცხა, ონის შეჯიბრების მომგები **გიორგი ბეჟიაშვილი** კი მესამეზე გავიდა. 76 კილოგრამში მსოფლიოს წლევანდელმა პრიზიორმა **გიორგი ჩხარტიშვილმა** იმარჯვა. 63-ში კვლავ იყოჩაღა ხაშურის ტურნირის მომგებმა, სომხეთში კი ორ სხვადასხვა შეჯიბრებაზე ოქრო-ვერცხლის მომპოვებელმა **ტარიელ გაფრინდაშვილმა**... საბედნიეროდ, მსგავსი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება, რაც დიდ კონკურენციაზე მიუთითებს, ეს კი ნარმატების წინაპირობაა.

ახალი სახეები, გოგოებიც...

ცხადია, ძველ ლიდერებს ახალი სახეებიც დაემატნენ და შეიძლება ითქვას, კონკურენციის თვალსაზრისით საღარაძის ტურნირმა გაამართლა. მით უფრო, კვარცხლბეკს თუ გადახედავთ, შეამჩნევთ, რომ მედალოსანთა გეოგრაფია საკმაოდ ფართოა, ხოლო ჩოხატაური სულაც ახალი წერტილია - გურიაში ბერძნულ-რომაული ჭიდაობაა განვითარებული, „თავისუფალში" კი ეს იქაურთა პირველი ნაბიჯია, რაც ენთუზიასტი მწვრთნელის - **გია ბოლქვაძის** დამსახურებაა. ასევე თვალშისაცემია ნინოწმინდელთა ხვავრიელი მონაგარიც.

შეჯიბრებაზე ინდივიდუალური პრიზებიც იყო დაწესებული. იორამ საღარაძის სახელობის ჯილდო, როგორც ყველაზე მძიმეწონიანმა მოჭიდავემ, თბილისელმა **გლახო ზედელაშვილმა** მიიღო, შეჯიბრების საუკეთესო მოჭიდავედ კი, მასპინძელთა გასახარად, ამბროლაურელი **ვლადიმერ გამყრელიძე** დაასახელეს. მაყურებლის სიმპათია ანუ ახლახან გარდაცვლილი ჯუმბერ დავლიანიძის სახელობის პრიზის მფლობელი **ომარ გურჯიძე** გახდა, ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ამბროლაურელი მოჭიდავის - ფრიდონ მკერვალიშვილის სახელობის ჯილდო კი, რაც მთლიანად მსაჯთა სიმპათიით გამოვლინდა, გარდაცვლილის თანაქალაქელ **ნიკოლოზ გოგრიჭიანს** გადაეცა.

ბოლო წლებში პირველად, ამ ტურნირზე გოგოების ასპარეზობაც გაიმართა - აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, სადაც სულ 6 მონაწილე გამოდიოდა. აქ გორელმა **ანი აკოფოვმა** გაიმარჯვა, მომდევნო ადგილები კი ამბროლაურელებმა დაიკავეს - ვერცხლი **ანა ჩარქელიანს** ერგო, ბრინჯაო - **ხატია ჯოხაძეს**.

კვარცხლბეკი

ბიჭები. 2000-2002 წწ

23 კგ. 1. შემავონ ტევონიანი (სომხეთი), 2. იგორ ბერიძე (ქობულეთი), 3. გიორგი გოგრიჭიანი (ამბროლაური), აკოფ პოღოსიანი (ნინოწმინდა).

26 კგ. 1. თორნიკე ქათამაძე, 2. ლუკა ქარჩხაძე (ორივე - ქობულეთი), 3. გიორგი გეგელაშვილი (გორი), სპარტაკ სირაგანიანი (ნინოწმინდა).

29 კგ. 1. ლაშა ფუტკარაძე (ხელვაჩაური), 2. ნიკოლოზ გოგრიჭიანი (ამბროლაური), 3. მახარე გელაშვილი (ხაშური), გია ულრლიძე (სამტრედია).

32 კგ. 1. ვლადიმერ გამყრელიძე (ამბროლაური), 2. გევორქ მარქარიანი, 3. გრიგორი ბაღდასარიანი (ორივე - სომხეთი), გიგა მელაშვილი (ამბროლაური).

35 კგ. 1. ნარიბეგ ოგანესიანი (ნინოწმინდა), 2. დავით გევორქიანი, 3. ოვანეს ვარდანიანი (ორივე - სომხეთი), გიორგი გურასაპაშვილი (რუსთავი).

38 კგ. 1. გეგამ გალუსიანი (სომხეთი), 2. ვლადიმირ ივანინი (რუსეთი), 3. არმან ანდრეასიანი, გორგ აკოფიანი (ორივე - სომხეთი).

42 კგ. 1. სიმონ ოსკანიანი (ქარელი), 2. მიხეილ ბოჭორიძე (საგარეჯო), 3. დავით ფურცხვანიძე, აკაკი გოგსაძე (ორივე - ამბროლაური).

46 კგ. 1. ნოდარ ბინაძე (რუსთავი), 2. ალექსი ჯანელიძე, 3. გივი ბერიშვილი (ორივე - ამბროლაური).

+46 კგ. 1. თენგიზ ირემაძე (ჩოხატაური), 2. ივანე გუგეშაშვილი (ონი), 3. შოთა გოგიტიძე (ქედა).

ბიჭები. 1995-98 წ.წ.

42 კგ. 1. იაშა ბაბაიანი (სომხეთი), 2. გაიოზ გონგლაძე (ხაშური), 3. ლევან ნიპარიშვილი (კასპი), თორნიკე მახარაძე (ბათუმი).

46 კგ. 1. გიორგი პასიკაშვილი (საგარეჯო), 2. ტაიფუნ აბდულაევი (მარნეული), 3. რამაზ ზოიძე (ბათუმი), ამირან მეკეიძე (ნინოწმინდა).

50 კგ. 1. გიორგი ლეფავა (სამტრედია), 2. გიორგი ყაზარაშვილი (კასპი), 3. გევორგ ტადევოსიანი (სომხეთი), ალი მახმადოღლი (ქარელი).

54 კგ. 1. ივანე გაბოძე (კასპი), 2. მიხეილ მამუკელაშვილი (საგარეჯო), 3. ოვანეს ღარიბიანი, ნორიკ ბეშანიანი (ორივე - სომხეთი).

58 კგ. 1. არტურ პანოიანი, 2. გორ სარქისიანი (ორივე - სომხეთი), 3. ანზორ კაკლიაშვილი (გორი), ბექა ნიკლაური (ხაშური).

63 კგ. 1. ტარიელ გაფრინდაშვილი (თბილისი), 2. გარიკ რუბინიანი (სომხეთი), 3. კახა ფუტკარაძე (ბათუმი), ნიკა კაპანაძე (ხაშური).

69 კგ. 1. ომარ გურჯიძე (ქუთაისი), 2. ლევან მურადხანაშვილი (თბილისი), 3. გიორგი გიორგობიანი (ქუთაისი), გიორგი ბეჟიაშვილი (საგარეჯო).

76 კგ. 1. გიორგი ჩხარტიშვილი (ქუთაისი), 2. ზურაბ რევაზიშვილი (საგარეჯო), 3. ლევან ბოჭორიძე (საგარეჯო), თორნიკე თორია (ზუგდიდი).

85 კგ. 1. ზურაბ გიუნაშვილი (რუსეთი), 2. თორნიკე ბასილაშვილი (გორი), 3. დანიელ ბალახონიკინი (რუსეთი), ნაილაკ ეგოიანი (ნინოწმინდა).

100 კგ. 1. გლახო ზედელაშვილი (თბილისი), 2. ნიკა მელიქიშვილი (რუსთავი), 3. მიხეილ თვაური (მცხეთა), გურამ ხუჭუა (სამტრედია).

ირაკლი თავაძე

● პროფესიული კრივი

ლევან ღვამიჩავა

სწრაფი, როგორც მგელი

შოტლანდიურ ვიშოუში ზღვა ხალხი შეიყარა პროფესიული კრივის მატჩების საყურებლად, რომელთა შორის დიდი ინტერესით ელოდნენ იტალიისა და ევროპის ყოფილი ჩემპიონის **ჯუზეპე ლაურის** (რომლის მეტსახელია „დასასრული") და ქართველი **ლევან ღვამიჩავას**, (რომელსაც ბრიტანულ რინგებზე „მგელი" შეარქვეს), ორთაბრძოლას. იტალიელი გაცილებით გამოცდილია, მას 31 შეხვედრა მოუგია ნოკაუტით, მაშინ, როცა ჩვენებურს აქამდე მხოლოდ 5 მატჩი ჰქონდა პროფესიონალებში გამართული. ამის მიუხედავად წონაში (63,5 კგ) ღვამიჩავა უკვე 66-ე იყო რეიტინგში. ლაურის კარიერაში ასეთი სამარცხვინო მარცხი არ უნვნევია - მეორე რაუნდში, მას შემდეგ, რაც ქართველმა იტალიელი სამჯერ დააგდო, მათ შორის რეფერი ჩადგა, რათა ლაურის ჯანმრთელობა ეხსნა. ასე იოლად ლაურისთვის ისეთ მოკრივეებს არ მოუგიათ, როგორიც **რიკი ჰატონი** და **პოლ მაკოსკია**.

„ეს რა დარტყმები ჰქონია, თან ორივე ხელით. ასეთი სწრაფი მეტოქე მე არასოდეს შემხვედრია", - განაცხადა დამარცხებულმა, როცა რინგს ტოვებდა. ღვამიჩავას უპირატესობა პირველივე რაუნდში აშკარა იყო, პირდაპირი მარჯვენის და ცაცია ჰუკის კომბინაციის შემდეგ ლაური პირველად დაეცა, მაგრამ, როცა რეფერიმ 9-მდე დათვალა, წამოდგომა შეძლო. პირველ რაუნდში „მგელმა" ერთხელაც დააგდო მეტოქე. მეორე რაუნდში კიდევ ერთ დაგდებას კი ტექნიკური ნოკაუტი მოჰყვა. ლაური გაოცებას ვერ მალავდა უცნობი მეტოქის ძალის გამო.

აი, რას ამბობს ლევანის ირლანდიელი მენეჯერი გარი ჰაიდი: *„ლევანის შეჩერება დღეს შეუძლებელი იყო, რადგან ის მრავალმხრივ განვითარებული მოკრივეა. მას აქვს ძალზე მძიმე დარტყმა. მინდა განვაცხადო, რომ ლევანი წონაში ნებისმიერ მეტოქესთან მზადაა გასამარჯვებლად"*. პროფესიულ გამოცდილებას რომ გაიმდიდრებს, ღვამიჩავა აუცილებლად შეხვდება ევროპის ჩემპიონს, რომელსაც ლაურის დასამარცხებლად 8 რაუნდი დასჭირდა. *„ლევანის კარიერით დიდად კმაყოფილი ვარ, მსოფლიოში ძალიან ცოტაა ისეთი მოკრივე, რომელსაც ასე ცოტა ბრძოლა აქვს გამართული რინგზე, მაგრამ მასსავით ძლიერია. არ დაგვაეიწყდეს, რომ ქართველის დებიუტი მხოლოდ იანვარში შედგა"*, - დასძენს ჰაიდი.

წლის ბოლოს ქართველი მოკრივე პირველად მიაშურებს ამერიკას, მას როგორც იქნა, დაუმტკიცეს სპორტული ვიზა და ახლა შეუძლია პროფესიული კარიერა იქ განაგრძოს, სადაც საუკეთესო მეტოქეები ეგულება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ძიუდო. მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

ახალგაზრდები სამხრეთ აფრიკაში მიდიან

წუხელ საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები თურქეთის გავლით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაფრინდა, სადაც დედაქალაქ კეიპტაუნში 3-6 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონატში იჭიდავებს. **გიორგი გუგავამ** იქ არასრული და ევროპის პირველობისგან განსხვავებით მნიშვნელოვნად გადახალისებული გუნდი წაიყვანა: **ლერი ჭელიძე** და **გიორგი მესაბლიშვილი** (ორივე - 55), **ვაჟა მარგველაშვილი** და **ლაშა გიუნაშვილი** (60), **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **მიხეილ ჩოხელი** და **ფრიდონ გიგანი** (73), **ბექა ღვინიაშვილი** და **შალვა ნინიძე** (81), **გიორგი მერმანიშვილი** და **გიორგი ქავთარაძე** (90), **გურამ თუშიშვილი** და **დავით მერაბიშვილი** (100), **ლევან მატიაშვილი** და **უშანგი კოკაური** (+100). მათგან შავდათუაშვილი ევროპის წლევანდელი ჩემპიონია, ჭელიძემ და მატიაშვილმა ვერცხლი მოიპოვეს, ჩოხელმა - ბრინჯაო. ძალზე ტიტულოვანია კიდევ ორი წევრი, ოღონდ - ჭაბუკებში: ღვინიაშვილმა იქ ევროპაც მოიგო, მსოფლიოც და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალიც ანუ ყველაფერი, სადაც კი იჭიდავა (საინტერესოა, რომ სამივე ტურნირი თვენახევრიან მონაკვეთში ჩატარდა, ხოლო ამან ყველა შეხვედრაში იპონით იმარჯვა), თუშიშვილი კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ორივე მათგანს ახალგაზრდულ ნაკრებში დებიუტი ექნება, როგორც გიუნაშვილსა და მერაბიშვილს. გუნდს თან გაჰყვა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი **ვლადიმერ ნუცუბიძე**, რომელიც მსაჯადაა მიწვეული.

კეიპტაუნში გოგოებში მონაწილე არ გვეყოლება, რადგან ამ ასაკში რეალური კანდიდატები არ გვყავს. ტურნირის წილისყრა 2 ნოემბერს გაიმართება და გავიგებთ ჩვენებურთა მეტოქეებს. ჩემპიონატის განრიგი ასეთია - 3 ნოემბერს ბიჭებში 55-60 კილოგრამის ფალავნები იჭიდავებენ, 4-ში - 66-73, 5-ში - 81-90-ის, 6 ნოემბერს კი ტურნირს 100 და მძიმე წონების ახალგაზრდები დაამთავრებენ.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობას შარშანაც აფრიკამ უმასპინძლა, ოღონდ - მაროკომ, ჩვენებმა კი თითო ოქრო და ბრინჯაო მოიპოვეს. მაშინ პლანეტის ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) გახდა, **ზებედა რეხვიაშვილი** (73) კი მესამეზე გავიდა.

ირაკლი თავაძე

● სუმო

სამი ქართველის დაწინაურება

ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)

13-27 ნოემბერს კუნძულ კიუშუზე წლის უკანასკნელი სუპერტურნირი გაიმართება, სუმოისტთა ახალი რეიტინგ-ლისტი (ბანძუკე) კი გუშინ გამოქვეყნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, რეიტინგში სამივე ქართველ რიკიშის წინსვლა აქვს. 24 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** აღმოსავლეთის მე-2 მაეგაშირა გახდა (კარიერის რეკორდი: 222 მოგება - 178 მარცხი). წინა ბაშოზე „მებრძოლი სულის" პრიზის მფლობელი **თეიმურაზ ჯულელი (გაგამარუ)** დღეიდან დასავლეთის მე-3 მაეგაშირაა (კარიერის რეკორდი: 191 მოგება - 135 მარცხი) და ეს მისი საუკეთესო მიღწევაა. ქართული სუმოს პიონერი **ლევან ცაგურია (კოკაი)** გასავარდნ ზონას მნიშვნელოვნად დაცილდა, ახლა ის აღმოსავლეთის მე-10 მაეგაშირაა (კარიერის რეკორდი: 422 მოგება - 405 მარცხი).

როგორც ხედავთ, ტოჩინოშინსა და გაგამარუს ერთი წარმატებული ბაშო აშორებთ კომუსუბის ტიტულთან. დიდი ჩემპიონი (ანუ იოკოძუნა) კვლავ ერთია - იმპერატორის თასის 20-გზის გამარჯვებული 26 წლის მონღოლი **ჰაკუჰო**. ჩემპიონთა რიცხვმა კი იმატა - კიუშუს ბაშოზე 4 ოძეკი იჭიდავებს - ესტონელ **ბარუტოს**, მონღოლ **ჰარუმაფუჯის** და ბულგარელ **კოტოოშუს** 27 წლის იაპონელი **კოტოშოგიკუ** მიემატა. რანგით მესამე ტიტული (სეკივაკე) **კისენოსატოსა** და **კაკურიუს** ერგოთ, კომუსუბიც ორია: **ტოიონოშიმა** და **ჰომაშო**. უმაღლეს, მაკუუჩი დივიზიონში დებიუტი 5 სუმოისტს ექნება: **მიოგირიუს, შოჰოზანს, სადანოფუჯის, აოიამას** და **ცურუგიდაკეს**. აღსანიშნავია, რომ აოიამა ბულგარელი **დანიელ ივანოვია**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● მძლეოსნობა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მარცხნიდან: ქრისტინე რურუა, მეჰმეთ კალე, ალექსი ახვლედიანი, დავით ილარიანი

გამოცდების შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივითა და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ხელშეწყობით თბილისში მძლეოსნობის 22-მა მწვრთნელმა საერთაშორისო სემინარებში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც თურქი სპეციალისტი **მეჰმეთ კალე** ხელმძღვანელობდა. 10-დღიანი სწავლების შემდეგ გუშინ გამოცდები 13-მა მწვრთნელმა (გიორგი გოზალიშვილი, დავით მანთიძე, ვასილ მახარაძე, მიხეილ გაფრინდაშვილი, ქრისტინე რურუა, მარიამ მინაშვილი, კახაბერ ხომერიკი, დავით ცუცქირიძე, ზურაბ ტალიკიშვილი, დავით ილარიანი, თამარ შანიძე, ინდირა გრიგორიანი, ირაკლი გოზალიშვილი) წარმატებით ჩაბარა. მათთვის საერთაშორისო სერთიფიკატების გადაცემას მიეძღვნა საზეიმო ღონისძიება, რომელიც მძლეოსნობის დიდუბის მანეჟში გაიმართა.

- ბევრ ქვეყანაში ჩამიტარებია სწავლება, მაგრამ ასეთი თბილი, საქმიანი ატმოსფერო, ფედერაციის მესვეურთაგან ამგვარი ყურადღება არსად მიგრძვნია. მწვრთნელებიც ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობით გამოირჩევიან, რაც საერთო საქმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, - გვითხრა მეჰმეთ კალემ. - ადამიანთა რესურსის მხრივაც ისეთი კარგი ბაზა გაქვთ, რომ სამომავლოდ თქვენს სპორტსმენებს ნამდვილად შეეძლებათ საერთაშორისო სარბიელზე მეტი წარმატების მიღწევა.

დავით ილარიანი, საქართველოს ნაკრების წევრი: ჯერ მოქმედი სპორტსმენი ვარ და ინტენსიურად ვემზადები ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად, მაგრამ ვისარგებლე შემთხვევით და მწვრთნელთა სწავლებაშიც მივიღე მონაწილეობა. დიდი მადლობა სეოკ-ს, ჩვენსა და საერთაშორისო ფედერაციებს ასეთი საინტერესო და ნაყოფიერი სემინარებისთვის. თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ვფიქრობ, კარგი ცოდნა მივიღე. საქართველოს ნაკრების წევრები ხშირად ვეხმარებით ერთმანეთს, რადგან ერთი გუნდი ვართ და საერთო ნარმატებისთვის ვიბრძვით. ამ სწავლების შემდეგ შემეძლება არა მარტო მეგობრებს, არამედ საკუთარ თავსაც პირად მწვრთნელთან ერთად პროფესიული დახმარება გავუწიო ვარჯიშის სისტემის გასაუმჯობესებლად.

ალექსი ახვლედიანი, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი: დამოუკიდებლობის შემდეგ მძლეოსნობის მწვრთნელთა გადასამზადებლად საერთაშორისო სწავლება ჩვენთან პირველად ჩატარდა, რისთვისაც მადლობა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას, რომელმაც მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთან ერთად პრაქტიკული მეცადინეობებისთვის ინვენტარიც გამოგვიგზავნა. გულახდილად გეტყვით, რომ გამოცდების შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა: საერთაშორისო სერთიფიკატის მქონე 13 მწვრთნელი სამომავლოდ დიდი სტიმულია უფრო ნაყოფიერი გარჯისათვის და წარმატებების მისაღწევად. გამოცდები ვინც ვერ ჩააბარა, ისინი სხვა მწვრთნელებთან ერთად კიდევ ერთხელ გაივლიან სწავლებას, რომელიც რამდენიმე თვეში გვაქვს დაგეგმილი.

- ზამთრის სამზადისზე რას იტყვით?

- ახალი სეზონისთვის მზადებას უკვე შევუდექით. 5 ნოემბრიდან 30-დღიან სანვრთნელ შეკრებას დავიწყებთ იმ სპორტსმენებისთვის, რომლებსაც 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის საგზურების მოპოვების შანსი აქვთ. გაისად მარტში სტამბოლი ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. იმ შეჯიბრებაში 3-4 ჩვენი ათლეტიც ისასპარეზებს. ახლა დიდუბის მანეჟში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ცოტა გაზიფიცირების პრობლემამ შეგვაფერხა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა და დარბაზის გათბობას ერთ თვეში ჩავრთავთ, რაც სპორტსმენებს მოსამზადებელ პირობებს საგრძნობლად გაუუმჯობესებს.

ერთიც მინდა დავძინო: ამას წინათ 1998-1999 წლებში დაბადებული გოგობიჭების შეჯიბრება ჩავატარეთ. ეს ის ასაკია, რომლის წარმომადგენლებმაც 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე უნდა იასპარეზონ. ნაკრებისთვის პერსპექტიული მოზარდები შევარჩიეთ. ვფიქრობთ, ისინი თბილისში ჩამოვიყვანოთ, რადგან აქ სერთიფიცირებულ მწვრთნელებთან ვარჯიშის უკეთესი პირობები ექნებათ, მაგრამ ჯერ სკოლისა და საცხოვრებლის პრობლემები გვაქვს მოსაგვარებელი. მჯერა, რომ ამ სირთულესაც თავს გავართმევთ და წინსვლა აქაც გვექნება.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

მეგზი ქულა, მხოლოდ ერთი ადგილი

ანა ტატიშვილი

ანა ტატიშვილმა მსოფლიო კლასიფიკაციაში ქულათა მარაგი 758-დან 776-მდე შეიტანა, თუმცა ეს რეიტინგში მხოლოდ ერთი საფეხურით დაწინაურებას ეყო - დღეიდან, 21 წლის ქართველი მსოფლიოს 87-ე ჩოგანია. სხვები: 170 (-3) **მაკა ჩახნაშვილი** - 365 ქულა; 279 (-2) **სოფიო შაფათავა** - 193; 304 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 164; 407 (+6) **ეკა გორგოძე** - 94; 452 (+15) **სოფიო ქვაცაბაია** - 82; 467 (-7) **თათია მიქაძე** - 78; 988 (-1) **ნათია გეგია** - 11; 1015 (-3) **ანი გოგვაძე** - 10; 1215 (-1) **მაგდა ოქრუაშვილი** - 3. ვაჟები: 1182 (-6) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1 301 (-14) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 474 (-13) **ალექსანდრე მეტრეველი** - 1.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● მშვილდოსნობა. საქართველოს პირველობა

გამარჯვება 20 წლის შემდეგ

ამუქმეებზე ასკ-ს დარბაზმა მშვილდოსნობაში საქართველოს პირველობას უმასპინძლა, რომელშიც ქვეყნის 30-მდე ჩუბინი მონაწილეობდა. როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა ტურნირი მოულოდნელი შედეგებით დამთავრდა.

ქალთა შორის ნაკრების სამივე უცვლელი წევრი გამოდიოდა - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე,** თუმცა გამარჯვება სულ სხვას დარჩა - ბათუმელ **ლანა ვერულიძეს,** რომელიც სპორტს 20-წლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა. მან შესარჩევ ეტაპზეც კარგად ისროლა და 563 ქულით საუკეთესო იყო. 554-ით მეორეზე ნარიმანიძე გავიდა, მესამეზე - დიასამიძე 543-ით. სამწუხაროდ, ესებუამ სუსტად ისროლა და მხოლოდ მეხუთე შედეგი აჩვენა, მას ბათუმელმა **ნათია ცინცაძემაც** გაუსწრო და პლეი ოფში ნაადრევად გამოეთიშა ბრძოლას.

ნახევარფინალში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: ვერულიძე-ცინცაძე და დიასამიძე-ნარიმანიძე. ალბატ, ბევრისთვის მოულოდნელად, დიასამიძემ იოლად დასძლია ნარიმანიძის წინააღმდეგობა - სამივე სეტში დაამარცხა და 6:0 მოუგო. ვერულიძეს უფრო გაუჭირდა ცინცაძესთან გამარჯვება - 7:3 აჯობა. ფინალიც საკმაოდ დაძაბული გამოდგა და ვერულიძემ 6:4 იმარჯვა, აი, ბრინჯაოსთვის შეხვედრა კი დრამატულად წარიმართა ნარიმანიძესა და მის პირად მოსწავლე ცინცაძეს შორის - შეგირდმა მასწავლებელს ბევრი არაფერი დაუთმო, თუმცა მაინც უმედლოდ დარჩა. ორთაბრძოლა ფრედ დასრულდა - 5:5, დამატებით სროლაში ორივემ 9-იანში გაარტყა, მაგრამ ნარიმანიძის ისარი 10-იანთან უფრო ახლოს იყო და ბრინჯაოც მას ერგო.

ვაჟთა შედეგები კვლავაც ვერ იყო საერთაშორისო სტანდარტებს მიახლოებული. აქ სამივე მედალი თბილისელმა მსროლელებმა მოიპოვეს - ჩემპიონი **ლაშა ფხაკაძე** გახდა, მეორეზე **გიორგი მეჟევიძე** გავიდა, მესამეზე - **დავით ჭელიძე**. ეს ბიჭები ჯერ კიდევ ასაკობრივ ნაკრებებში გამოდიან და ლიდერები დღემდე სხვები იყვნენ, თუმცა მიზეზთა გამო, ისინი ამჯერად შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

ვერულიძის გამოსვლამ ნაკრების კორეელ მწვრთნელს მნიშვნელოვანი ცვლილებისკენ უბიძგა - ისიც შეიყვანა იმ გუნდში, რომელიც ნოემბერში მშობლიურ კორეაში ორთვიან შეკრებაზე მიჰყავს. ამდენად, იქ უკვე 5 ქართველი სპორტსმენი გაემგზავრება - ესებუა, ნარიმანიძე, ვერულიძე, დიასამიძე და ცინცაძე. კორეელის ხელში ვერულიძეს მესამედ მიეცა შანსი და კვლავაც წარმატებით გამოიყენა. აქამდე მან ორჯერ ანთალიაში იასპარეზა - ერთხელ ევროპის, მეორედ კი მსოფლიოს თასზე და ორივეჯერ ჩვენს გუნდში მეორე იყო ნარიმანიძის შემდეგ. თან პირველად ძალიან მიუახლოვდა ოლიმპიურ ნორმატივს. მისასალმებელია, რომ ის, როგორც იქნა, გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდა, რაც კონკურენციას გაზრდის. ამ მხრივ კიდევ უფრო დაგვეხმარება **იულია ლობჟანიძე,** უკრაინიდან მისი გადმოყვანა კიდევ თუ არ შეფერხდა. შეგახსენებთ, რომ მშვილდოსნობის მსოფლიო ფედერაციის ნესდებიდან გამომდინარე, ლონდონში მისი მოხვედრა ლამის გამორიცხულია, მაგრამ ნაკრებს ოლიმპიადის გარდა ხომ არაერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელოდება.

კორეაში ჩვენი გუნდი დაახლოებით ნოემბრის შუა რიცხვებში გაემგზავრება, როცა სავიზო პრობლემები მოგვარდება, ეს პროცესი კი წარმატებით მიმდინარეობს.

ირაკლი თავაძე

● თვრამეტიანი ბიბლიოთეკა

ფეტოგბურთ

1. **წყალბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუმინეთთან 5:11 წააგო.

2. **რაგბი.** მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრები 7:25 დამარცხდა არგენტინასთან და ჯგუფში მე-4 ადგილი დაიკავა.

4. **კალათბურთი.** ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო მატჩში „სოხუმმა" „მინსკს" 94:78 მოუგო.

6. **ჩოგბურთი.** ერევნის საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი) **თათია მიქაძემ** და **სოფიო შაფათავამ** მოიგეს წყვილთა თანრიგში.

7. **ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შვეიცარიასთან 0:1 დამარცხდა.

9. **ძიუდო.** ბაქოს მსოფლიოს თასი მოიგო **ლომერ ყორჟოლიანმა** (100 კგ).

11. **ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრებმა 1:2 წააგო საბერნეთთან და ევრო 2012-ის შესარჩევ ჯგუფში ბოლოსწინა, მე-5 ადგილი დაიკავა.

11. **კალათბურთი.** ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო საპასუხო მატჩში „სოხუმი" „მინსკთან" 63:97 დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა.

14-16. **სამბო.** ლატვიაში სამბისტთა ახალგაზრდულ და ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა ჯამში 5 ოქრო, 4 ვერცხლი და 3 ბრინჯაო მოიპოვეს.

15. **კალათბურთი.** დაიწყო საქართველოს 21-ე ეროვნული ჩემპიონატი, სუპერლიგა.

16. **ძიუდო.** აბუ დაბის გრან პრიზე **ამირან პაპინაშვილმა** (60 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

18. **ძიუდო.** აბუ დაბის გრან პრი მოიგო **ვალერი ლიპარტელიანმა** (90 კგ), ხოლო **ზვიად ხანჯალიაშვილმა** (100 კგ+) ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

29. **რაგბი.** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე რუმინეთს 27:6 მოუგო.

30. **რაგბი.** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე შვეიცარია 50:0 დაამარცხა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ჭადრაკი

რეიტინგი და ჩვენები

ფიდე ორ თვეში ერთხელ, ტრადიციისამებრ, მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა რეიტინგებს აქვეყნებს. გუშინ საპირველნოემბროდ კვლავ გვამცნო მათი ბოლოდროინდელი მონაგარი. ვაჟთა ასეულს უწინდებურად ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი მეწინავეობს 2826 პუნქტით. პირველ ათეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2811), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2812), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2800), თიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2781), ვასილი იანჩუკი (უკრაინა, 2775), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2768), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2763), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი, 2762), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2758). პირველ ასეულში ერთადერთი ქართველია - **ბაადურ ჯობავა,** რომელმაც განვლილ ორ თვეში 34 პუნქტი დაკარგა და 65-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

ქალთა ასეულში საკმაოდ მაღალი რეიტინგით — 2710 პუნქტით პირველ ადგილზეა უნგრელი იუდით ჰოლგარი. სტაბილურად მეორე ადგილს ინარჩუნებს ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2600). ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (2568) მესამეა. საკმაოდ დაწინაურდა სლოვენიის სახელით მოასპარეზე უკრაინელი ანა მუზიჩუკი (2557), რომელმაც მე-4 ადგილზე აინაცვლა. მეხუთე-მეათე ადგილებზე არიან: კატერინა ლახნო (უკრაინა, 2549), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2546), იუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2542), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2539), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2531), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2526).

ქართველთა მონაგარი ასეთია: **12. ნანა ძაგნიძე (2516), 18. მაია ჩიბურდანიძე (2500), 19. ბელა ხოტენაშვილი (2497), 27. ლელა ჯავახიშვილი (2475), 43. ნინო ხურციძე (2440), 45. ანა მათნაძე (2438), 51. სოფიკო ხუხაშვილი (2426), 54, ნაზი პაიკიძე (2422), 55. ნინო ბაციაშვილი (2421), 73. სალომე მელია (23921), 79. თამარ წერეთელი (2383), 89. სოფიკო გურამიშვილი (2374), 96. მაია ლომინეიშვილი (2366), 100. მაკა ფურცელაძე (2363).**

ოცწლამდე ვაჟთა ოცეულში ჩვენებურთაგან არავინაა, გოგონებში კი მეექვსეა ნაზი პაიკიძე (2422), მეთორმეტეა სოფიკო გურამიშვილი (2374), ხოლო მერი არაბიძეს (2392) მე-20 ადგილი უავია.

სოფიკო გურამიშვილი

გურამიშვილი პირველია

ჯაკარტაში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ინდონეზიის ორწრიანი საერთაშორისო ტურნირი ოთხი ქვეყნის 6 წარმომადგენლის მონაწილეობით. 10 შესაძლებლიდან 6,5 ქულით პირველი ადგილი თბილისელმა **სოფიკო გურამიშვილმა** დაიკავა. ჩვენებურმა ნახევარი ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ სლოვენიელ დიდოსტატს **იანა კრივეცს.** 5,5 ქულით მესამე ადგილი **ანა ბურტასოვას** (რუსეთი) ხვდა.

მე-13 ადგილი

გუშინ ქოჯაელში დამთავრდა 16-წლამდელ მოჭადარკეთა მსოფლიო ოლიმპიადა, რომელშიც 26 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოს ნაკრებმა ბოლო მატჩი ფრედ დაამთავრა სირიის (!) გუნდთან (ირაკლი ბერაძემ და შალვა ნადირაშვილმა თავიანთი პარტიები მოიგეს, გუგა ბურდული და ნინო ხომერიკი დამარცხდნენ) და 40 შესაძლებლიდან 20,5 ქულით სირიელებთან მეცამეტე-მეოთხმეტე ადგილები გაინაწილა. სამწუხაროდ, ჩვენებს გაუსწრეს შოტლანდიელებმა, სამხრეთაფრიკელებმა და მალაიზიელებმაც, რომ არაფერი ვთქვათ საჭადრაკო ქვეყნებზე....

30 ქულით პირველი ადგილი რუსებმა დაიკავეს, რომლებმაც გუშინ ჩეხებს 3,5:0,5 მოუგეს. ასეთივე ანგარიშით სომხებმა ყირგიზებს სძლიეს და 28,5 ქულით მეორე ადგილზე გავიდნენ. 27,5-27,5 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ირანმა და აზერბაიჯანმა. ბოლო ტურში მათ ყაზახეთი (3:1) და თურქეთი (4:0) დაამარცხეს.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲢᲠᲐᲕᲛᲐ

ᲖᲐᲖᲐ ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ: ᲘᲡᲔᲕ ᲘᲡ ᲙᲣᲜᲗᲘ...

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ჩემპიონატში მორიგი მატჩი ჩაატარა **ზაზა ფაჩულიას** „გალათასარაიმ“, რომელმაც „პინარ კარშიაკას“ 79:72 მოუგო. ეს „გალას“ მესამე გამარჯვებაა მიმდინარე პირველობაზე.

ქართველი ცენტრი მწვრთნელს მატჩის განაცხადში არ შეუყვანია. ამის მიზეზი ტრავმაა, რომლის გამოც ზაზამ შუა კვირაში ევროლიგის მორიგი ტურის მატჩიც (ყაზანის „უნიქსთან“) გამოტოვა. ჩვენი ნაკრების კაპიტანს უკვე ორი მატჩი გაუცდა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ტრავმა მსუბუქი არ არის. ამის გასარკვევად ზაზას სტამბოლში შევეხმიანეთ.

- თურქეთის პირველობის მეორე ტურის მატჩში „ბანვიტთან“ ფეხის ძველი ტრავმა გამმიზეზდა: კინთი ხელახლა გამინყდა. როგორც ჩანს, სრულად არ იყო მოშუშებული, - გვითხრა ფაჩულიამ.

ნამდვილად არასასიამოვნო ამბავია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა შემთხვევაში ექიმებმა ქართველ ცენტრს ერთთვიანი დასვენება გამოუწერეს.

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ ფაჩულიამ ფეხის კუნთი პირველად ამა წლის 5 სექტემბერს ბულგარეთთან მატჩში გაინყვიტა.

- ბულგარეთთან შეხვედრის წინ ფეხი კი მაწუხებდა, მაგრამ შევიხვიე და მეგონა, სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ თამაშისას ვიგრძენი როგორ გაწყდა კუნთი. ბოლო წუთებზე თამაშში ჩართვა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი, ერთი თვე მომიწევს დასვენება, - ესეც ზაზას სიტყვებია. სწორედ ამის გამო იგი ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრებს მეორე ეტაპზე ვერ დაეხმარა.

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ

ᲓᲐᲛᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲛᲝᲜᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ჩემპიონატში ოთხი ქართველიდან მხოლოდ ერთმა გაიმარჯვა - **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა“ დრამატულ მატჩში „კრემონას“ სძლია.

წინასწარ შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ სარდინიაში სტუმრები გაიმარჯვებდნენ, რადგან **ნიკა მეტრეველის** „დინამო სისარი“ ჩემპიონობის მაძიებელ „მილანს“ დაუხვდა.

თუ სარდინიაში სენსაცია არ მოხდა, კანტუში ბევრისთვის მოულოდნელად **მანუჩარ მარკოიშვილისა** და **გიორგი შერმადინის** გუნდმა „სკავოლინისთან“ დათმო.

ᲢᲐᲠᲔᲚᲘ ᲗᲣ ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲘ?

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ-ᲙᲠᲔᲛᲝᲜᲐ	80:78

ვიქტორ სანიკიძე (ვირტუსი): 28 წუთი, 11 ქულა, 9 მოხსნა.

თამამად შეიძლება ითქვას, წლეულს სამმა ქართველმა „კრემონა“ „დაიმონა“ - სერია A-ს პირველ ტურში მარკოიშვილის „კანტუმ“ კრემონელებს 72:60 აჯობა, მესამე ტურში მეტრეველის „დინამომ“ - 92:89, მეოთხე ტურში კი სანიკიძის „ვირტუსმა“ - 80:78. იმასაც გეტყვით, რომ იტალიაში სულ ოთხი ტურია ჩატარებული.

ისევე როგორც წინა შემთხვევებში, „კრემონას“ ძლევაში ჩვენიანმა ამჯერადაც დიდი წვლილი შეიტანა. ამაში მატჩის მსვლელობის გაცნობის შემდეგ დარწმუნდებით.

ვიქტორ სანიკიძე სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და მისი დიდი წვლილი (7 ქულა, 5 მოხსნა) იყო პირველი ტაიმის შემდეგ „ვირტუსის“ 41:30 დაწინაურებაში.

ბოლონიელებმა მეოთხე რაუნდის დასაწყისში სხვაობა 18 ქულამდე გაზარდეს და დამშვიდდნენ... საპასუხოდ გამოიღვიძა „კრემონამ“, რომელსაც **ვონ ვეიფერი** გაუძღვა და მატჩის ბოლოსწინა წუთზე დაეწია კიდეც - 73:73. ბოლო წუთზე ვიქტორ სანიკიძემ მეტოქეებს ორი ჯარიმა დასტყვა, ოთხი თავისუფალი ტყორცნა შეასრულა, 2 ჩაადო და ანგარიში გაათანაბრა (75:75). ამას მოჰყვა მისი თანაგუნდელი **ჯარედ ჰოუმანის** ორი ზუსტი საჯარიმო, თუმცა „კრემონას“ ბელგიელმა უკანახაზელმა **ჯონათან ტაბუმ** თანაგუნდელები გამარჯვებასთან დაახლოვა - სამქულიანით მისი გუნდის სასარგებლოდ 78:77 დააფიქსირა. „ვირტუსის“ ბოლო იერიშის დასრულება ევროლიგაზე გამოცდილმა **ტარელ მაკინტაერმა** ითავა და მომგებიანი სამქულიანი ჩაადო - 80:78 „ვირტუსის“ სასარგებლოდ.

ეს გახლდათ ბოლონიური კლუბის მეორე გამარჯვება. შედეგად მან სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზე აინაცვლა.

ვიქტორ სანიკიძის მონაგარი ზემოთ უკვე გაგაცანით, აქ მხოლოდ მის სიზუსტეს გავუსვამთ ხაზს:L4-დან 3 ორქულიანი, 2-სან 1 სამიანი, 4-დან 2 საჯარიმო. ორმაგი დუბლი შეასრულა და ტურის საუკეთესოდ დასახელდა ვიქტორის თანაგუნდელი ჯარედ ჰოუმანი - 18 ქულა, 12 მოხსნა.

ᲚᲝᲒᲘᲙᲐᲡᲐᲪᲓᲔᲜᲘᲚᲘ

ᲙᲐᲜᲢᲣ-ᲡᲙᲐᲕᲝᲚᲘᲜᲘ	66:71

მანუჩარ მარკოიშვილი (კანტუ): 18 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა.

გიორგი შერმადინი (კანტუ): 7 წუთი, 2 ქულა, 2 დაფარება.

„სკავოლინისთან“ მატჩის მეორე პერიოდის ბოლოსა და მესამის დასაწყისში მარკოიშვილმა ორ ორქულიანს ამდენივე სამიანი მიაყოლა და „კანტუს“ უპირატესობას სოლიდური სახე მისცა - 40:27. როგორც წესი, კანტუელებს, ასეთი სხვაობის შენარჩუნება არ უჭირთ, რადგან სტაბილურობით გამოირჩევიან. თუმცა ამჯერად მოვლენები ლოგიკას ასცდა - მეოთხე პერიოდის დასაწყისში „სკავოლინიმ“ 6:0 გაქცვით 2-ქულიანი უპირატესობა დაიბევა და მას მერე მასპინძელთათვის გადასწრების უფლება არ მიუცია. ეს გახლდათ „კანტუს“ პირველი მარცხი მიმდინარე ჩემპიონატში (3 მოგება და 1 წაგება).

ᲓᲘᲓ ᲙᲐᲪᲗᲐᲜ

ᲡᲘᲡᲐᲠᲘ-ᲛᲘᲚᲐᲜᲘ	60:88

ნიკა მეტრეველი (სისარი): 17 წუთი, 6 ქულა, 1 მოხსნა.

„მილანი“ „დინამო სისარისთან“ პირველივე ტაიმში 21:6 დაწინაურდა და...

მასპინძელთა ქართველმა ფორვარდმა ნიკა მეტრეველმა 17 წუთში 6-დან 3 ორქულიანი გამოიყენა და 6 ქულა მოუგროვდა. მატჩის ბომბარდირობა საქართველოს ნაკრების ყოფილმა კალათბურთელმა **ქუინტონ ჰოსლიმ** იკისრა - 20 ქულას მოუყარა თავი. მილანელთაგან კი **მალიკ ჰეარსტონი** გამოირჩა - 17.

სისარელებს „ვირტუსის“ მსგავსად 2-2 მოგება-ნაგება აქვთ.

მომდევნო ტური 6 ნოემბერს გაიმართება. „კანტუ“ მარკოიშვილის ყოფილ კლუბ „ბენეტონს“ ეწვევა, „დინამო-სისარი“ - „აველინოს“, ხოლო „ვირტუსი“ - „ტერამოს“.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲔᲚᲒᲘᲐᲨᲘ

ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲛ ᲞᲔᲞᲘᲜᲡᲢᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲐ

ᲨᲐᲠᲚᲔᲠᲣᲔᲚ **თორნიკე შენგელიას** ბელგიის ჩემპიონატის მორიგ ტურში თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მოუწია თამაშმა. საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ნევრი „შარლერუას“ საკუთრებაა, თუმცა გასულ სეზონში შედარებით სუსტ „პეპინსტერში“ იყო განათხოვრებული. სწორედ ამ გუნდს შეხვდა სტუმრად „შარლერუა“ და საბოლოოდ იოლი გამარჯვებაც გაიფორმა - 103:78.



შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 19 წუთი გაატარა. ქართველმა ფორვარდმა მეტოქის ფარს შორი მანძილიდან 3-ჯერ შეუტია და სამივე სროლა ააცილა. თორნიკემ 4-დან 2 ოქრულინი ჩაადო, საჯარიმოს ხაზიდან კი 3 ცდიდან მხოლოდ 1 მოათავსა პეპინსტერელთა კალათში. შენგელიას საბოლოოდ 5 ქულა, 2 მოხსნა 2 პასი და 1 ჩაჭრა დაუგროვდა.

„შარლერუა“ ბელგიის ჩემპიონატს „აალსტართან“ ერთად ლიდერობს. ორივე გუნდს 4 გამარჯვება და 1 მარცხი აქვს. მომდევნო ტურში, 5 ნოემბერს, შარლერუელები შინ „ლუვენს“ შეხვდებიან.

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ



ᲠᲔᲐᲚᲗᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნაკრების ამერიკელი წევრების - **მარკუს ჰეინსისა** და **ტორინ გრინის** „გრან კანარიამ“ ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში მადრიდის „რეალთან“ წააგო. კანარიელებმა სამეფო კლუბი კუნძულზე მიიღეს და დიდ წინააღმდეგობა გაუწიეს. საბოლოოდ მადრიდელებმა 68:60 იმარჯვეს.

სასტარტო ხუთეულში ჰეინსის ნაცვლად ამჯერად გრინმა ითამაშა. თუმცა საბოლოოდ მოედანზე მეტი დრო მაინც ჰეინსმა გაატარა. 23 წუთში მარკუზმა 11 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. მან 9 ორქულიანიდან 2, 7 სამიანიდან 2 და 2 საჯარიმოდან 1 ჩაადო.

გრინმა მოედანზე 20 წუთი გაატარა და 3 ქულა, 3 პასი, 2 ჩაჭრა და 1 მოხსნა მიითვალა. მან ერთადერთი ორქულიანი ზუსტად შეასრულა, 2 საჯარიმოდან 1 ჩაადო, ხოლო 2 სამქულიანი აუცდა. კანარიელთაგან ბომბარდირი 15 ქულით **მიშელ ბრამოსი** გახდა. გამარჯვებულთაგან კი ყველაზე მეტი, 14 ქულა, **რუდი ფერნანდესს** დაუგროვდა.

1 მოგებითა და 4 მარცხით „გრან კანარია“ ლიგაში ბოლო ადგილს იყოფს „მურსიასთან“ ერთად. მომდევნო შეხვედრას კანარიელები 6 ნოემბერს სტუმრად „ალიკანტესთან“ ჩაატარებენ.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

ექვსეულში ხუთიდან ოთხიდა დარჩა

ბურთით ირაკლი ნატრიაშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-9 ტურის მატჩების შემდეგ საპლეიოფო ექვსეულში ხუთი „ქართული გუნდიდან" ოთხიღა დარჩა. ნარმატებულად ასპარეზობას განაგრძობენ „კლერმონი", „ტულონი" და „აჟენი". „კასტრი," მართალია, ამჯერად დამარცხდა, მაგრამ ლიდერთა შორის ადგილს მაინც ინარჩუნებს. საპლეიოფო ექვსეული კი „ბრივმა" დატოვა.

გათამაშებას 35 ქულით **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" ლიდერობს, რომელიც ერთადერთი გუნდია პირველ დივიზიონში, რომელსაც მხოლოდ ერთი წაგება აქვს. „ვულკანებმა" მე-9 ტურში ბასკურ „ბიარიცს" უმასპინძლეს, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე ალმოჩნდა.

ჩვენებურის გუნდმა გასაჭირში მყოფი მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნა და მშრალი ანგარიშით 41:0 დაამარცხა. ზირაქაშვილი განაცხადში არ იყო.

ანტონ ფეიქრიშვილის „კასტრმა", რომელიც „კლერმონის" უახლოესი მდევარი იყო, შინ მოულოდნელად წააგო პარიზულ „მეტრო რასინგთან" - 19:23. კასტრელები 53-ე წუთისთვის 19:13 იგებდნენ, თუმცა დარჩენილ 27 წუთში მონაგარს ვეღარაფერი შესძინეს, მაშინ, როცა პარიზელებმა კიდევ ათი ქულის მოგროვება შეძლეს.

ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო. „კასტრი" ახლა 31 ქულით მე-3 ადგილზეა.

დავით ქუბრიაშვილის „ტულონმა", რომელიც მონინავეთა შორის ცდილობს დამკვიდრებას, შინ მოუგო ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ, **ვასილ კაკოვნის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივს" - 18:3.

„ბრივის" ქართული სამეული ძირითად შემადგენლობაში იყო და სამივე რატომღაც ერთდროულად შეცვალეს 49-ე წუთზე. იმ დროისთვის „ბრივი" 0:9-ს აგებდა, თუმცა ქართველი პირველხაზელების შეცვლამ გუნდს დიდი ვერაფერი ხეირი მოუტანა. „ტულონმა", რომლის შემადგენლობაშიც ქუბრიაშვილი 51-ე წუთიდან გამოჩნდა, მეტოქეს კიდევ ცხრა ქულა აართვა. მასპინძლებს ყველა, თვრამეტივე ქულა ინგლისელმა მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა** მოუტანა (ექვსი საჯარიმო).

„ტულონი" ახლა 28 ქულით მე-4 ადგილზეა, „ბრივი" კი საპლეიოფო ექვსეულს მიღმა აღმოჩნდა. ამ გუნდს 18 ქულა აქვს და მე-7 ადგილზეა.

24 ქულით მე-5 ადგილზეა **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი", რომელმაც შინ შეძლო **მამუკა გორგოძის, გოდერძი შველიძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიეს" დამარცხება - 18:12.

აღსანიშნავია, რომ საწყისი ათი წუთი სტუმართა უპირატესობით წარიმართა და მე-12 წუთისთვის „მონპელიე" 6:0-ს იგებდა. თუმცა „აჟენმა" შეძლო ვითარების გამოსწორება და მეორე ტაიმში სულაც უპირატესობას დაეუფლა.

შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს, ხუთ წუთში მოედანი ჟღენტმაც დატოვა, გორგოძემ სრულად ითამაშა, ნარიაშვილი და შეყლაშვილი განაცხადში არ იყვნენ. „მონპელიე" 14 ქულით მე-11 ადგილზეა.

გურამ კავთიძისა და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონოს" გასვლითი მატჩი „ბორდოსთან" გადაიდო.

I დივიზიონი

IX ტური

კასტრი-მეტრო რასინგი 19:23, ბაიონი-პერპინიანი 18:16, კლერმონი-ბიარიცი 41:0, ტულონი-ბრივი 18:3, ტულუზი-სტად ფრანსე 18:15, აჟენი-მონპელიე 18:12, ბორდო-ლიონი (გადაიდო)

საბურნირო მდგომარეობა

1. კლერმონი - 35 ქულა, 2. ტულუზი - 32, 3. კასტრი - 31, 4. ტულონი - 28, 5. აჟენი - 24, 6. მეტრო რასინგი - 21, 7. ბრივი - 18, 8. პერპინიანი - 18, 9. სტად ფრანსე - 16, 10. ბაიონი - 15, 11. მონპელიე - 14, 12. ბორდო - 13, 13. ლიონი - 12, 14. ბიარიცი - 10.

X ტური

ბრივი-მეტრო რასინგი, ტულუზი-პერპინიანი, ბორდო-კასტრი, ლიონი-მონპელიე, ტულონი-აჟენი, სტად ფრანსე-კლერმონი, ბიარიცი-ბაიონი.

მეორე დივიზიონში მერვე ტურში შესანიშნავად იასპარეზა **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა", რომელმაც შინ გასკონური „ოში" დაამარცხა დიდი ანგარიშით - 42:3 და ლიდერ „ოიონაქსს" წამოეწია. მენაბდიშვილს არ უთამაშია. „ალპელებს" ახლა 27 ქულა აქვთ და მეორე ადგილზე არიან.

„ოიონაქსმა", რომელიც 30 ქულით პირველ ადგილზეა, სტუმრად მოუგო **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგოს" - 20:13. მარგველაშვილი თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო, ზიბზიბაძე და დადუნაშვილი განაცხადში არ იყვნენ. „პერიგო" რვა ქულით სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა.

აუტსაიდერთა შორისაა **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკიც". ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად წააგო „კარკასონთან" - 21:28. დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნაცარაშვილი 41-ე წუთზე შეცვალეს, ასეიშვილი თამაშში 72-ე წუთიდან ჩაერთო.

მამუკა მაგრაქველიძისა და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" შინ უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა „ექსი" - 22:20. მაგრაქველიძე მოედანზე 43-ე წუთიდან გამოჩნდა, მირცხულავა განაცხადში არ იყო.

დავით ლოსაბერიძისა და **ზერო პეტრიაშვილის** „პო" სტუმრად დამარცხდა **კახაბერ კობერიძის** „ალბისთან" - 6:25. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

II დივიზიონი

VIII ტური

ალბი-პო 25:6, კარკასონი-ორიაკი 28:21, გრენობლი-ოში 42:3, პერიგო-ოიონაქსი 13:20, ტარბი-ექსი 22:20, ბურგუენი-ლა როშელი 18:21, ბეზიე-ნარბონი 27:21, მონ დე მარსანი-დაქსი 15:6.

საბურნირო მდგომარეობა

1. ოიონაქსი - 30 ქულა, 2. გრენობლი - 27, 3. დაქსი - 26, 4. ექსი - 23, 5. ალბი - 21, 6. მონ დე მარსანი - 21, 7. კარკასონი - 19, 8. ბურგუენი - 19, 9. ლა როშელი - 18, 10. პო - 17, 11. ტარბი - 17, 12. ნარბონი - 15, 13. ოში - 14, 14. ორიაკი - 12, 15. ბეზიე - 10, 16. პერიგო - 8.

IX ტური

ოში-ბეზიე, ორიაკი-პერიგო, კარკასონი-ოიონაქსი, ლა როშელი-ნარბონი, პო-მონ დე მარსანი, ტარბი-გრენობლი, ექსი-ბურგუენი, დაქსი-ალბი.

დავით ხინჩაგიშვილი ჯონი ვილკინსონის წინააღმდეგ

ალიარება

არინორდიკმა ლე ბლოში ბუნტი ალიარა

საფრანგეთის ნაკრების მესამეხაზელმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მორაგბემ, ბასკმა **იმანოლ არინორდიკმა** აღიარა, რომ ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის მსვლელობისას „ლე ბლოს" მთავარ მწვრთნელს **მარკ ლივერმონს** ბუნტი მოუწყვეს.

მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ ფრანგთა ბანაკში ყველაფერი წესრიგში არ არის, მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდეც იყო. თუმცა რეალურად დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც ლივერმონმა იაპონიასთან მატჩის შემდეგ ნაკრების მორაგბეები სახალხოდ გააკრიტიკა. ამას მოჰყვა შოკისმომგვრელი მარცხი ტონგას ნაკრებთან. ლივერმონის წინააღმდეგ 30-დან ოცდახუთმა მორაგბემ გაილაშქრა.

„ტონგასთან მარცხის შემდეგ არავითარი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია იმისთვის, რაც მარკ ლივერმონმა ილაპარაკა. ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშება ჩვენი თავგადასავალი იყო და ვალდებული ვიყავით ლივერმონი თავიდან მოგვეშორებინა.

ლივერმონმა განაჩენი საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა. ის ძალიან ხშირად გვლანძღავდა. თუ რამე ისე არ მოხდებოდა, ყველაფერს ჩვენ, მოთამაშეებს გვაბრალებდა. არადა, ყველა ხომ ერთ ნავში ვისხედით?

პლეი ოფების მატჩებისას ნაკრების მართვა და, ცხადია, პასუხისმგებლობაც, საკუთარ თავზე ავიღეთ. კარგია, რომ ის თანამდებობიდან მიდის, გარწმუნებთ, ლივერმონი არასდროს მომენატრება" - თქვა იმანოლ არინორდიკმა.

ამასთან ერთად არინორდიკმა დაადასტურა მრავალი თანაგუნდელისა და მიუკერძოებელი, ნეიტრალური დამკვირვებლების მოსაზრება, რომ ფინალური მატჩის არბიტრი, სამხრეთაფრიკელი **კრეიგ იუბერი** ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობდა.

„კრეიგ იუბერი მხოლოდ ჩვენ გვიყურებდა, მხოლოდ ჩვენს წესის დარღვევას ამჩნევდა. ახალ ზელანდიელთა მესამეხაზელი რიჩი მაქოა მთელი მატჩის განმავლობაში ოფსაიდიდან თამაშობდა. მან ძალიან ბერჯერ დაარღვია თამაშის წესი, მაგრამ ერთხელაც არ დაუსჯიათ. მატჩის დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, ნათლად დავინახე, რომ რაკში თამაშისას ჩვენ მხარეს ჩაწვა და იქ დარჩა მანამ, სანამ შეხვედრა არ დასრულდა. იუბერმა ესეც ვერ დაინახა?" - იკითხა იმანოლ არინორდიკმა.

ზე რაგბი

რებლზს ბეილი, ოკონორი და მაგლტონი დაემატა

ზე რაგბის გათამაშების ყველაზე ახალმა გუნდმა „მელბურნ რებლზმა" მომავალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი წლეულს პირველად ჩაერთო ზე რაგბის გათამაშებაში და დებიუტიც წარუმატებელი ჰქონდა.

მელბურნელთა მთავარმა მწვრთნელმა **დამიენ ჰილმა** კმაყოფილებით განაცხადა, რომ მისი გუნდი ორი შესანიშნავი შენაძენით შეივსო - „რებლზთან" კონტრაქტი გააფორმეს ავსტრალიის ნაკრების უკანახაზელებმა **ჯეიმზ ოკონორმა** და **ქართლი ბეილიმ.**

„ჩვენი მიზანია ისეთი გუნდი შევქმნათ, რომელიც წლეულსაც და მომავალშიც ზე რაგბის ლიდერებს კონკურენციას გაუწევს. ქართლი ბეილი და ჯეიმზ ოკონორი ავსტრალიური რაგბის ხალგაზრდა, უნიჭიერესი წარმომადგენლები არიან. მათი გადაწყვეტილება, კარიერა „მელბურნ რებლზში" განაგრძონ, იმის დასტურია, რომ ჩვენს კლუბს კარგი მომავალი აქვს.

ამასთან, ახალნეულთა შორისაა პაულ ალო-ემილი, მიჩ ინმანი, ჯეიმზ კინგი - ესენი მომავლის მოთამაშეები არიან. ზოგადად, გუნდის ამჟამინდელი შემადგენლობით კმაყოფილნი ვართ. მიგვაჩნია, რომ მომავალი გამარჯვებების საფუძველი უკვე ჩაყრილია. ახლა ყველაფერი ჩვენს გარჯაზეა დამოკიდებული" - თქვა „მელბურნ რებლზის" თავკაცმა დამიენ ჰილმა.

შეგახსენებთ, რომ „მელბურნ რებლზთან" ორნლიანი კონტრაქტი გააფორმა საქართველოს ნაკრების ყოფილმა დაცვის მწვრთნელმა **ჯონ მაგლტონმა.**

„მელბურნ რებლზი": პაილ ალო-ემილი, ქართლი ბეილი, როდნი ბლეკი, ადამ ბირნსი, ალისტერ კემპბელი, დენი სპრიანი, ტომ ჩემბერლენი, ტიმ დავიდსონი, გარეთ დილვი, ადამ ფრეირი, მარკ ჯერარდი, ნიკ ჰენდერსონი, ჯეიმს ჰინგელდორფი, ჯულიან ჰაქსლი, მიჩ ინმანი, ლოიდ იოჰანსონი, ლუკ ჯოუნზი, ჯეიმზ კინგი, რიჩარდ კინგი, მაიკლ ლიპმანი, მაჰლან მიჩელი, სტირლინგ მორთლოქი, ჯეიმ ოკონორი, ნიკ ფილიპსი, ჰუგ პაილი, გედ რობინსონი, იაროდ სეფი, ჰით ტისმანი, კუპერ ვუნა, ლორი ვიკსი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● ჩოგბურთი. რეიტინგები

ATP		WTA	
1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	13 295	1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	7 485
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	9 500	2(3). პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	7 370
3(3). ენდი მიურეი (გრიტ)	7 200	3(4). ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	6 520
4(4). როჯერ ფედერერი (შვეიც)	5 185	4(2). მარია შარაპოვა (რუს)	6 510
5(5). დავიდ ფერერი (ესპ)	4 300	5(5). ნა ლი (ჩინ)	5 720
6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	2 940	6(7). სამანტა სტოსური (ავსტრა)	5 585
7(8). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	2 890	7(6). ვერა ზვონარევა (რუს)	5 435
8(7). მერდი ფიში (აშშ)	2 875	8(8). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	5 250
9(9). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	2 370	9(9). მარიონ ბარტოლი (საფ)	4 710
10(10). იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	2 305	10(10). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	4 580
11(13). ხ-ვ. დელ პოტრო (არგ)	2 180	11(11). ფრანჩესკა სკიავონე (იტა)	3 900
12(11). ჟილ სიმონი (საფ)	2 155	12(12). სერენა უილიამსი (აშშ)	3 180
13(12). როგინ სიოდერლინგი (შვედ)	2 080	13(13). კიმ კლაისტერსი (ბელ)	3 161
14(14). გაელ მონფილსი (საფ)	1 925	14(14). ელენა იანკოვიჩი (სერ)	3 115
15(15). ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	1 835	15(15). ა. პავლიუჩენკოვა (რუს)	2 865
16(16). ენდი როდიკი (აშშ)	1 680	16(16). შუაი პენგი (ჩინ)	2 825
17(17). რიშარ გასკე (საფ)	1 675	17(17). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2 755
18(18). ფელიციანო ლოპეზი (ესპ)	1 665	18(18). საბინ ლისიცკი (გერ)	2 724
19(22). მარინ ჩილიჩი (ხორ)	1 655	19(19). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2 606
20(19). ვიქტორ ტროიცკი (სერ)	1 640	20(20). ფლავია პენეტა (იტა)	2 490

ATP. ფულადი მონაგარი		WTA. ფულადი მონაგარი	
1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	10 609 318	1. პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	5 145 943
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	6 428 214	2. კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	4 065 581
3. ენდი მიურეი (ბრიტ)	4 527 716	3. ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	3 771 032
4. როჯერ ფედერერი (შვეიც)	3 047 362	4. ნა ლი (ჩინ)	3 709 139
5. დავიდ ფერერი (ესპ)	2 257 450	5. სამანტა სტოსური (ავსტრა)	3 476 153
6. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	1 789 186	6. მარია შარაპოვა (რუს)	2 899 148
7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	1 782 289	7. ვერა ზვონარევა (რუს)	2 673 018
8. მარდი ფიში (აშშ)	1 480 742	8. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	2 456 568
9. როგინ სიოდერლინგი (შვედ)	1 323 473	9. კიმ კლაისტერსი (ბელ)	2 325 741
10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	1 285 214	10. სერენა უილიამსი (აშშ)	1 978 930
11. იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	1 224 985	11. ფრანჩესკა სკიავონე (იტა)	1 782 351
12. ჟილ სიმონი (საფ)	1 188 657	12. მარიონ ბარტოლი (საფ)	1 722 863
13. ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	1 139 775	13. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	1 652 271
14. მარინ ჩილიჩი (ხორ)	1 104 421	14. ფლავია პენეტა (იტა)	1 254 921
15. იურგენ მელცერი (ავსტრია)	1 089 732	15. ელენა იანკოვიჩი (სერ)	1 078 418
16. მიხაილ ლოდრა (საფ)	1 066 735	16. მარია კირილენკო (რუს)	1 001 417
17. გაელ მონფილსი (საფ)	1 026 033	17. საბინ ლისიცკი (გერ)	917 634
18. ჯონ ისნერი (აშშ)	992 958	18. ა. პავლიუჩენკოვა (რუს)	916 239
19. ენდი როდიკი (აშშ)	972 400	19. შუაი პენგი (ჩინ)	892 258
20. ფლორიან მაიერი (გერ)	958 976	20. ლიზელ კუბერი (აშშ)	857 431

● ჩოგბურთი. ტურნირები

ცონგა ლონდონს მიუახლოვდა

ჟო-ვილფრიდ ცონგა

ქალებისგან განსხვავებით, მამაკაცებს სეზონის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ტურნირი აქვთ ჩასატარებული, მათ შორის, პარიზის მასტერსი და წლის შემაჯამებელი ჩემპიონატი ლონდონში.

მანამდე კი კაცები გასულ კვირას ავსტრიის დედაქალაქ ვენაში არკვევდნენ ურთიერთობას. ტურნირის სტარტი იმით იყო გამორჩეული, რომ კარიერაში თავისი ბოლო მატჩი ჩაატარა ლეგენდარულმა ავსტრიელმა **ტომას მუსტერმა**, რომელმაც 18 წლის თანამემამულე **დომინიკ ტიმთან** წააგო. ავსტრიელებმა რეკორდი დაამყარეს მეტოქეების ასაკს შორის მაქსიმალური სხვაობის მიხედვით - 26 წელი!

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ **ხუან მარტინ დელ პოტრო** და **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, რომლისთვისაც ნებისმიერი ტურნირი და მატჩი დიდი მნიშვნელობისაა, რადგან ფრანგი წლის შემაჯამებელ ტურნირში მოსახვედრად იბრძვის.

ამ მხრივ, ცონგამ ვენაში უმნიშვნელოვანეს წარმატებას მიაღწია. პირველ სეტში დაძაბული ბრძოლა ბოლომდე მიდიოდა. ჟომ ტაი-ბრეიკზე, 5:5-ის დროს საბედისწერო შეცდომა დაუშვა - ორმაგი გააკეთა და შემდეგ დელ პოტრომ სეტბოლი მომგებიან ქულაში გარდასახა.

მეორე სეტში არგენტინელმა წარმატება განავრცო - ბრეიკი გააკეთა, თუმცა ცონგამ შეძლო დაკარგული მოწოდების დაბრუნება, შემდეგ კი დელ პოტროს კიდევ ერთხელ დააშვებინა შეცდომა, მეორე ბრეიკი აიღო და 6:3 მოიგო მეორე პარტია.

საბოლოოდ, გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე სეტის მეშვიდე გეიმი, როცა ცონგამ პირველივე ცდაზე აიღო მეტოქის მოწოდება. ამან ფრანგს მეტი დამაჯერებლობა შესძინა და ბოლო გეიმი „მშრალი“ ანგარიშით მოიგო.

თამაშში, რომელიც ორ საათსა და 28 წუთს გრძელდებოდა, ცონგამ 25 ეისი ჩააწოდა. ამის წყალობით მან სამ სეტში მოიგო - 6:7, 6:3, 6:4 და ლონდონში სეზონის დასკვნით ტურნირზე გამგზავრების რეალური შანსი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ჟომ კარიერაში პირველად დაამარცხა დელ პოტრო.

Erste Bank Open

ვენა (ავსტრია). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 776 933 დოლარი

ფინალი

ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 1)-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 2) 6:7(5), 6:3, 6:4.

● კრივი



ორმაგი ნოკდაუნი

პუერტორიკელი მოკრივეები - **ისრაელ ვასკესი** და **ხესუს პაგანი** ერთმანეთთან ბრძოლის დროს ერთდროულად ალმოჩდნენ ნოკდაუნში. ეს უცნაური ინციდენტი პუერტო რიკოს ქალაქ გუაინაბოში გამართული ჩხუბის პირველ რაუნდში მოხდა. საბოოლოდ, ბრძოლა მეორე რაუნდში ვასკესმა ტექნიკური ნოკაუტით მოიგო, - იტყობინება ვებგვერდი Univision.com.

პირველ რაუნდში პაგანი ოთხჯერ მოხვდა ნოკდაუნში, მაგრამ მეორე შემთხვევაში მანაც შეძლო მეტოქის რინგზე დაცემა - პაგანმა ვასკესის ძლიერი დარტყმა მიიღო, მაგრამ სანამ დაეცემოდა, მოწინააღმდეგეს მარჯვნიდან ძლიერად მოარტყა. ორივე მოკრივემ ათ თვლამდე წამოდგომა მოასწრო და რეფერის ბრძოლა გააგრძელა.

როგორც ვებგვერდი BoxRec.com წერს, 23 წლის პაგანი პირველ ბრძოლას ატარებდა პროფესიულ რინგზე, 24 წლის ვასკესისთვის კი ეს მეექვსე ჩხუბი იყო კარიერაში. ახლა მის ანგარიშზე ოთხი მოგება და ორი ფრე მოდის.

ვასკესი მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის - ვილფრედო ვასკესის ვაჟია, გარდა ამისა, კიდევ ერთი ყოფილი ჩემპიონის - ვილფრედო ვასკეს-უმცროსის ძმა გახლავთ. ის არ უნდა აგვერიოს მის სრულ სახნიაში - მექსიკელ ექს-ჩემპიონ ისრაელ ვასკესში.

რუსული დუბლი არ შედგა

დაახლოებით ანალოგიური დონის ტურნირი გაიმართა სანკტ-პეტერბურგში. მოსკოვში „კრემლის თასის“ ტრიუმფატორმა სერბმა **იანკო ტიპსარევიჩმა** ვერ შეძლო რუსული დუბლის შესრულება - ფინალში ხორვატ **მარინ ჩილიჩთან** წააგო.

პეტერბურგის ტურნირი მეჩვიდმეტედ ჩატარდა. თავის დროზე, აქ ნათამაშები აქვთ **გუსტავო კუერტენს, ანდრე აგასის, ტომას მუსტერს, ენდი მიურეის**, რომელსაც ეს ტურნირი ორჯერ მოუგია.

წლევანდელი გათამაშების ადრეულ ეტაპზე არაერთი მოულოდნელობა მოხდა. პირველმა განთვისილმა **ჟილ სიმონმა** პირველივე წრეში წააგო თანამემამულე **ადრიან მანარინოსთან, ალექსანდრ დოლგოპოლოვი** კი ორ პარტიაში დამარცხდა **დუდი სელასთან**.

რუსულ პუბლიკას **მიხაილ იუჟნის** იმედი ჰქონდა, მაგრამ მასპინძელმა ნახევარფინალში ვერაფერი გააწყო მარინ ჩილიჩის წინააღმდეგ. მეორე ნახევარფინალში იანკო ტიპსარევიჩმა გაანადგურა **ალექს ბოგომოლოვი**. თუმცა ამერიკელმა მაინც მაღალ დონეზე ჩაატარა ტურნირი და დაადასტურა, რომ მომავალში დევისის თასზე რუსეთის ნაკრების ღირსების დაცვას აპირებს. სხვათა შორის, ამ მომენტისთვის ის რუსული ჩოგბურთის ლიდერებზე - იუჟნისა და **ნიკოლაი დავიდენკოზე** მაღლა დგას რეიტინგში.

ტიპსარევიჩი ბოლო ორი კვირის განმავლობაში მეორე ფინალს თამამობდა. წლევანდელი სეზონის წინ სერბს არც ერთი ტიტული არ ჰქონდა კოლექციაში, ახლა კი მესამე ტრიუმფს უმიზნებოდა. იანკომ ნავსი კუალა ლუმპურში გატეხა, შემდეგ მოსკოვში გაიმარჯვა და აქაც დამაჯერებლად მიაღწია ფინალამდე. მაგრამ გადამწყვეტ მატჩში ტიპსარევიჩს დაღლილობა დაეტყო და თან ჩილიჩმა ითამაშა კარგად - 6:3, 3:6, 6:2. ხორვატმა ბოლო 20 თვის განმავლობაში პირველი და კარიერაში კი მეექვსე ტიტული მოიგო.

ამ კვირას ATP-ის ტურში „500“ სერიის ორი ტურნირი იმართება - ვალენსიასა და ბაზელში. შვეიცარიაში ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა - **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, ენდი მიურეი, **როჯერ ფედერერი** და სხვები. ვალენსიაში განთვისის ლიდერები გახდნენ **დავიდ ფერერი** და **ჟო-ვილფრიდ ცონგა**.

St. Petersburg Open

სტ. პეტერბურგი (რუსეთი). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 663 750 დოლარი

ფინალი

მარინ ჩილიჩი (ხორ, 4)-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 2) 6:3, 3:6, 6:2.

მარინ ჩილიჩი

● ამბები

რალი

ლოებს თავისი გუნდი ჰყავს

ლეგენდარული ფრანგი რალისტი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **სებასტიან ლოები** კარიერის დასრულების შემდეგ რალიში დარჩენას აპირებს - ამჯერად ფუნქციონერის როლში.

„რალი - ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია და ის ყოველთვის მეყვარება. სწორედ ამ მიზეზით ვაპირებ ამ სერიაში დარჩენას“, - ამბობს ლოები.

მისი სიტყვები საქმით არის განმტკიცებული: ლოები აპირებს თავისი კუთვნილი გუნდი - Porsche Carrera Matmut Cup მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოიყვანოს, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს ლე მანის 24-საათიანი რბოლაში.

ამ მომენტისთვის ფრანგი ლიდერობს მსოფლიოს ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში და ახლოს არის კარიერაში მერვე ტიტულთან.

ჩოგბურთი

მელცერმა სეზონი დაასრულა

ავსტრიული ჩოგბურთის ლიდერმა **იურგენ მელცერმა** ტრავმის გამო ნაადრევად დაასრულა მიმდინარე სეზონი.

„სამწუხაროდ, ზურგის ტრავმის გამო უარი უნდა ვთქვა ბაზელისა და პარიზის ტურნირებში გამოსვლაზე. ეს ის ფინიში არ არის, რომლის იმედიც მქონდა“, - დაწერა თავის „ტვიტერზე“ მელცერმა.

ამ სეზონში ბოლო მატჩი იურგენმა ვენაში საშინაო ტურნირზე ჩაატარა, როცა მეოთხედფინალში 3:6, 3:6 წააგო სამხრეთაფრიკელ **კევინ ანდერსონთან**.

პოკერი

კროსბი ორი კვირით გაღაიდო

„პიტსბურგპინგვინზის“ ვარსკვლავმა **სიდნი კროსბიმ** ჟურნალისტებს აცნობა, ნამდვილად გამოტოვებს უახლოეს ორ გასვლით შეხვედრას „სან ხოსესა“ და „ლოს ანჯელესის“ წინააღმდეგ.

ამ შეხვედრებს „პინგვინები“ ოთხ და ექვს ნოემბერს ჩაატარებენ, შემდეგ კი 12 ნოემბრამდე დაისვენებენ - ამ დღეს „პიტსბურგი“ საკუთარ მოედანზე მიიღებს „დალასს“.

კროსბიმ განაცხადა, რომ ჯერ არ იცის ყინულზე დაბრუნების ზუსტი თარიღი, მაგრამ „დალასთან“ მატჩამდე მას მოედანზე არ ელიან, არადა, ტვინის შერყევის სიმპტომები აღარ არსებობს.

პანამერიკული თამაშები

თამაშები დასრულდა

მექსიკის ქალაქ გვადალახარაში დასრულდა XVI პანამერიკული თამაშები. 16-დღიან სპორტულ ფორუმში, რომელშიც 42 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას, გუნდური პირველი ადგილი აშშ-ის სპორტსმენებმა დაიკავეს.

ამერიკის შეერთებული შტატების ათლეტებმა ჯამში ოქროს 97, ვერცხლის 79 და ბრინჯაოს 65 მედალი მოიპოვეს. მეორე ადგილი დაკავა კუბამ - 58 ოქრო, 35 ვერცხლი და 43 ბრინჯაო. მესამეზე ბრაზილია გაიდა - 48 ოქრო, 35 ვერცხლი და 58 ბრინჯაო.

პანამერიკულ თამაშებზე, ძირითადად, ოლიმპიურ სახეობებში თამაშდება მედლები. ერთმანეთს ეჯიბრებიან ორი ამერიკული კონტინენტის წარმომადგენლები.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

ოტავა შეუჩერებელია

სასწაულებს ახდენს აღმოსავლეთ კონფერენციაში „ოტავა სენატორზი“. კანადელმა დედაქალაქელებმა გუშინ ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგეს. „სენატორები“ „ტორონტოს“ წინააღმდეგ თავიდან მდევრის როლში აღმოჩდნენ, მაგრამ შემდეგ შეძლეს ზედიზედ სამი შაიბის გატანა. ამჯერად „ოტავას“ რიგებში ქულების გარეშე დარჩნენ **მიხალეკი** და **სპეცა**, სამაგიეროდ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში პირველი გოლი გაიტანა **კასპარს დაუგავინსმა**. ღირს ამ ლატვიელისთვის ყურადღების მიქცევა, რადგან მან გასულ სეზონში AHL-ის ლიგაში 54 ქულა (73 მატჩში) დააგროვა. „ოტავა“ კონფერენციაში მეოთხე ადგილამდე ამაღლდა.

მოულოდნელად მოიგო „კოლამბუსმა“, რომლისთვისაც ეს მეორე გამარჯვებაა 12 შეხვედრაში. ადგილობრივი პრესის ცნობით, ამ გუნდში გრანდიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი. კერძოდ, „კოლამბუსის“ პრეზიდენტი **მაიკ პრისტი** გენერალური მენეჯერის **სკოტ ჰაუსონისა** და მთავარი მწვრთნელის - **სკოტ არნიელის** გაშვებას აპირებს.

„კოლამბუსი“ „ანაჰაიმს“ ხვდებოდა, რომელიც ბოლო ტურებში არც ისე კარგად გამოიყურება, მაგრამ ამ მატჩში ფავორიტი იყო. თუმცა **ნეშს, იოჰანსონისა** და **ტიუტინის** გოლებს მხოლოდ რაიანის შაიბით უპასუხეს. ამაში დამსახურება „კოლამბუსის“ მეკარე **მეისონს** მიუძღვის, რომელიც დღის მეორე ვარსკვლავი გახდა.

საკუთარ გულშემატკივარს ახარებს „ედმონტონ ოილერზი“, რომელიც „სენტ ლუისს“ 4:2 გაუსწორდა. „მენავთობეებმა“ ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგეს, წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა **ნიუჯენტ-ჰოპკინსმა** კი მორიგი ორი ქულა ჩაიწერა აქტივში. თუმცა მატჩის გმირად (და დღის პირველ ვარსკვლავად) „ედმონტონის“ ფორვარდი **რაიან სმიტი** აღიარეს, რომელმაც დუბლი შეასრულა. „ბლუზმენების“ რიგებში ისევ სუსტად ითამაშა მეკარე **იაროსლავ ჰალაკმა**, ვინც ჯერ სათანადოდ ვერ შევიდა სეზონში.

„კოლორადომ“ **კობესიუს, ჰეიდუკისა** და **დუშენის** ბრწყინვალე სოლო-გარღვევის წყალობით დაამარცხა „ლოს ანჯელესი“ და ჩრდილო-დასავლეთ კონფერენციაში შორს არ გაუშვა „ედმონტონი“. აღსანიშნავია, რომ მატჩის მსვლელობისას „მეფეებმა“ ორჯერ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებით გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ მესამე შანსი აღარ მიუღიათ.

კოლამბუსი-ანაჰაიმი 3:1

1:1, 2:0, 0:0

გოლები: 1:0 ნეში-4 (ვიშნიევსკი-3, უმბერგერი-4), 1:1 რაიანი-4 (სელიანე-7, ლიდმანი-3), 2:1 რ. იოჰანსონი-2 (ვერმეტი-5, კალვერტი-2), 3:1 ტიუტინი-2 (ვიშნიევსკი-4, პალსონი-2).

ოტავა-ტორონტო 3:2

1:1, 1:0, 1:1

გოლები: 0:1 მაკარტური-3 (გრაბოვსკი-3, კულემინი-2), 1:1 გრინინგი-4 (რუნბლადი-3, კუბა-4), 2:1 კ. ნილი-3 (ე. კარლსონი-12, გონჩარი-9), 3:1 დაუგავინსი-1 (ზ. სმიტი-4), 3:2 მაკარტური-4 (გრაბოვსკი-4, კულემინი-3).

კოლორადო-ლ. ანჯელესი 3:2

1:1, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 კობესიუ-2 (ლანდესკოგი-3, ქუინსი-5), 1:1 პერსი-2 (სტოლი-2), 2:1 ჰეიდუკი-4 (დ. ჯონსი-2, ქუინსი-6), 2:2 კოპიტარი-6 (დ. ბრაუნი-6, დაუტი-2), 3:2 დუშენი-2 (დ. ჯონსი-3).

ედმონტონი-სენტ ლუისი 4:2

1:0, 3:1, 0:1

გოლები: 1:0 ჰორკოფი-2 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-5, პოტერი-6), 1:1 ბეკსი-3 (სობოტკა-3, პოლაკი-3), 2:1 რ. სმიტი-4 (პლანტი-1, რ. ჯონსი-2), 3:1 ებერლე-3 (ტ. ჰოლი-6, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-6), 4:1 რ. სმიტი-5 (გილბერტი-2, პეტრი-1), 4:2 პიეტრანჯელო-2 (კ. სტიუარტი-1, კოლაიაკოვო-2).

● NHL ნოემბრის კალენდარი

1 ნოემბერი
რეინჯერსი-სან ხოსე
ფლორიდა-ვინიპეგი
ჩიკაგო-ნეშვილი

2 ნოემბერი
ბოსტონი-ოტავა
ვაშინგტონი-ანაჰაიმი
კაროლინა-ტამპა ბეი
დეტროიტი-მინესოტა
კალგარი-ვანკუვერი

3 ნოემბერი
ნიუ ჯერსი-ტორონტო
ბაფალო-ფილადელფია
კოლორადო-ფინიქსი

4 ნოემბერი
კოლამბუსი-ტორონტო
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
რეინჯერსი-ანაჰაიმი
აილენდერსი-ვინიპეგი
ფლორიდა-ჩიკაგო
დეტროიტი-კალგარი
მინესოტა-ვანკუვერი
ფინიქსი-ნეშვილი
სან ხოსე-პიტსბურგი
ლოს ანჯელესი-ედმონტონი

5 ნოემბერი
კაროლინა-ვაშინგტონი
ბაფალო-კალგარი
ოტავა-მონრეალი
ტამპა ბეი-ჩიკაგო
სენტ ლუისი-ვანკუვერი
დალასი-კოლორადო

6 ნოემბერი
დეტროიტი-ანაჰაიმი
ფილადელფია-კოლამბუსი
რეინჯერსი-მონრეალი
აილენდერსი-ვაშინგტონი
ნიუ ჯერსი-ვინიპეგი
ოტავა-ბაფალო
ტორონტო-ბოსტონი
მინესოტა-სენტ ლუისი
ფინიქსი-ედმონტონი
სან ხოსე-ნეშვილი
ლოს ანჯელესი-პიტსბურგი

7 ნოემბერი
კაროლინა-დალასი
ფლორიდა-ტამპა ბეი
ჩიკაგო-ვანკუვერი
რეინჯერსი-ვინიპეგი
კოლორადო-კალგარი

8 ნოემბერი
ბოსტონი-აილენდერსი
სან ხოსე-ლოს ანჯელესი

9 ნოემბერი
ბაფალო-ვინიპეგი
ტორონტო-ფლორიდა
ნიუ ჯერსი-კაროლინა
ვაშინგტონი-დალასი
დეტროიტი-კოლორადო
მონრეალი-ედმონტონი
სენტ ლუისი-ჩიკაგო
კალგარი-მინესოტა
ლოს ანჯელესი-ნეშვილი

10 ნოემბერი
ტამპა ბეი-ფილადელფია
ოტავა-რეინჯერსი
ანაჰაიმი-ნეშვილი

11 ნოემბერი
ბოსტონი-ედმონტონი
კოლამბუსი-ჩიკაგო
სენტ ლუისი-ტორონტო
ვინიპეგი-ფლორიდა
კოლორადო-აილენდერსი
ფინიქსი-მონრეალი
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი
სან ხოსე-მინესოტა

12 ნოემბერი
პიტსბურგი-დალასი
რეინჯერსი-კაროლინა
ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი
ბაფალო-ოტავა
დეტროიტი-ედმონტონი
ჩიკაგო-კალგარი
ანაჰაიმი-ვანკუვერი

13 ნოემბერი
ბოსტონი-ბაფალო
ნეშვილი-მონრეალი
კოლამბუსი-ვინიპეგი
დეტროიტი-დალასი
კაროლინა-პიტსბურგი
ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი
ტორონტო-ოტავა
სენტ ლუისი-ტამპა ბეი
კოლორადო-კალგარი
სან ხოსე-ფინიქსი
ლოს ანჯელესი-მინესოტა

14 ნოემბერი
ფლორიდა-ფილადელფია
ჩიკაგო-ედმონტონი
ანაჰაიმი-მინესოტა
ვანკუვერი-აილენდერსი

15 ნოემბერი
კაროლინა-ფილადელფია
მონრეალი-ბაფალო
ვინიპეგი-ტამპა ბეი

16 ნოემბერი
კოლამბუსი-მინესოტა
პიტსბურგი-კოლორადო
აილენდერსი-რეინჯერსი
ტორონტო-ფინიქსი
ბოსტონი-ნიუ ჯერსი
სენტ ლუისი-დეტროიტი
ნეშვილი-ვაშინგტონი
დალასი-ფლორიდა
კალგარი-ოტავა

17 ნოემბერი
მონრეალი-კაროლინა
ბაფალო-ნიუ ჯერსი
ვანკუვერი-ჩიკაგო
ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი

18 ნოემბერი
ფილადელფია-ფინიქსი
აილენდერსი-მონრეალი
ბოსტონი-კოლამბუსი
ტამპა ბეი-პიტსბურგი
სენტ ლუისი-ფლორიდა
ნეშვილი-ტორონტო
მინესოტა-კოლორადო
ვინიპეგი-ვაშინგტონი
ედმონტონი-ოტავა
ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი
სან ხოსე-დეტროიტი

19 ნოემბერი
კაროლინა-ბაფალო
კოლორადო-დალასი
კალგარი-ჩიკაგო

20 ნოემბერი
ვინიპეგი-ფილადელფია
ლოს ანჯელესი-დეტროიტი
ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი
აილენდერსი-ბოსტონი
მონრეალი-რეინჯერსი
ტორონტო-ვაშინგტონი
ბაფალო-ფინიქსი
ფლორიდა-პიტსბურგი
დალასი-სან ხოსე
მინესოტა-სენტ ლუისი
ნეშვილი-კოლამბუსი
ედმონტონი-ჩიკაგო

21 ნოემბერი
კაროლინა-ტორონტო
კოლორადო-სან ხოსე
ანაჰაიმი-დეტროიტი
ვანკუვერი-ოტავა

22 ნოემბერი
კოლამბუსი-კალგარი
ვაშინგტონი-ფინიქსი
პიტსბურგი-აილენდერსი
ფილადელფია-კაროლინა
მონრეალი-ბოსტონი
ფლორიდა-ნიუ ჯერსი
დალასი-ედმონტონი

23 ნოემბერი
ტამპა ბეი-ტორონტო
სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი
ნეშვილი-ედმონტონი

24 ნოემბერი
დეტროიტი-კალგარი
კაროლინა-მონრეალი
ვაშინგტონი-ვინიპეგი
პიტსბურგი-სენტ ლუისი
აილენდერსი-ფილადელფია
ნიუ ჯერსი-კოლამბუსი
ბაფალო-ბოსტონი
ფლორიდა-რეინჯერსი
მინესოტა-ნეშვილი
დალასი-ლოს ანჯელესი
ფინიქსი-ანაჰაიმი
კოლორადო-ვანკუვერი
სან ხოსე-ჩიკაგო

26 ნოემბერი
ბოსტონი-დეტროიტი
აილენდერსი-ნიუ ჯერსი
ფილადელფია-მონრეალი
მინესოტა-ედმონტონი
ვაშინგტონი-რეინჯერსი
ანაჰაიმი-ჩიკაგო
კოლამბუსი-ბაფალო
კაროლინა-ვინიპეგი
პიტსბურგი-ოტავა
ფლორიდა-ტამპა ბეი
სენტ ლუისი-კალგარი
დალასი-ტორონტო
ფინიქსი-ვანკუვერი

27 ნოემბერი
ნიუ ჯერსი-აილენდერსი
რეინჯერსი-ფილადელფია
კოლორადო-ედმონტონი
დეტროიტი-ნეშვილი
ტამპა ბეი-ფლორიდა
მონრეალი-პიტსბურგი
ბაფალო-ვაშინგტონი
ბოსტონი-ვინიპეგი
ფინიქსი-დალასი
სან ხოსე-ვანკუვერი
ლოს ანჯელესი-ჩიკაგო

28 ნოემბერი
ოტავა-კაროლინა
კოლამბუსი-სენტ ლუისი
ვინიპეგი-კალგარი
ანაჰაიმი-ტორონტო

29 ნოემბერი
მინესოტა-ტამპა ბეი
კოლორადო-დალასი
ედმონტონი-ნეშვილი
ლოს ანჯელესი-სან ხოსე

30 ნოემბერი
კაროლინა-ფლორიდა
ვაშინგტონი-სენტ ლუისი
რეინჯერსი-პიტსბურგი
ბაფალო-აილენდერსი
ვინიპეგი-ოტავა
ჩიკაგო-ფინიქსი
კალგარი-ნეშვილი
ვანკუვერი-კოლამბუსი

პილოტის ბრალი ყოფილა

რუსეთის პროკურატურამ დაასრულა იაროსლავლში მომხდარი ავიაკატასტროფის მიზეზების გამოძიება. შეგახსენებთ, რომ ინციდენტის შედეგად დაილუპა ჰოკეის გუნდის - „ლოკომოტივის“ ყველა წევრი.

წინასწარი ინფორმაციით, ვარდნის მიზეზი გახდა ის, რომ ეკიპაჟის მეთაურმა სიჩქარის აკრეფისას არასწორად დაამუხრუჭა - ქუსლი შესაბამის სატერფულებს დააჭირა და სცადა თვითმფრინავი ჰაერში აეყვანა.

იაკ-24, რომელიც მაქსიმალურად იყო დატვირთული, დროულად ვერ მონყდა ასაფრენ ბილიკს და ასეთ შემთხვევაში ჰოკეისტების გადარჩენის ერთადერთი გამოსავალი ექსტრემალური დამუხრუჭება იქნებოდა.

მაგრამ კალენდარული მატჩის ჩაგდებისა და შესაძლო სანქციების შიშით ეკიპაჟის მეთაურმა მაინც გადაწყვიტა აფრენა. თვითმფრინავმა ვერ შეძლო ნორმალური აფრენისთვის საჭირო სიჩქარის აკრეფა, ამიტომაც საჭის შესანარჩუნებლად პილოტს ბოლომდე უნევდა მუხრუჭის სატერფულებზე დაჭერა საყრდენის მოსაძებნად. შესაბამისად, ამის გამო თვითმფრინავმა სიჩქარე დაკარგა და მარცხენა ფრთით მიწაზე დაეცა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2012

UNDER 17

ჰოლანდია-ინგლისი	0:1
ბოსნია-ლატვია	1:0

ინგლისი

სტოკი-ნიუკასლი	1:3

იტალია

სერია C1/A

ბენევენტო-ტარანტო	2:1

ესპანეთი

სევილია-გრანადა	1:2

გერმანია

II ბუნდესლიგა

ფიურტი-ბრაუნშვაიგი	1:3

საფრანგეთი

II დივიზიონი

ნანტი-ლანსი	1:0

პოლანდია

II დივიზიონი

დენ ბოში-ემენი	5:1

პორტუგალია

ჟილ ვისენტე-მარიტიმუ	გვ.დასრ.

დანია

მიდტიულანდი-სონდერიისკი	1:1

ნორვეგია

ვოლერენგა-ფრედრიკსტადი	1:2

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

ბელინცონა-არაუ	0:1

საბერძნეთი

II დივიზიონი

პანთრაკიკოსი-კალონი	1:0

თურქეთი

ფენერბაჰჩე-ძარაბუძი	1:0
მერსინი-გენჩლერი	2:1

ავსტრალია

ეთნიკოსი-ნიუ სალამიცი	1:0

ჩეხეთი

იაბლონეცი-ტეპლიცე	0:1

უკრაინა

ოგოლონი-ჩერნომორეცი	0:1
მეტალურგი-ილიჩივეცი	0:0

პოლონეთი

რუხი-პოლონია	0:1

რუმინეთი

კონკორდია-მოიეინი	3:1
ბრაშოვი-კლუჟი	1:2

ბულგარეთი

ლუდოგორეცი-მონტანა	3:0
ლოკომოტივი (ს)-ლოვეჩი	1:2

ისრაელი

ბნეი იეჰუდა-მაკაბი (თ-ა)	0:0

არგენტინა

უნიონი-ტიგრე	1:1

პერუ

ალ. ატლეტიკო-კოლეგიო	გვ.დასრ.

პოკერი

ქალ

ვიტიაზი-სევერსტალი	6:4
ნეფტიხიმიკი-ტრაქტორი	2:8
სკა-სპარტაკი	3:1
ცსკა-მეტალურგი (მ)	4:2
დინამო (რ)-იუშრა	1:0
ლევ პოპრადი-ავანგარდი	1:3

ჩოგბურთი

ATP. ბაზელი

ბაჰდატისი-ტროიცკი	4:6, 7:6, 6:2
ფედერერი-სტარაჩე	7:6, 6:4
კუკუშკინი-იანგი	გადაიდო

ATP. ვალენსია

დავიდენკო-სიმონი	6:4, 4:6, 6:3
ხიმენო ტრავერო-ფონინი	4:6, 3:6
მაუ-გარსია ლოპესი	7:6, 6:2
ისნერი-პოსპიშილი	3:6, 6:3, 6:7

● TV პროგრამა

1 ნოემბერი. სამშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. შტუტგარტი-დორტმუნდი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. X ტური. ინტერი-იუვენტუსი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური. ვალანსიენი-ლილი.
18:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. ჩელსი-არსენალი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XI ტური. ბარსელონა-მალიორკა.
00:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ჯენოა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მემფისი-ოკლაჰომა.
15:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-ატლეტიკო პარანაენსე.
17:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულუზა-კლერმონი.
19:00 ტელეჟურნალი : WORLD OF FOOTBALL
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. 2010-11. ფინალი. პანათინაიკოსი-მაქაბი.
23:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:55 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მემფისი-ოკლაჰომა.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-რეალი.
15:00 სპორტ-NEWS.
15:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ლევერკუზენი.
19:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კლერმონი-ბეარიცი.
21:30 სპორტის ვარსკვლავები - რუსუდან ხოფერია.
22:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.

I არხი

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. არსენალი-მარსელი (LIVE).

რუსთავი 2

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური (LIVE).
01:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

21:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ზენიტი-შახტარი (LIVE).
23:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. არსენალი-მარსელი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვალენსია-ლევერკუზენი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

20:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბატე-მილანი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დორტმუნდი-ოლიმპიაკოსი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

18:30 ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
21:30 ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).

SPORT+

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. აპოელ-პორტუ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

მოსალაპარაკებელი 5 პროცენტი დარჩა

ამერიკელმა ჟურნალისტებმა ლოკაუტთან დაკავშირებული ბოლო შეხვედრის დეტალები გაარკვიეს. მიუხედავად იმისა, რომ კლუბების მფლობელთა და მოთამაშეთა პროფკავშირის ბოლო მოლაპარაკება ისევ კომპრომისის გარეშე დასრულდა, მაინც დამაიმედებლად მოსჩანს ინფორმაცია, რომელიც გუშინ ამერიკულ პრესაში გაჩნდა.

როგორც გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი" წერს, მხარეებმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებას საკამათო საკითხების 95 პროცენტზე. ერთადერთი მოუგვარებელი პრობლემაა ლიგის საერთო შემოსავლის გაყოფა. ლიგას სურს 50 პროცენტი მისცეს მოთამაშეებს, პროფკავშირი კი 52.5 პროცენტს ითხოვს. თანხობრივად, მხარეები ერთმანეთს 100 მილიონი დოლარით არიან დაშორებულნი.

აქვე გთავაზობთ რამდენიმე პუნქტს, რომელშიც მხარეებმა კომპრომისის მიღწევა შეძლეს:

- კლუბებს ბიუჯეტის ფარგლებს გარეთ დახარჯულ თითო დოლარზე 1.5 დოლარის გადახდა მოუწევთ. ყოველი ზედმეტად დახარჯული 5 მილიონის შემთხვევაში გადასახადი იზრდება. ასე რომ, თუ გადასახადი გადაცდება 5 მილიონს, მაგრამ 10 მილიონზე ნაკლები იქნება, მფლობელები თითო დოლარზე 1.75 დოლარს გადაიხდიან; 10 მილიონიდან 15 მილიონამდე - 2.25 დოლარს, ხოლო თუ გადაცდენა 15 მილიონზე მეტი იქნება, კლუბი ერთ დოლარში სამ დოლარს გადაიხდის.

- მაქსიმალური კონტრაქტის ვადა ერთი წლით შემცირდება და ხუთ წელს შეადგენს იმ მოთამაშეებისთვის, რომლებიც ერთ კლუბში მინიმუმ სამი სეზონი გამოდიან. დანარჩენებისთვის კონტრაქტის ხანგრძლივობა ოთხი წელი იქნება.

■ ■ ■

როგორც ვთქვით, ერთადერთი გადაუჭრელი საკითხი საერთო შემოსავლის გაყოფაა. ESPN იტყობინება, რომ „ლეიკერსის" ვარსკვლავი **კობი ბრაიანტი** ეთანხმება კლუბების მფლობელთა შემოთავაზებულ პირობებს, ანუ მზად არის დათანხმდეს საერთო მოგების თანაბრად განაწილებას. სხვათა შორის, იგივე პოზიციაზეა ბრაიანტის თანაგუნდელი **დერეკ ფიშერი**, რომელიც მოთამაშეთა პროფკავშირების პრეზიდენტი გახლავთ.

ამბობენ, რომ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების თანაბარ პირობებში გაფორმებას ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებიან „ბოსტონ სელტიქსის" ლიდერები - **პოლ პირსი** და **კევინ გარნეტი**.

■ ■ ■

ყველას აინტერესებს, ჩატარდება თუ არა სრული სეზონი. შეგახსენებთ, რომ ბოლო ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** განაცხადა, რომ ახლა უკვე გამორიცხულია რეგულარული ჩემპიონატის სრულად ჩატარება. მაგრამ, როგორც New-York Post წერს, თუ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას ამ კვირას მოეწერება ხელი, გუნდები ჩემპიონატში 82-ის ნაცვლად 78 მატჩს ჩაატარებენ. ამ ოთხ გაუქმებულ შეხვედრაში მოხვდება გუნდების მატჩები საპირისპირო კონფერენციის წარმომადგენლებთან.

■ ■ ■

ამასობაში, NBC-მ შეადგინა NBA-ის შვიდი კლუბის რეიტინგი, რომლებიც სეზონის გაუქმების შემთხვევაში ფინანსურად ყველაზე მეტად დაზარალდებიან. როგორც ირკვევა, ყველაზე დიდ წაგებაში „ნიუ იორკ ნიქსი" იქნება.

1. ნიუ იორკი
2. საკრამენტო
3. ლეიკერსი
4. ნიუ ჯერსი
5. მაიამი
6. დალასი
7. გოლდენ სტეიტი

■ ■ ■

დაბოლოს, საინტერესოა როდის გაახლდება მოლაპარაკებები. ინტერნეტ-გვერდი Hoopsworld წერს, რომ კლუბების მფლობელები და მოთამაშეთა პროფკავშირის წარმომადგენლები უახლოეს დღეებში მიუჯდებიან მოლაპარაკებათა მაგიდას.

ლონგორიას მორიგი კალათბურთელი

ევამ პარკერი შეცვალა

ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ჰოლივუდის ვარსკვლავი **ევა ლონგორია** და „სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებელი **ტონი პარკერი** გაეყარნენ ერთმანეთს. ახლა კი მსახიობმა მორიგი რომანი გააბა და ამისთვის ისევ NBA-ის კალათბურთელი აირჩია.

გასულ შაბათს პაპარაცებმა ლონგორია რესტორან Il Mulino-ში „ლეიკერსის" მცველ **მეტ ბარნსთან** ერთად დააფიქსირეს. თუმცა ამაში დასაძრახი არაფერია, რადგან ევა ამჟამად თავისუფალია, ბარნსს კი ლოკაუტის გამო ბევრი დრო აქვს, თან საცოლეს **გლორია გოვანს** დაშორდა, რომელთანაც ორი შვილი ჰყავს.

საინტერესოა, რომ ეს არ არის ლონგორიასა და ბარნსის პირველი შეხვედრა. 16 ოქტომბერს მსახიობმა თავის „ტვიტერზე" დადო იმ საღამოს ფოტოები, რომელზეც ის მეტთან იყო გადაღებული.

შესაძლოა, ბარნსისა და მისი საცოლის დაშორების მიზეზი სწორედ ლონგორია იყო, თუმცა ჰოლივუდის ვარსკვლავის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი ვახშამი საქმიანი იყო, რადგან ორივენი აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდნენ.

● ფორმულა 1

მერსედესს შუმის დატოვება უნდა

მიხაელ შუმახერი

„მერსედესის" ხელმძღვანელობა მზად არის კონტრაქტი გაახანგრძლივოს ვეტერან პილოტ **მიხაელ შუმახერთან**.

„ვერ ვხედავთ იმის მიზეზს, რატომ არ უნდა გავუგრძელოთ ხელშეკრულება შუმახერს, - ამბობს გერმანული საჯინიბოს ბოსი **როს ბრაუნი** *- ყველა ხედავთ სეზონის ბოლოს მიხაელის პროგრესს".*

„თუ ის შეძლებს მომავალ წელს პოდიუმებისთვის და გამარჯვებებისთვის ბრძოლას, მაშინ რატომ უნდა დაასრულოს სამეფო რბოლებში გამოსვლა? და თუ ჩვენ მომავალ სეზონში ვერ მივაღწევთ წარმატებას, მაშინ კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილებას უფრო იოლად მიიღებს.

ახალ კონტრაქტზე მიხაელთან მოლაპარაკება რთული არ იქნება: თუ ის მოინდომებს თანამშრომლობას, ძალიან მალე ვიპოვით საერთო ენას", - დაამატა ბრაუნმა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს „მერსედესთან" კონტრაქტი 2013 წელს ეწურება, როცა შუმი 44 წლის იქნება.

ბერნი ეკლსტოუნი

სამი ბოლიდი რეალურია?

„ფერარის" ხელმძღვანელობას არაერთხელ გამოუთქვამს იდეა - დიდმა გუნდებმა პელოტონში მესამე ბოლიდი გამოიყვანონ და ამით ჩემპიონატში ბრძოლა კიდევ უფრო საინტერესო გახადონ. „სკუდერიას" ბოლო ინიციატივის თანახმად, იტალიელებმა, შესაძლოა, ამერიკული სერიის - ინდიკარის გუნდის სახელით გამოიყვანოს ჩემპიონატში მესამე ბოლიდი. რაც მთავარია, ამ იდეას მხარს უჭერს ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ეკლსტოუნი**.

ამ ინიციატივას „ფერარი" ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ჟენევაში გასამართ შეხვედრაზე გაიტანს, სადაც ფორმულა 1-ის გუნდების ხელმძღვანელები შეიკრიბებიან.

იდეა იმაში მდგომარეობს, რომ დიდმა გუნდებმა თავიანთი ავტომობილები იჯარით მისცენ ან მიჰყიდონ „პატარა" გუნდებს, რათა ამით ამაღლდეს რბოლებში კონკურენცია და სანახაობრივი მხარე.

ექსტოუნი მხარში ამოუდგა „ფერარის", რადგან ხედავს დადებით მხარეებს „ფერარისთვის" და სუსტი გუნდებისთვის, თუმცა ჯერჯერობით იდეას არ ინონებენ „მაკლარენი" და „რედ ბული".

როსბერგი ფერარის უმიზნებს

ნიკო როსბერგი

გერმანულ პრესაში მიაჩნიათ, რომ „მერსედესის" პილოტი **ნიკო როსბერგი** სერიოზულად განიხილავს „ფერარიში" გადასვლის პერსპექტივას. გერმანელი ავტომრბოლი არ გამორიცხავს, უკვე მომდევნო სეზონში ამოჰყოს თავი „სკუდერიას" რიგებში.

ამის შესახებ ლაპარაკი ადრეც იყო, მაგრამ ახლა საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ **ფელიპე მასა** ვერ ახერხებს **ფერნანდო ალონსოსთან** თანაბრად კონკურენციას - ამიტომაც, „ფერარიმ" წელს წააგო კონსტრუქტორთა თასზე მეორე ადგილისთვის ბრძოლა „მაკლარენთან". მიუხედავად იმისა, რომ როსბერგისა და მასას კონტრაქტები 2012 წლის ბოლომდეა ძალაში, ფორმულა 1-ის ისტორიამ მრავალი შემთხვევა იცის, როცა ასეთ გარემოებას ხელი არ შეუშლია პილოტის ტრანსფერისთვის.

ამავდროულად, თუ „სკუდერიაში" გადაწყვეტენ ფელიპეს გაშვებას, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მის ადგილს სწორედ როსბერგი დაიკავებს. ბოლოს დროს, საკმაოდ კარგ ფორმას აჩვენებს „ფერარის" აკადემიის მსმენელი **სერხიო პერესი**, გარდა ამისა, მასას ადგილზე სხვა კანდიდატებიც არიან.

ნიკო როსბერგმა წლევანდელი სეზონის მსვლელობისას მეასე გრანპრის ჩაატარა კარიერაში, მაგრამ დღემდე არც ერთი გამარჯვებისთვის არ მიუღწევია. მის ანგარიშზე მხოლოდ ხუთი პოდიუმი მოდის. გარდა ამისა, დღეს აღარ შეიმჩნევა ნიკოს უპირატესობა თანაგუნდელ **მიხაელ შუმახერზე**, როგორც ეს სეზონის დასაწყისში იყო.



ბატონის ახალი სიმაღლე

გასაკვირი არ არის, რომ ორი პოზიცია დაკარგა **ფელიპე მასამ, მიხაელ შუმახერმა** კი სამი ადგილით დაიხია უკან - გერმანელმა შარშან კორეაში კვალიფიკაციის ფინალს მიაღწია და რბოლაში მეოთხე ადგილზე გავიდა, ინდოეთის ეტაპი კი მე-11 ადგილიდან დაიწყო და მეხუთე პოზიციაზე დაასრულა.

ინდიკარის სეზონი უკვე დასრულდა, ამიტომაც ტიტულის მფლობელი **დარიო ფრანკიტი** ქულებს ვეღარ მოიპოვებს, სამაგიეროდ, ნასკარის ლიდერი **კარლ ედვარდსი** აგრძელებს გამოსვლას და მარტინსვილში მორიგი ეტაპის შემდეგ რეიტინგის მერვე პოზიციაზე გადავიდა - მან სწორედ ფრანკიტის გაუსწრო.

ქვეყნების რეიტინგში ლიდერები კვლავინდებურად გერმანია, ბრიტანეთი და ავსტრალია არიან.

მორიგი სარბოლო უქმეების შემდეგ „რედ ბულის" პილოტმა **სებასტიან ფეტელმა** კიდევ უფრო გაიმყარა პოზიციები Castrol-ის უნივერსალურ რეიტინგში. სამაგიეროდ, კლასიფიკაციაში გადაადგილებები სხვა პილოტებს შეეხო.

ფორმულა 1-ის წევრები მორიგ სარეიტინგო ქულებს ინდოეთის გრანპრიზე გამოსვლისთვის იღებდნენ, მაგრამ კარგავდნენ კორეაში შარშანდელი ეტაპისთვის მიღებულ ქულებს. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ შეირყა **ფერნანდო ალონსოსა** და **ლუის ჰემილტონის** პოზიციები, რომლებმაც კორეაში პირველი და მეორე ადგილი დაიკავეს, ინდოეთში კი მხოლოდ მესამე და მეშვიდე პოზიციები მოიპოვეს.

სამაგიეროდ, წინ წავიდნენ **მარკ უებერი** და **ჯენსონ ბატონი**. ავსტრალიელმა ჰემილტონს გაასწრო და დაიბრუნა მეორე ადგილი, მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონმა კი ახალი სიმაღლე აიღო - რეტინგის მეოთხე ადგილი, რომელზეც ადრე ალონსო იყო.

რეიტინგის ახალი ათეული

1. ს. ფეტელი (ფორმულა 1)	32 658
2. მ. უებერი (ფორმულა 1)	20 830
3. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1)	19 921
4. ჯ. ბატონი (ფორმულა 1)	19 377
5. ფ. ალონსო (ფორმულა 1)	18 453
6. ს. ლოები (რალი)	17 775
7. უ. პაუერი (IndyCar)	17 427
8. ჯ. ედვარდსი (NASCAR)	16 626
9. დ. ფრანკიტი (IndyCar)	16 327
10. მ. ჰირვონენი (რალი)	15 158

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა